ზურაბ დავითაძე

მოდერნიზმი-ისლამის ამაო იმედი

გამომცემლობა
„საბჭოთა აჭარა“
ბათუმი
1989

:36-16
ᲘᲓ 15

წიგნი მოგვითხრობს ისლამის წარმოშობის, მისი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ. მასში მთავარი ყურადღება ეთმობა ისლამის მიმდევართა მოდერნისტულ შეხედულებებს. აქვეა დართული მარქსიზმის კლასიკოსთა და მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ბრძნული აზრები და ფრთიანი გამონათქვამები რელიგიის შესახებ.

წიგნში დასმული პრობლემები და მათი ავტორისეული გადაწყვეტა რელიგიისადმი დღევანდელი დამოკიდებულების ფონზე შეიძლება სადაო იყოს, რაზედაც პასუხისმგებლობა ავტორისაა.

© გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1989.

Ю $\frac{040000000-13}{М\ 621(08)89}$ 3—1989

თავი პირველი

რელიგიის წარმოშობა, მისი მავნე ზეგავლენა ადამიანის შეგნებაზე

ამა თუ იმ უარყოფით საზოგადოებრივ მოვლენას რომ ებრძოლო, ამისათვის უპირველესად ამ მოვლენის წარმოშობის მიზეზების ღრმა ცოდნაა მუდამ საჭირო. ამიტომ. აზრსმოკლებული არ იქნება, მთავარ სათქმელამდე ჯერ ორიოდ სიტყვა რელიგიის წარმოშობაზე ვთქვათ...

პირველყოფილ ადამიანს ბუნების საგნები და მოვლენები წარმოედგინა გასულიერებულად, თითქოს ისინი აღჭურვილნი იყვნენ რაღაც ზებუნებრივი, უხილავი ძალით. პირველყოფილ ადამიანს, ამიტომ გრძნობადი სამყაროს მიღმა ზეგრძნობადი სამყარო ეჩვენებოდა და თავის წარმოდგენაში სამყარო გააორა.

თავისი ისტორიის გრძელ მანძილზე გაჭირვებასა და შიმშილში მყოფი ადამიანი ბუნებასთან უსასტიკეს ბრძოლაში ქმნიდა ცხოვრებას და პოულობდა საარსებო საშუალებას. მან შეისწავლა საკვების მოპოვებისა და დამუშავების გზები და საშუალებები, მიაგნო ბალახეული მცენარეების ძირებს, რითაც იხსნიდა ხოლმე თავს შიმშილისა და სიკვდილისაგან.

თუმცა მისთვის გაუგებარი რჩებოდა, რატომ იყო ვარგის მცენარეთა მოსავალი ხან უხვი და ხან მეტად მცირე. ადამიანი უძლური იყო რაიმე რეალური ზეგავლენა მოეხდინა საარსებო საშუალებათა გამრავლებაზე, ამიტომ ეს მოვლენა მიაჩნდა ზებუნებრივ ძალთა მოქმედების შედეგად, ომის თუ ნადირობის დროს წარმატება ან წარუმატებლობა მან ახსნა ზებუნებრივი ძალების ან სულების ჩარევით და ზემოქმედებით. ცხოვრების ყოველ დარგში შეიქმნა ერთგვარი გაორება. ადამიანის პრაქტიკის ერთი მხარე, სადაც მას რაღაც შეუძლია და რაღაც იცის და მეორე მხარე — სადაც მისი ფანტაზია დიდ გასაქანს აძლევს ზებუნებრივ ძალებს.

პირველყოფილმა ადამიანმა მისგან დამოუკიდებლად, შეუგნებლად, მიაგნო ზოგიერთი ავადმყოფობის მკურნალობის სავსებით რეალურ საშუალებებს, მაგრამ არ იცოდა არც ამ ავადმყოფობის და არც თავისი წამლების სამკურნალო თავისებურებანი. ამიტომ მან ეს ამბავიც ზებუნებრივი სულების ძალას მიაწერა.

ამ ბუნდოვან წარმოდგენათა მთავარ წყაროს წარმოადგენდა ბუნებასთან ბრძოლაში ველური ადამიანის უძლურება და ზებუნებრივ ძალთა წინაშე შიში.

როდესაც ვლაპარაკობთ პირველყოფილი ადამიანის შიშზე, ეს არ ნიშნავს, რომ პირველყოფილი ადამიანი სუსტს, უსუსურს და ფიზიკურ ძალას მოკლებულ არსებას წარმოადგენდა. პირიქით, ძვალკუნთოვანი სისტემით, ფიზიკური გამძლეობით, გრძნობათა სიმშვიდით, შთაბეჭდილებების უნარითა და მეხსიერებით ძველი დროის ველური როდი ჩამორჩებოდა თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის შესაძლებლობებს. მაგრამ პირველყოფილი ადამიანის ცოდნა ცოცხა-

ლი ორგანიზმის მოქმედებისა და სხვადასხვა საგნების თვისებათა შესახებ იმდენად დაბალი იყო, რომ ყველაფერში მას მოულოდნელობის საიდუმლოება ეჩვენებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მან ყველაფერში მოულოდნელობის საიდუმლოება დაინახა და მზად იყო ზებუნებრივი სამყაროს წინაშე ქედი მოეხარა.

რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო ველური ადამიანის ფანტაზია, ზებუნებრივი სამყაროს საიდუმლო ძალების განვითარებაზე მისი წარმოდგენა მაინც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანდათან შემუშავებულ შეხედულებათა შედეგს წარმოადგენს. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ გუშინდელი ურწმუნო ველური დღეს მორწმუნე გახდა და შექმნა ზებუნებრივ ძალთა ფანტასტიკური სამეფო. რელიგიური ცრუმორწმუნეობის ფორმირების პროცესი მეტად ხანგრძლივი პერიოდისაა და იგი საზოგადოების კულტურის განვითარებასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა.

პირველყოფილ ადამიანებს ბუნება წარმოდგენილი ჰქონდათ გასულდგმულებული, რის გამოც ყველგან და ყველაფერში ხედავდნენ სულებს.

თანამედროვე რელიგიის მსახურნი, აგრეთვე იდეალისტი ფილოსოფოსები, სულს იხილავენ, როგორც გარკვეულ ფორმას, როგორც სხეულადობას მოკლებულ სუბსტანციას, რომელიც გაბატონებულია მატერიაზე და შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა.

ამგვარად, ადამიანთა ველურობის ხანაში ზებუნებრივ ძალთა არსებობისა და ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასაქმიანობაში მათი ბატონობის შესახებ თანდათან აღმოცენებულმა ცრურწმენამ კლასობრივ საზოგადოებაში რელიგიის

სახე მიიღო. თუ პირველყოფილ საზოგადოებაში ცრუმორწმუნეობის მთავარი წყარო ველური ადამიანის უძლურება იყო, და მასზე ღმერთები და სულები იყვნენ გაბატონებულნი, კლასობრივ საზოგადოებაში ცრუმორწმუნეობის წყარო და მისი როლი არსებითად შეიცვალა. კლასობრივ საზოგადოებაში ზებუნებრივი სამყარო წარმოადგენს რეალური სამყაროს ფანტასტიკურ, დამახინჯებულ ასახვას. მართალია, ამგვარ საზოგადოებაში უმჯობესდება ადამიანის მიერ ბუნების ძალების დამორჩილება და გამოყენება, მაგრამ იზრდება მჩაგვრელთა მხრიდან ადამიანთა ჩაგვრა-დაბეჩავება. ექსპლოატატორული კლასები, რომლებიც ბატონობენ დამორჩილებულნი სიცოცხლესა და ქონებაზე, ეყრდნობიან ადმინისტრაციულ ძალას და ამით პოულობენ ფანტასტიკურ განსახიერებას წმინდანებში და ღმერთებში.

მორწმუნეთა წარმოდგენაში ღმერთი გვევლინება ხან მკაცრად, დაუნდობლად და შურისმაძიებლად, ხან კი ლმობიერად, მოსიყვარულედ, გულშემატკივრად და შემწყნარებლად; ხანაც კიდევ სამყაროს სრულუფლებიან მფლობელად, რომლის ნებასურვილის გარეშე ადამიანს ფეხის გადადგმაც კი არ შეუძლია. ერთი სიტყვით, რაც ბუნებასა და საზოგადოებაში ხდება — დაბადება, სიკვდილი, ავადმყოფობა, მთვარის დაბნელება, მიწისძვრა, ჩაგვრა, მონობა, სისხლისღვრა თუ სხვა ამგვარი, ყველაფერი იმთავითვე უხილავი წმინდა სულის, ესე იგი, ღმერთის მიერ არის დაკანონებულ-განპირობებული. ასეთია რელიგიის წარმოშობისა და ფორმირების ისტორიული გზა.

მარქსისტული ფილოსოფია გვასწავლის, რომ რელიგია არის ისტორიულად გარდამავალი მოვლენა, რომ მისი წარმო-

შობა და არსებობა არ არის მარადიული, ექსპლოატატორული საზოგადოების მოსპობასთან ერთად ისპობა რელიგიის წარმოშობის მატერიალური საფუძვლები.

ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ხალხის მასა დაბეჩავებულია სიღარიბისაგან, გაჭირვებისა და სიბნელისაგან, ადამიანები ღმერთს მიმართავენ იმიტომ, რომ ვერ აგნებენ გაჭირვებისა და სიღატაკისაგან თავდახსნის რეალურ გზას, რელიგიაში კი ისინი პოულობენ ერთგვარ მოჩვენებით შვებას, ვ. ი. ლენინი ამბობდა: ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში ექსპლოატირებული კლასების უძლურება ისეთივე აუცილებლობით ბადებს საიქიოში საუკეთესო ცხოვრების რწმენას, როგორც ბუნებასთან ბრძოლაში ველურის უძლურება ბადებს ღმერთების, ეშმაკებისა და სასწაულების რწმენას.

ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული წყობის დამხობამ ამოძირკვა რელიგიური ცრუმორწმუნეობის სოციალური ფესვები, რითაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა რელიგიურ წარმოდგენებს.

ექსპლოატატორული საზოგადოების დამხობა და სოციალისტური საზოგადოების შექმნა კომუნისტურმა პარტიამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში. კაპიტალიზმის დამცველთა და სოციალისტური საზოგადოების მტერთა ბანაკში დაირაზმნენ ყველა სარწმუნოების რეაქციული მსახურები. რელიგია ყოველთვის წარმოადგენდა ექსპლოატაციის გამართლებისა და კურთხევის საშუალებას, რეაქციული ღვთის მსახურები ყოველთვის იცავდნენ და იცავენ ხალხის მტრების ინტერესებს.

ხალხის მასებიდან რელიგიის ამოძირკვას სჭირდება მა-

სებში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე დამყარებული მეცნიერული ცოდნის შეტანა. ბუნებისა და საზოგადოების შესახებ სისტემატური მეცნიერული პროპაგანდა უნდა იქნას დაპირისპირებული რელიგიის მავნე გადმონაშთებთან. ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ ცრურწმენა თავდება იქ, სადაც იწყება ნამდვილი, ჭეშმარიტი ცოდნა. ამიტომაცაა, რომ ყოველთვის ის ადამიანია თავისუფალი ყოველგვარი რელიგიური რწმენისაგან, ვისაც მეცნიერული ცოდნა გააჩნია. ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნისაგან ჩამოცილებულ ადამიანებს არ აქვთ მოვლენათა მეცნიერული ახსნისათვის საკმაო ცოდნა-გამოცდილება, ვერ ერკვევიან საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებაში და არ შეუძლიათ ახსნან თუ რა მიზეზები იწვევს სოციალურ რყევას და კატასტროფებს. სწორედ ამიტომ, ჩამორჩენილი ადამიანები მიმართავენ „ყოვლისშემძლე“ ზებუნებრივ საიდუმლო ძალებს, თითქოს მათ შეეძლოთ მოვლენათა კანონზომიერი მსვლელობის შეცვლა.

მარქსი და ენგელსი რელიგიურ გაბრუებასთან ბრძოლას მიიჩნევდნენ პროლეტარიატის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელ ნაწილად. მათ აღმოაჩინეს რელიგიის სოციალური ფესვები, რეაქციული როლი, ამხილეს რელიგიის კავშირი მჩაგვრელთა ინტერესებთან და უჩვენეს მუშათა კლასს რელიგიურ შეხედულებებთან ბრძოლის რეალური გზები და მეთოდები. აქედან გამომდინარე, რელიგიური ტრადიციებისა და ადათ-წესების წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლას მისი საბოლოო თავშესაფარიდან გამოსადევნად, დიდი მნიშვნელობა აქვს.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვისათვის ბრძოლა გულისხმობს რელიგიური ტრადიციების წინააღმდეგ თანმიმდევრულ, შეურიგებელ ბრძოლას. რელიგიური ადათები და წესები ხელს უშლიან შრომის სოციალისტური ფორმის განვითარებას.

ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია მამაკაცსა და ქალს შორის უთანასწორობა. პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ქალისათვის უზრუნველყოფილია თანასწორობა, მას სოციალისტური ქვეყნის კონსტიტუცია იცავს და სოციალისტური წყობის საბოლოო გამარჯვება უდევს საფუძვლად. სოციალიზმმა გაათავისუფლა ქალი სოციალური მონობისაგან. ადრე დაჩაგრული და დამცირებული ქალი დღეს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემოქმედებითი შრომის აქტიური მონაწილეა. მხოლოდ სოციალისტური სისტემის გამარჯვებას შეეძლო ქალის გათავისუფლება და უფლებრივად მისი მამაკაცთან გათანაბრება.

რელიგიის ბნელეთის მოციქულები საუკუნეების განმავლობაში შთააგონებდნენ მორწმუნეს საკუთარი ძალებისადმი უნდობლობას, უძლურებას. მავნე რელიგიური ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა, კომუნისტური მსოფლმხედველობით მშრომელთა აღზრდა მოითხოვს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლიან ცოდნას, ფილოსოფიისა, რომელიც წარმოადგენს ყოველგვარი მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართულ მტკიცე იარაღს.

საკუთარი თავისა და ბუნების შესახებ პირველყოფილი ადამიანების შეხედულებათა, წარმოდგენათა და ცრურწმენათა ხანგრძლივმა პერიოდმა, რომელიც უშუალოდ იყო დაკავ-

შირებული მთელი საზოგადოებრივი კულტურის განვითარებასთან, შექმნა ზებუნებრივი ფანტასტიური სამყაროს მრავალღმერთიანობის, ანგელოზების, ეშმაკებისა და ადამიანებისათვის სხვა უხილავი სულების მთელი სისტემა. მაშასადამე, საზოგადოების კლასებად დაყოფასთან ერთად შეიქმნა რელიგიური წარმოდგენები, რომელმაც სახეცვლილება განიცადა და გაბატონებულ-ექსპლოატატორულ კლასთა ხელში იქცა დამორჩილებულ, დაჩაგრულ კლასთა სულიერი დამონების იარაღად. რელიგიამ პირველყოფილი ადამიანის მიერ შექმნილი ცრურწმენა გადაამუშავა და მას ახალი, კლასობრივ-ექსპლოატატორული შინაარსი მისცა, ყოველმხრივ შეახამა იგი ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს, ჩააყენა მჩაგვრელთა სამსახურში.

ყველა რელიგია, იქნება ის ებრაული, ბუდისტური, ქრისტიანული თუ მაჰმადიანური, ყოველთვის იყო და რჩება ადამიანის გონების დაჩლუნგების, მისი დამონებისა და დაუძლურების საშუალებად. გამონაკლისი არც მუსლიმანური რელიგიაა, იგი, როგორც ყველა სხვა რელიგია, ექსპლოატატორების ხელში ადამიანთა დამონებისა და დაბეჩავების იდეური იარაღია.

როგორ წარმოიშვა ისლამი

ისლამური რელიგია საერთოდ წარმოადგენს მანამდე არსებულ ყველა მსოფლიო რელიგიის ერთგვარ კომპლექსს, ებრაული, ქრისტიანული, ბუდისტური და სხვა რელიგიების ყველაზე ფანატიურ, მისტიკურ, ასკეტურ და რეაქციულ კომპლექსს.

ისლამმა, — ამბობს ენგელსი, — შეინახა თავისი სპეციფიურ-აღმოსავლური ჩვეულებანი, მით შეზღუდა თავისი გავრცელების არე, არაბული ბედუინების მიერ ახლად დაპყრობილი და დასახლებული აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ აფრიკით, აქ მას შეეძლო გამხდარიყო გაბატონებულ რელიგიად, დასავლეთში კი არა.

ისლამის ეს „სპეციფიური" ველურობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ყველა აღმოსავლური რელიგიური შეხედულებისათვის, არის ადამიანისაგან ადამიანის დაცილება და ენგელსის სიტყვებით თუ ვიტყვით... ძველი აღმოსავლეთის ღალუპვის ერთ-ერთი მიზეზთაგანი.

ისლამური რელიგიის მრავალრიცხოვანი დოგმა და წესჩვეულება, რითაც მათ ადამიანისაგან ადამიანის დაცილების მეთოდით მუსლიმანთა რელიგიური განკერძოებისა და განმტკიცების სისტემა შეინარჩუნეს, უადვილებდა იმპერიალისტებს ისლამური ქვეყნების დაპყრობა-დამონების საქმეს და ასუსტებდა ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. ამიტომაც, ისლამმა უდიდესი რეაქციული როლი შეასრულა აღმოსავლეთის მრავალმილიონიანი ხალხების ეკონომიკის, პოლიტიკის და კულტურის რეგრესის საქმეში.

ყველა თანამედროვე რელიგიას და საყდრებს, ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციებს, — ამბობს ლენინი, მარქსიზმი ყოველთვის იხილავს, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს, რომლებიც ემსახურებიან მშრომელი მასების ექსპლოატაციისა და გაბრუების დაცვას.

ისლამის მთელი ისტორია მოწმობს, რომ ეს რელიგია და მისი წესები წარმოშობიდან დღემდე ძირფესვიანად ანტიხალხურია და რეაქციული. მუსლიმანური სარწმუნოების აღ-

მოცენების პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულზე მომხდარმა სოციალურმა და ეკონომიურმა ვითარებამ წამოაყენა არაბთა დაქსაქსული ტომების პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობის იდეა. ასეთი გაერთიანების ორიენტირად გამოვიდა არაბეთის დიდი ეკონომიკური ცენტრი სავაჭრო ქალაქ შექაში გაბატონებული ტომის — ყურეიშიტების, ქონებრივად მძლავრი და პოლიტიკურად გავლენიანი ხელმძღვანელი ჯგუფი, რომელიც შეეცადა დაემორჩილებინა არაბთა ყველა მეზობელი ტომი. VII საუკუნის დამლევისათვის ყურეიშიტებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს: მოუსპეს არაბ ტომებს დამოუკიდებლობა და თვითონ გახდნენ დამოუკიდებელნი და გაბატონებულნი. მთელი ეს პროცესი, რა თქმა უნდა, მიმდინარეობდა დაძაბულობისა და კონფლიქტების ატმოსფეროში. როგორც ადგილობრივ, ისე არაადგილობრივ არაბებში ხდებოდა სწრაფი კლასობრივი დიფერენციაცია უპირატესობის მქონეთა და უუფლებო ადამიანთა ჯგუფებად. ამას მოჰყვა სავაჭრო ურთიერთობის და მევახშეობის აყვავება. იყო მონებით ვაჭრობაც, ინერგებოდა არაბთა გვაროვნული წესწყობილების საფუძველი, ტომობრივი დამოუკიდებელი დაქსაქსულობა და კარჩაკეტილობა.

არაბთა გაერთიანებისათვის დაწყებულმა მოძრაობამ ძლიერი გამოვლინება ჰპოვა აბისინელთა და სპარსელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. არაბეთში მიმდინარე სოციალურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა გარდამქმნელი ზემოქმედება მოახდინეს არაბთა მაშინდელ მრავალღმერთიან სარწმუნოებაზეც.

არაბთა ზოგიერთ ტომში გავრცელებულმა იუდაელთა, ქრისტიანულმა და მონოთეისტურმა რელიგიებმა არაბეთში

შეიტანეს და გაავრცელეს ერთღმერთიანობის იდეები, რაც განპირობებული იყო არაბეთის ისტორიული განვითარების მსვლელობით. არაბეთის შემდგომმა სოციალ-ეკონომიკურმა მსვლელობამ კი თავის მხრივ ძლიერი იდეოლოგიური გამოხატულება ჰპოვა ერთღმერთიანობის რელიგიისაკენ არაბული სამყაროს მიდრეკილების ზრდაში.

მუსლიმანური რელიგიის შესახებ უამრავი ლიტერატურაა დაგროვილი სხვადასხვა ენაზე, თუმცა, ქართულად თითქმის არ არსებობს საფუძვლიანი გამოკვლევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ათეიზმის სახელმძღვანელოებს, რომელიც ძირითადად სტუდენტებისათვისაა განკუთვნილი. მუსლიმანური რელიგიის მთავარი წიგნი „ყურანი" ქართულად ჯერ კიდევ 1906 წელს ითარგმნა*, და ისიც ორიგინალიდან არაა შესრულებული.

ისლამის კვლევას დასავლეთ ევროპაში საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. დოზის (ჰოლანდია), ა. შპენგლერის, ა. მიულერის (გერმანია), ი. გოლდიციერის (უნგრეთი), ქრ. სნუკ-ჰიურგრონეს (ჰოლანდია), გ. გრიმეს (გერმანია) და სხვათა შრომები.

ისლამის კვლევაში დიდი ტრადიციები აქვს რუსულ, როგორც რევოლუციამდელ, ისე საბჭოურ მეცნიერებას (ვ. როზენი, ნ. მედნიკოვი, ვ. ბარტოლდი, ა. შმიდტი, ს. კრიმსკი, ი. კრაჩკოვსკი). ჩამოთვლილ ავტორებს უნდა დაემატოს ლ. კლიმოვიჩი, რომელსაც ეკუთვნის მეცნიერულ-პოპულარული გამოკვლევა — „ისლამი", გ. ქერიმოვის გამოკვლევა „შარ-

* თარგმნა ინგლისურიდან, შეასრულა პეტრე მირიანაშვილმა.

ათი და მისი სოციალური არსება". საყურადღებოა ნ. აშურროვის წიგნი „ისლამის ევოლუცია სსრ კავშირში".

როგორც ყველა რელიგია, ისლამის წარმოშობა ლოგიკური შედეგი იყო სიტუაციისა, რაც იმდროინდელ არაბეთში (VI-XII სს.) სუფევდა. არაბეთის ნაყოფიერ სამხრეთ ნაწილში სამი ათასი წლის წინ არსებობდა მდიდარი და კულტურული ქვეყანა, ფრიდრიხ ენგელსი კარლ მარქსისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „სამხრეთ-დასავლეთში, იქ სადაც არაბები მკვიდრობდნენ, ისინი ალბათ იყვნენ ისეთი ცივილიზებულნი, როგორც ეგვიპტელები, ასურელები და ა. შ. ამას ადასტურებს მათი არქიტექტურული ნაგებობანი". ან „მუჰამედის რელიგიური რევოლუცია ფორმალურად იყო რეაქცია, მოჩვენებითი მიბრუნება ძველისადმი".

რამ განაპირობა ახალი იდეოლოგიის (მუსლიმანური რელიგიური მსოფლმხედველობის) წარმოშობა არაბეთში? აგრეთვე აქ საინტერესოა ფ. ენგელსის აზრი — იგი ამბობს, რომ ისლამმა შეინახა თავისი სპეციფიკურ-აღმოსავლური ჩვეულებანი, მით შეზღუდა თავისი გავრცელების არე, არაბული ბედუინების მიერ ახლად დაპყრობილი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ აფრიკით. აქ მას შეეძლო გამხდარიყო გაბატონებულ რელიგიად, მხოლოდ დასავლეთში კი არა. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ლ. კლიმოვიჩი, მისი აზრით ძველი საზოგადოებრივი ფორმების მიმართ პროტესტმა და აგრეთვე სხვა ქვეყნის (ირანის) თავდასხმის საფრთხემ შეასრულა ე. წ. „გამაღიზიანებელი" როლი ახალი იდეური მიმართულების ჩამოყალიბებაში, რომელმაც „დროის შესაბამისად მონოთეისტური მოძღვრების ხასიათი" მიიღო. იყვნენ აგრეთვე მქადაგებლები, არაბეთის სხვადასხვა მხარეში, რომლებიც

მოითხოვდნენ ერთღმერთიანობას და იბრძოდნენ ძველი კულტების წინააღმდეგ. მათ ხანიფები ანუ „ჭეშმარიტების მაძიებელნი ეწოდებათ“. იგულისხმებოდა, რომ ახალი რელიგიის დაფუძნებაში უარყოფილი უნდა ყოფილიყო ძველი რელიგიების (იუდაიზმი, ქრისტიანობა) ტრადიციები.

საინტერესოდ აყენებს საკითხს ლ. კლიმოვიჩი; არაბების მხრით იუდაიზმისა და ქრისტიანობის მიღება ერთ სერიოზულ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. იუდაიზმის მიღება ნიშნავდა მტრებთან — სასანიდების ირანთან დაკავშირებას, პალესტინა და არაბეთი კი მხარს უჭერდნენ ებრაელთა კოლონიებს იასრიბსა (იგივე მედინა) და დასავლეთი არაბეთის სხვა ადგილებში. რაც შეეხება ქრისტიანობას, იგი არაბეთში მტკიცედ იყო დაკავშირებული ბიზანტიის, ეთიოპიის და ნაწილობრივ იგივე ირანის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებთან. ხანიფები და სხვა არაბი მოღვაწენი უარყოფდნენ იუდაიზმისა და ქრისტიანობის ღმერთებს.

ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ვ. სოლოვიოვი სტატიაში „მუჰამედი“ საინტერესოდ ხსნის არაბების მიერ ქრისტიანობის მიუღებლობას: არაბები ობიექტური ჭეშმარიტებების მიმართ გულგრილნი იყვნენ. მათში მოცემული სუბიექტური ენერგია ვერ იღებდა მჭვრეტელობით ასკეტიზმს (ე. ი. ქრისტიანობის არსებით პრინციპებს) ადამიანი — ღმერთი, არაბული გონებისათვის მიუღწეველი და გაუგებარი იყო.

ვ. სოლოვიოვის აზრით, არაბებს შეხების წერტილები ჰქონდათ არა მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან, არამედ უმეტესწილად ერესებთან: „მუსლიმანობის ქრისტიანურ ერესებთან შინაგანი კავშირი ეჰვს გარეშეა. გარეგან ისტორიულ

კავშირს დიდი ხანია აღიარებენ, თუმცა არაა დასაბუთებული". მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ არაბებისათვის, ისევე როგორც საერთოდ სემიტებისათვის, „საღვთო წიგნის" გარდა არ არსებობს ნამდვილი რელიგია, არაბების ნაწილი ცხოვრობდნენ და ცოცხლობდნენ იმ იმედით, რომ მოვა ახალი წინასწარმეტყველი, რომელიც მისცემს არაბებს იმას, რაც ებრაელებმა მიიღეს მოსესაგან, ხოლო ქრისტიანებმა იესოსაგან.

როგორც ვხედავთ, საერთო ჯამში, ვ. სოლოვიოვის და ლ. კლიმოვიჩის აზრით არაბებში ქრისტიანებისა და იუდაიზმის ეაუვრცელებლობა გარკვეული ობიექტური კანონზომიერებით იყო განსაზღვრული და არა შემთხვევითი გარემოებებით. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მუსლიმანური რელიგიის არსის გასაგებად.

მუსლიმანური რელიგიის დაფუძნებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მუჰამედს, რომელიც მიეკუთვნებოდა იმდროინდელი არაბეთის გავლენიან ყურეიშიტების გვარს. ყურეიშიტების საგვარეულო ტაძარი იყო ქ. მექაში ე. წ. ქააბას, ტაძარი. მუსლიმანურ რელიგიაში დაფიქსირებული ღმერთის სახელი — ალაჰი, თავდაპირველად ყურეიშიტების ტომის ღმერთის სახელი იყო.

მუჰამედის შესახებ შექმნილი ბიოგრაფიები ბევრ გაზვიადებებსა და ისტორიისათვის შეუსაბამო ამბებს გვაცნობენ. აი რას ვკითხულობთ მუჰამედის შესახებ ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში: — მუჰამედი (დაახლოებით 570-632), არაბი რელიგიური და სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც დასავლეთის აღმოსავლეთმცოდნეები ისლამის დამფუძნებელად და ყურანის ავტორად მიიჩნევენ, ხოლო მუსლიმანები, წინასწარ-

მეტყველად და ღვთის მოვლენილად, მის შესახებ სათანადო ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ყველაზე ადრეული, ჩვენამდე მოღწეულთა შორის არის VIII საუკუნის მეორე ნახევრის ბიოგრაფია, შედგენილი მედინელი იბნ-ისჰაკის მიერ ბაღდადში და რომელიც გადამუშავებულია (IX ს.) ფილოლოგ იბნ ხიშამის მიერ. ამ გადამუშავების შედეგად, მუჰამედის ბიოგრაფია შეივსო მითებით, თქმულებებითა და ლეგენდებით. შემდგომ ბიოგრაფიებში კი, მუჰამედის პიროვნება გადაიქცა ფანტასტიკურად და სასწაულმოქმედად.

მუსლიმანთა ძირითად სახელმძღვანელოში — „ყურანში" მუჰამედი ოთხჯერაა მოხსენიებული. ლ. კლიმოვიჩის სამართლიანი შენიშვნით, აქაც იგრძნობა, რომ ყველაფერ ამას უფრო გადმოცემისა და ლეგენდის ხასიათი აქვს. შემდეგში წარმოშობილი გადმოცემები წინასწარმეტყველ მუჰამედზე საფუძვლად უდევს მუჰამედის ბიოგრაფიებს არა მხოლოდ ღვთისმეტყველებთან, არამედ ისტორიკოსებთანაც. ამ გადმოცემების მიხედვით მუჰამედი დაბადებულია ჩ. წ. ა. 570 წელს.

მუჰამედი 24 წლის ყოფილა, როცა მდიდარი ქალის ხატიჯეს ქარავნის განმკარგულებელი გამხდარა. ერთი წლის შემდეგ, 595 წელს ხატიჯე ცოლად შეირთო. თვითონ ხატიჯე კი მუჰამედის არცთუ ისე შორეული ნათესავი ყოფილა (ერთი წინაპარი ჰყოლიათ მამის მხრიდან 3 თუ 4 თაობის წინ).

მუჰამედის ცხოვრების ძირითადი მომენტები ასეთია: 610 წელს იგი გამოქვაბულში შევიდა და თითქოსდა იქ მთავარანგელოზმა მიქელ გაბრიელმა მას გადასცა მუსლიმანთა საღვთო წიგნი „ყურანი". ამ წლიდან მუჰამედი იწყებს მუსლიმანური რწმენის ქადაგებას. 619 წელს გარდაიცვალა მუჰამედის პირველი ცოლი ხატიჯე, ცოტა ხნის შემდეგ კი გამზრდელი ბიძა აბუ-თალიბი. ამის გამო მან მიატოვა მექა და გადავიდა

შედინაში. აქედან მოყოლებული, მან შემოიკრიბა ჯარი და აწ-
არმოებდა დაპყრობით ომებს. 630 წელს მუსლიმანებმა მექ-
აიღეს, მექას მცხოვრებლებმა ისლამის და მუჰამედის ძალაუფ-
ლება აღიარეს. მუჰამედი გარდაიცვალა 632 წელს.

მუსლიმანთა წინასწარმეტყველის მუჰამედის ბიოგრაფია
ემყარება გადმოცემებს და ამის შესახებ არავითარი სანდო
წყარო თუ ცნობა არ მოიპოვება.

მუჰამედს თავისი პოზიციების განსამტკიცებლად თეორ-
იული ხასიათის ღონისძიებანიც გაუტარებია. ვ. სოლოვიოვის
აზრით, მუჰამედის მიერ აბრაამის არაბთა წინასწარმეტყველად
გამოცხადება (სინამდვილეში კი ასეთი არაბთათვის ისმაილია)
მოხდა იმ მიზნით, რომ მას ებრაელები და ქრისტიანები მიეზ-
იდა.

„მუჰამედის და მის მიერ დაფუძნებული რელიგიის ძირი-
თადი შეზღუდულობა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი მოკლ-
ებული იყო ადამიანურ სრულყოფილების იდეალს, ანუ
ღმერთთან ადამიანის სრული შერიგების — ჭეშმარიტ ღმერთ-
კაცის იდეალს“, — წერს სოლოვიოვი.

აქ ჰეგელის მსოფლმხედველობის გავლენის კვალი ჩანს.
ჰეგელი კი თვლის, რომ ადამიანის სრულყოფილი იდეალი
მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიაშია, მოცემული.

ვ. სოლოვიოვი მუსლიმანური რელიგიის არაპროგრესულ
ხასიათზე დაასკვნის: თუკი არ არსებობს სრულყოფილი იდე-
ალი, რომელიც ადამიანმა თუ კაცობრიობამ უნდა განახორ-
ციელოს თავისი ცხოვრების მანძილზე საკუთარი ძალებით,
მაშინ ამ ძალებისათვის არ არსებობს განსაზღვრული ამოცანა.
თუ არ არის ამოცანა და მისაღწევი მიზანი, მაშინ არ არის
მოძრაობა წინ. აი ჭეშმარიტი მიზეზი იმისა, თუ რატომ დარ-
ჩა უცხო მუსლიმანთათვის პროგრესის იდეა და მისი ფაქტი.

მუსლიმანური რელიგიის ძირითადი ამოსავალი და სახელმძღვანელო პრინციპები მოცემულია „ყურანში“, რომელიც შედგება მორალური, რელიგიური და პოლიტიკური წესებისაგან, აგრეთვე, მომავალი ცხოვრების შესახებ მუქარისა და დაპირებებისაგან, რომლებიც აღებულია ბიბლიური თქმულებებიდან, არაბთა გადმოცემებიდან და პირველი საუკუნეების ქრისტიანობისაგანაც კი. ყველაფერი ეს „ყურანში“ განლაგებულია ყოველგვარი წესრიგის გარეშე, კაზიმირსკის ეს შენიშვნა ნათლად აჩვენებს მუსლიმანური რელიგიის ძირითადი საღვთო წიგნის „ყურანის“ დამოკიდებულებასა და მიმართულებას იმ დროის სხვა დიდ მონოთეისტურ რელიგიებთან, კერძოდ იუდაიზმთან და ქრისტიანობასთან. მუსლიმანური რელიგია საზრდოობს იუდაიზმითა და ქრისტიანობით. პირველივე სურა, რომელიც ღმერთის ქებისადმია მიმართული, ბიბლიასთან ნათლობას ამჟღავნებს.

ახლა საკუთრივ „ყურანის“ შესახებ: ლ. კლიმოვიჩის აზრით, „ყურანი“ მუჰამედის სიკვდილის შემდეგ შექმნილი ძეგლია. ეს წიგნი („ყურანი“) შედგენილი იქნა VII საუკუნეში, ისლამის, როგორც რელიგიის გაფორმების პერიოდში. ეს ის წიგნია, რომელიც განიმარტება, როგორც წმინდა. ასეთებია: ვედები იდუსებთან, ავესტა ზორვასტრიზმში, ბიბლია („ძველი აღქმა“) ებრაელებთან და ბიბლია (ძველი და ახალი აღქმა) ქრისტიანებთან.

ამგვარი წიგნები უპირველესად შეიცავს თქმულებებს ღმერთზე, სამყაროს წარმოშობაზე, ღმერთის მიერ ადამიანის შექმნაზე და მათ შორის ადამიანთა ქცევებზე, მის სამართლიანობა-უსამართლობაზე. ისინი გარკვეულ როლს ასრულე-

ბენ ყოფითი და ზნეობრივი ნორმების დაფუძნებაში. იმ ქვეყნებში, კი, სადაც მუსლიმანური რელიგიაა გავრცელებული, უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო კანონები „ყურანს“ ემყარება. ასე იყო ადრე, ასეა ახლაც. ამდენად, ისლამის ძირითადი პრინციპების შესწავლა ამ მხრივაცაა მნიშვნელოვანი და აუცილებელი.

„ყურანი“ რომ უფრო გვიანაა შექმნილი ვიდრე ეს ისლამის მიმდევრებს წარმოუდგენიათ, ამაზე ლ. კლიმოვიჩი ამბობს: ცნობილი ისტორიკოსი ატ. ტაბარი (838-931) აღნიშნავს, რომ ყურანის III თავის 138-ე ლექსში, მესამე პირში ლაპარაკია მუჰამედის შესაძლო სიკვდილზე. ეს ადგილი ყურანის ქართულ ტექსტში ასეა: „მოვლინებული მხოლოდ მუჰამედია. მის უწინარეს სხვა მოვლინებულნი ყოფილან. იგი რომ მომკვდარიყო, ანუ მოეკლათ, უკუიქცეოდით განა? ვინც უკუიქცეს, ღმერთსა ვერა დააკლოს, ხოლო ღმერთი აჯილდოებს მათ, რომელნიც მისადმი მადლობას აღავლენენ“ („ყურანი“, თ. III, 138, გვ. 63). ამ სურაში გამოთქმული ეჭვი მუჰამედის სიკვდილის ნამდვილ ფაქტს ემყარება, ეს კი ნათლად აჩვენებს „ყურანის“ შემდეგ დროში შექმნაზე.

არაბეთის სახელმწიფომ აწარმოა დაპყრობითი ომები და აღმოსავლეთში მიაღწია შუა აზიამდე, ხოლო დასავლეთში — ესპანეთამდე, რასაც თან სდევდა მუსლიმანური რელიგიის გავრცელება. იქმნებოდა საფრთხე, რომ სხვადასხვა ხალხს, მუსლიმანური რწმენისა და მისი ძირითადი პრინციპებისათვის სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია მიეცათ. ამიტომაც აუცილებელი ხდებოდა „ყურანის“ ისეთ საერთო პრინციპზე დამყარება, რომელიც ყველა მუსლიმანთათვის საყოველთაო იქნებოდა. პირველად ამგვარი ცდა განახორციელა ხალიფა ოსმა-

ნმა (644-656). ლ. კლიმოვიჩის აზრით, შემდგომი ცვლილებები ყურანში გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, და ეს სხვადასხვა მიზეზებით იყო განპირობებული, ძირითადი კი იყო პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლა. საკმარისია გავიხსენოთ. რომ მუჰამედის სიკვდილის შემდეგ პირველი ოთხი ხალიფადან (632-661 წწ. აბუ-ბექირი, ომარი, ოსმანი, ალი), მხოლოდ აბუ-ბექირი მოკვდა საკუთარი სიკვდილით, დანარჩენები შეთქმულების მსხვერპლნი გახდნენ.

ყურანის ყველაზე ძველი ხელნაწერი VII საუკუნის ბოლოსა თუ VIII საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. ყურანი პოეტური პროზითაა გარითმული და ჰგავს ძველ ამბავს, რომელიც არსებობდა ისლამის წარმოშობამდე. თუმცა მასში არაა დაცული ერთიანი სტილი, გადმოცემული მასალიდან ნაწილი განეკუთვნება ძველ დროს, ნაწილი ახალს.

ყურანი 114 სურისაგან (თავი) შედგება. ყოველ სურაში სხვადასხვა რაოდენობის აეთებია (ლექსები). „ყურანის“ შესავალი ნაწილის სურები უფრო ბევრი აეთის შემცველია (მაგ. II სურა — 286 აეთი), ხოლო ბოლო ნაწილები უფრო ნაკლები აეთებისაგან შედგება (110-ე სურა — მხოლოდ სამ აეთს შეიცავს). მკვლევართა სამართლიანი მითითებით სურებში აეთების სხვადასხვა რაოდენობა ნათლად მიუთითებს ყურანის შექმნის პროცესის ხანგრძლივობაზე. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტია მუსლიმანური რელიგიის არსებისა და არსის გასაგებად. მუსლიმანები „ყურანის“ ავტორად მუჰამედს აღიარებენ. მაშინ როდესაც საკუთრივ „ყურანის“ შიგნით ნათლად მეღავნდება ამ მოსაზრების უსაფუძვლობა.

„ყურანი“ რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა ავტორის ხელით იქმნებოდა, ჩანს შემდეგიდანაც: მას-

ში ხშირად გვხვდება აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი აზრები. მაგალითად, თუ კი ერთგან ქრისტიანთა რწმენისადმი პატივისცემაა დაყენებული, მეორეგან ყოველი არამუსლიმანი ე. ი. მუსლიმანური რწმენის არამიმდევარი (და რა თქმა უნდა მათში ქრისტიანებიც იგულისხმებიან) მოსპობის ღირსნი არიან და ყველა მუსლიმანს „ყურანი“ მათი განადგურებისაკენ მოუწოდებს. ამგვარი წინააღმდეგობანი ყურანში მრავლადაა.

ლ. კლიმოვიჩის „ყურანის“ საფუძვლიანი ანალიზი ნათელს ჰფენს იმ ეპოქის ხასიათს, როცა ისლამი მკვიდრდებოდა. ერთგან დადებითი და მისაღები აზრია, მეორეგან დაშვებულია ისეთი პრინციპები, რომელიც თავისი არსებით ანტიჰუმანურია და ანტიადამიანურია. მაგალითად, „ყურანი“ კრძალავს ქორწინებას ახლო ნათესავებს შორის (ე. ი. სისხლის აღრევის წინააღმდეგია): „ნუ შეირთავთ ქალებსა, რომელნიც თქვენი მამების ცოლები ყოფილან“ (IV, 26), „არ შეგერთვით თქვენი დედები, თქვენი ქალიშვილები, თქვენი დები თქვენი მამიდები და თქვენი დეიდები, თქვენი ძმის თუ დისწულები, ძიძები, დობილები, სიდედრები, ქალიშვილები თქვენ საზრუნველად მობარებული... არ შეირთოთ მეტადრე ასულნი თქვენთა ძეთა...“ (IV, 27). ყველა აქ აღნიშნული მისაღებია და იმდენად საყოველთაოა, რომ მისი მიწერა ისლამისადმი არ იქნებოდა ალბათ სწორი. სამაგიეროდ იგივე ისლამში („ყურანში“) აღიარებული და დაკანონებულია ანტიადამიანური პრინციპები: „ქმრებსა აქვსთ ხარისხი თავიანთი ცოლთა უმაღლეს“ (II, 228). ერთი ოჯახის შვილებში, მამაკაცებს უფრო ბევრი ეკუთვნით მემკვიდრეობიდან, ვიდრე ქალებს. როცა კაცი მოკვდება, მისი მემკვიდრეობიდან „ყურანის“ მიხ-

ედვით, და-ძმებს „ვაჟსა ორის ქალის ნაწილი ერგოს“ (VV, 175); მამაკაცებს უფლება აქვს დაქორწინდეს რამდენიმე ქალზე („...მხოლოდ ორი, სამი, თუ ოთხი შეირთეთ იმ ქალთა შორის, თქვენ რო მოგწონთ“ — IV, 3).

ალბათ ამის დაშვებით იყო განპირობებული მუსლიმანურ ქვეყანაში ჰარამხანების არსებობა. მუსლიმანი დიდებულების ჰარემებს ავსებდნენ სხვადასხვა დაპყრობილი ქვეყნების ულამაზესი ტყვე ქალებით. ჰარამხანის ინსტიტუტების არსებობა, ადამიანური ღირსების დამცირების, შებღალვის და გათელვის ნათელი დადასტურებაა. ყველაფერი ეს კი სანქციას „ყურანიდან“ იღებს.

„ყურანში“ არის ისეთი ადგილებიც, რომელთა სინამდვილე ეჭვს იწვევს: ბრძოლები, თქმულებები მუსლიმანთა ბელადებზე.

„ყურანის“ ბიბლიასთან სიახლოვე მჟღავნდება წინასწარმეტყველთა შესახებ საუბრებში. თუმცა წინასწარმეტყველთა სახელები არაბულ-მუსლიმანურადაა გადაკეთებული. ასე, მაგალითად: ნოე — ნუხი, აბრაამი — იბრაჰიმი, იაკობ, — იაყუული, იოსები მშვენიერი იუსუფი, მოსე — მუსა, არუნ — ჰარუნი, იოკე — ეუბი, დავითი — დაუდი, სოლომონი — სულეიმანი, ილია — ილიასი, იესო ქრისტე — ღისა (ისა), აგრეთვე ეწოდება ისაიბნ-მარიამი — იესო მარიამის შვილი.

„ყურანში“ ხშირად ცნობილი ბიბლიური თქმულებები ჩამოთვლილია, როგორც უცნობი და ახალი. ასეთია, მაგალითად, მოძღვრება იოსებ მშვენიერზე (იუსუფზე), მის მშობლებსა და ძმებზე. მითი ისლამის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე იყო გავრცელებული; იოსებ მშვენიერის ამბავი კი მოთხრობილია „ყურანის“ XII სურაში.

„ყურანის“ შინაგანი წინააღმდეგობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მასში ქრისტე წინასწარმეტყველადაა აღიარებული —„მესია, იესო მარიამის ძე, მოქცეულია ღვთისა და მისი სიტყვა, რომელიც მარიამს შთაუგდო, ღვთისაგან მომავალი სულია“ (IV, 169). მაგრამ, იმავე აეთში ქრისტეს მოძღვრების არსებითი პინციპებია უარყოფილი. „მაშ ღმერთი და მისი მოციქულები იწამეთ, და ნუღარ იტყვით, სამება არისო. თავი დაანებეთ, თქვენთვის უფრო სასარგებლო იქმნას. ვინაიდგან ღმერთი ერთი არს, დიდება მასა, როგორ ეყოლებოდა ძე? “ (იქვე). აქ ერთი რამ ცხადია: ქრისტე და მისი მოძღვრება ერთმანეთისაგან განუყოფელია. თუკი ქრისტეს, წინასწარმეტყველად აღიარებენ, მაშინ უნდა მიიღო მისი მოძღვრებაც. „ყურანში“ კი ასე არაა. მასში ერთიანი პრინციპი არაა გატარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა სხვადასხვა ავტორების მიერ.

„ყურანში“ ერთმანეთს ეწინააღმდეგება აგრეთვე მუსლიმანური რელიგიის ძირითადი პრინციპები. ბევრგან აღნიშნულია, რომ „ადამიანს მისი ამქვეყნიური დამსახურების ღვთაებრივი სამაგიერო, სიკვდილისთანავე ერგუნება“: ვინც სიკვდილის ანგელოზებმა შეჰკრიბონ სიკვდილის ჟამსა, მორჩილება გამოიჩინონ და ჰსთქვან: არაფერი არ ჩაგვიდენიაო. ჰოდა, უთუოდ ჩაგიდენიათო, უთხრან ანგელოზებმა. ღმერთმაც კარგად იცის, რაც გიმოქმედიათ“ (XVI, 30) და სხვა. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

„ყურანში“ გატარებულია კრეაციის პრინციპები: ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა დროში, არაფრისაგან ნებელობითი აქტის საფუძველზე. ამ მხრივ მუსლიმანური რელიგია არ განსხვავდება ქრისტიანულისაგან და იუდაიზმისაგან.

მუსლიმანურმა რელიგიამ სწრაფად იწყო გავრცელება და სულ მოკლე დროში ერთერთ დიდ. მსოფლიო რელიგიად გადაიქცა. ისლამის წარმატებითი გავრცელების მიზეზები ფილოსოფიის პოზიციიდან ახსნილი აქვს ინგლისელ ფილოსოფოსს ბ. რასელს. ბ. რასელი მიუთითებს აღმოსავლეთის იმპერიაზე (ბიზანტია). მუსლიმანების თავდასხმის სპეციფიურობაზე. რომ მუსლიმანები დაპყრობის შემდეგ ქრისტიანებად კი არ იქცნენ, არამედ შექმნეს საკუთარი მნიშვნელოვანი ცივილიზაცია.

მუჰამედის შემდეგ არაბთა დაპყრობით ოპერაციებს დიდი წარმატებები ჰქონდა. 636 წელს დაპყრობილ იქნა სირია, ხოლო 650 წელს სპარსეთი; 64 წელს არაბები ინდოეთში შეიჭრნენ. რაც შეეხება მუსლიმანთა წინსვლას დასავლეთში, იგი შედარებით ნელა მიდიოდა.

ბ. რასელის აზრით, არაბთა წარმატება აღმოსავლეთში სხვადასხვა გარემოებებით იყო გაპირობებული. სპარსელები და აღმოსავლეთის იმპერია ხანგრძლივი ურთიერთ ომით იყვნენ დაკავებული. სირიელები თავისი ნესტორიანობის გამო შევიწროებას განიცდიდნენ კათოლიკების მხრიდან, ეს მაშინ, როცა არაბები (მუსლიმანები) ყველა სხვა ქრისტიანული სექტის მიმართ შემწყნარებელნი იყვნენ. აფრიკაში მუსლიმანები გაუერთიანდნენ ბერბერებს და მათთან ერთად შეიჭრნენ ესპანეთში, სადაც მათ დაეხმარნენ ჩრდილო გოთების უმკაცრეს დევნაში მყოფი ებრაელები.

მუსლიმანთა თავდაპირველი წარმატებანი მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ამ მოძღვრების სიმარტივითაც. ბ. რასელის აზრით მუჰამედის რელიგია მარტივი მონოთეიზმია,

რომელიც მოკლებულია სამების რთულ დოქტრინას. მუჰამედს არ ჰქონდა ღვთაებრიობის პრეტენზია, მან აღადგინა ებრაელების მიერ ხატთა აკრძალვა. მანვე აკრძალა აგრეთვე ღვინის გამოყენება. მუჰამედის მოწოდებით, მორწმუნეთა მოვალეობაა ისლამის სახელით იმდენი ქვეყნის დაპყრობა (რაშიც მუსლიმანობა თავისთავად იგულისხმებოდა) რამდენიც შესაძლებელია, მაგრამ ამავე დროს ქრისტიანთა, ებრაელთა და ზორვასტრელთა დევნა არ არის საჭირო, ისინი ხომ „საღვთო წიგნის“ ხალხია. „ყურანის“ მიხედვით კი არამუსლიმანთა შევიწროებაც იყო მოწოდებული.

არაბები დაპყრობილ ქვეყნებში საკუთარი მართვის სისტემას ავრცელებდნენ. არაბული ტომები თანდათანობით გადადიოდნენ მუსლიმანთა მხარეს. მათთვის „ეს გადასვლა-სარგებლო იყო, რადგან გადასახადი ამშემთხვევაში ერთობ მცირდებოდა, ძალიან ბევრი ქრისტიანობიდან ისლამზე გადადიოდა“ იმ მიზნით, რომ გადასახადისაგან გათავისუფლებულიყო. სწორედ ამგვარ მეთოდებს მიმართავდნენ აჭარაში თურქი დამპყრობლები მუსლიმანური რელიგიის გავრცელებისას. ამგვარად, ეს სპეციფიური თურქული კი არა, სპეციფიური მუსლიმანური მიდგომა ყოფილა, რომელსაც სათავე არაბებმა დაუდეს.

ბ. რასელის აზრით არაბული იმპერია წარმოადგენდა აბსოლუტურ მონარქიას, რომლის განმგებელი იყო ხალიფა. ხალიფა ითვლებოდა წინასწარმეტყველის — მუჰამედის მემკვიდრედ. ფორმალურად ხალიფას თანამდებობა არჩევითი იყო, მაგრამ მალე იგი მემკვიდრეობითი გახდა. მართალია არაბებმა დიდი ტერიტორია ჩაიგდეს ხელთ ისლამის ნიშნით, მაგრამ

არაბები „მაინც არ ყოფილან განსაკუთრებით რელიგიურნი; ამ დაპყრობების მამოძრავებელი ძალა მათთვის რელიგია კი არ იყო, არამედ ძარცვა და სიმდიდრე... და მხოლოდ იმის წყალობით, რომ არაბები თავისუფალნი იყვნენ ფანატიზმისაგან, ახერხებდნენ დიდი ტერიტორიის და ხალხების სხვა რელიგიის და მათზე ცივილიზაციით მაღლა მდგომთა მართვას“.

არაბების საწინააღმდეგო თვისებების მატარებელნი იყვნენ სპარსელები, რომლებიც უფრო რელიგიურნი იყვნენ ძველთაგანვე და მისწრაფება ჰქონდათ აზროვნებისადმი. სპარსელებმა „ისლამზე ყურადღების მიქცევის შემდეგ, იგი გადააქციეს უფრო რელიგიურად და ფილოსოფიურად, ვიდრე ამას წინასწარმეტყველი და მისი თანამოაზრეები ფიქრობდნენ“.

ისლამი სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა და ბუნებრივია, ყველგან ერთნაირი პრინციპებით მოქმედება შეუძლებელი იყო. დასაზუსტებელი იყო ისლამის ძირითადი პრინციპები, რათა ადვილად მისაღები ყოფილიყო იგი. მნიშვნელოვანი იყო მუსლიმანური რელიგიის ეთიკური თეორია, რომელიც ძირითადად „ყურანს“ ემყარებოდა.

მუსლიმანური რელიგიის ეთიკური თეორია გადმოცემულია „სუნაში“ რომელიც შედგება გადმოცემების (ე. წ. ხადისების) კრებულებისაგან, მათში ასახულია მუსლიმანთა წინასწარმეტყველის — მუჰამედის მოქმედებანი და ქცევები, სადაც უპირატესად აქცენტი გადატანილია მორალურ მხარეზე. ამ ქცევებში მუსლიმანები ხედავენ უმაღლეს ეთიკურ ღირებულებებს.

„სუნაში“ მოცემული მასალები აღებულია სხვადასხვა წყაროებიდან: თორადან, სახარებიდან, სპარსელ და ინდურ მოაზროვნეთა თხზულებებიდან. ყველაფერ ამას კი მიაწერდნენ

მუჰამედს. „სუნა“ გახდა მუსლიმანური სიმართლის — შარიათის მთავარი წყარო“. უკანასკნელი დროის სპეციალურ გამოკვლევებში არაა გაზიარებული აზრი, თითქოსდა შარიათი და მუსლიმანური სამართალი ერთი და იგივე იყოს. უფრო ზუსტად — უარყოფილია მოსაზრება შარიათზე, როგორც მუსლიმანურ სამართალზე.

გ. ქერიმოვის აზრით, შარიათი საკითხთა უფრო ფართო წრეს შეიცავს. მასში ისლამის პოზიციიდან გაშუქებულია, როგორც საერთო, ისე რელიგიური პრობლემები, შესულია აგრეთვე კანონთა ერთიანი სისტემა, რომელიც აწესრიგებს სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებს და ა. შ. შარიათში მოცემულია აგრეთვე აკრძალული და დასაშვები ქცევები. შარიათმა მუსლიმანი კანონმდებლობის თანახმად უნდა მოიცვას ადამიანის მთელი ცხოვრება დაბადებიდან საფლავამდე. შარიათი ავტორის აზრით უფრო ფართო ცნებაა. ხოლო მუსლიმანური სამართალი მისი შემადგენელი ნაწილია. შარიათი ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, მუსლიმანური სამართალი კი მხოლოდ ადამიანთა ცხოვრების სამართლებრივ მხარეს შეეხება.

ისლამური ტრადიციის თანახმად შარიათის მთავარი წყაროებია „ყურანი“ და „სუნა“. ამასთან, რამდენადაც ყურანსა და სუნაში არ მოიპოვება ყველა კითხვის პასუხი მორწმუნეთა ცხოვრების მართვის შესახებ, იმდენად შარიათს ამ საკითხების მოგვარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქედან ცხადი ხდება შარიათის შესწავლის დიდი მნიშვნელობა, მუსლიმანური რელიგიის არსის გასაგებად.

661 წელს დაიღუპა ხალიფა ალი, რომელიც როგორც

ცნობილია, მუსლიმანთა წინასწარეტყველის, მუჰამედის სიძე (ქალიშვილის ქმარი) იყო. ალის დაღუპვის შემდეგ მუსლიმანთა შორის იმატა განხეთქილებამ, რომელიც საბოლოოდ ორ მძლავრ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ეს მიმართულებებია — სუნიზმი და შიიზმი. ისლამის სუნიზმად და შიიზმად გაყოფა VII საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. მუსლიმანურ რელიგიაში არსებობს აგრეთვე სექტები (ისმაილიტების, ვაჰაბიტების, ბეხაიტების...)

მუსლიმანთა უმრავლესობა სუნიზმის მიმდევარია, სუნიტები ორთოდოქსალურ მუსლიმანებად ითვლებიან და ემყარებიან „ყურანს“ და სუნას“. შიიტები კი „ყურანს“ თავისებურად — ქარაგმულად განმარტავენ. სუნაში აღიარებენ იმ ხადისებს, რომლებიც მიძღვნილია მეოთხე ხალიფა ალისა და მისი მომხრეებისადმი. გარდა ამისა შიიტებს აქვთ საკუთარი „წმინდა გადმოცემები“ — ხარაბები, ანუ ახბარი. ყველაზე ადრეული მუსლიმანურ რელიგიაში იყო ხარიჯიტების მიმართულება.

ხარიჯიზმის მიმდევრები თავისებურად განმარტავდნენ „ყურანს“ და თანდათანობით ჩამოაყალიბეს თავიანთი რელიგიური დოქტრინა. სუნიტური ისლამის ოთხი პირველი ხალიფიდან, ისინი აღიარებდნენ აბუ-ბექირსა და ომარს, ხოლო ოსმანსა და ალის უარყოფდნენ. ხარიჯიტების მიმდევრები დღეს ძირითადად ომანსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში ცხოვრობენ.

სუნიტებსა და შიიტებს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ შიიტები ყველა ხალიფას კი არ აღიარებენ მორწმუნეთა მბრძანებელად, არამედ მხოლოდ ალის მიიჩნევენ, წინასწარმეტყველ მუჰამედის მემკვიდრედ. უფრო მეტი ისინი ალის

მუჰამედზე მაღლა აყენებენ. თითქოსდა, ანგელოზ ჯებრაილს (მიქელ გაბრიელს) შეეშალა და წინასწარმეტყველად მუჰამედი აქცია და არა ალი.

მუსლიმანების უმრავლესობა სუნიზმს აღიარებს (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, თურქეთი, მაროკო, ტუნისი, ალჟირი, საუდის არაბეთი...). შიიზმი ძირითადად გავრცელებულია ირანში, ერაყსა და იემენში. შიიტების ჯგუფი არის აგრეთვე პაკისტანში, ავღანეთში, ინდოეთსა და სირიაში.

გვინდა შევჩერდეთ მუსლიმანურ თეოლოგიაზე: მუსლიმანთა წმინდა წიგნებს სხვადასხვანაირად განმარტავდნენ. ისლამის პირველი ღვთისმეტყველები მუტაზილიტები იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ VIII საუკუნეში რაციონალიზმის პოზიციიდან ისლამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

მუტაზილიტები ილაშქრებოდნენ ტრადიციულ მორწმუნეობასთან დაკავშირებული ცრურწმენების წინააღმდეგ. ღმერთი, მათი აზრით, წმინდა სულია, რომლის შესახებაც მხოლოდ შემდეგის თქმა შეიძლება: „ღმერთი არის". „ყურანი" არ შეიძლება აბსოლუტურად ჭეშმარიტი იყოს. მუტაზილიტებმა წამოაყენეს ადამიანის ნების თავისუფლების პრინციპი: „ადამიანთა მოდგმა თვითაა სიკეთისა და ბოროტების შემოქმედი და აქ ღმერთი არაფერ შუაშია".

მუტაზილიტების საწინააღმდეგო მიმდინარეობას წარმოადგენდა მუტაკალიმანობა, რომელიც გახდა ისლამის ორთოდოქსალური დოქტრინა. აღნიშნული მიმდინარეობის დამფუძნებელი იყო ალ-აშირი (873-935) მუტაკალიმანების მიხედვით ყველაფერი, რაც ხდება სამყაროში, ღმერთის ნებას ექვემდებარება.

მუტაზილიტებისაგან განსხვავებით მუტაკალიმანების მოძღვრებაში ადამიანი მთლიანად ღმერთს ექვემდებარება. ადამიანები ყოველმხრივ განსაზღვრული არიან ღმერთით, მათ უფლება არა აქვთ უკმაყოფილონი იყვნენ ღმერთისა. „ღმერთი მოქმედებს აბსოლუტურად და რასაც ის აკეთებს მართალია, ვინაიდან ის აკეთებს“.

მუსლიმანური რელიგიის წიაღში წარმოიშვა აგრეთვე მისტიკურ-ასკეტიკური მიმართულება — სუფიზმი, რომელიც დასაწყისში (VIII-IXს. ს.) წარმოიშვა, როგორც ოპოზიციური მიმდინარეობა. თავდაპირველად სუფიზმის წარმომადგენლები ხალხის ფართო მასების გამომხატველნი იყვნენ. მუსლიმანური კულტურა დიდადაა დავალებული სუფისტური ფილოსოფიისაგან. სუფიზმის პანთეისტური ელემენტები სუფიზმის მიმდევართა ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან სიახლოვით იყო განსაზღვრული, ხოლო პანთეისტურ მსოფლმხედველობას რომ გარკვეული აზრით დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი.

სუფისტური მსოფლმხედველობა გავრცელებული იყო (და არის ახალაც სხვადასხვა ფორმით), როგორც სუნიტებში ისე შიიტებში. სუფიზმისათვის უპირველესად დამახასიათებელია ინტუიტურ-მისტიკური, ზელოგიკური მისწრაფება შემეცნების საგნისადმი. მუსლიმანური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები თავდაპირველად სუფიზმში იყო თავმოყრილი.

ისლამის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მუსლიმანურ რელიგიაზე, კერძოდ, ისლამისათვის, ისევე როგორც სხვა დიდი მონოთეისტური რელიგიებისათვის, დამახასიათებელია შინაგანი წინააღმდეგობა.

ისლამის მიმდევართა, მათ ღვთისმეტყველთა ყოველგვარი ცდა — აჩვენონ ამ რელიგიის პროგრესულობა, საფუძველს მოკლებულია. რელიგიურ მსოფლმხედველობათა (ჩვენს შემთხვევაში ისლამის) საფუძვლიანი შესწავლა, მის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის საწინდარია.

როგორ გავრცელდა ისლამი აჭარაში

საქართველოს კულტურამ შუა საუკუნეებში განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ამ პერიოდში ქართული კულტურა არა მარტო ეუფლებოდა მეზობელი ქვეყნების (საბერძნეთი, ბიზანტია, სპარსეთი) კულტურულ მონაპოვარს, არამედ უკვე ქმნიდა საკუთარს, დამოუკიდებელსა და ორიგინალურ თვითმყოფად კულტურას, რომლის გვირგვინიც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იყო.

შემდეგ საქართველოს ისტორიის ჩარხი უკუღმა დატრიალდა — იგი ჯერ მონღოლების, ხოლო შემდეგ მუსლიმანური სამყაროს გარემოცვაში აღმოჩნდა. ამ დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს უპირველესად ფიზიკურ გადარჩენაზე უხდებოდა ფიქრი. უთანაბრო ბრძოლებში საქართველო თანდათანობით კარგავდა წინა აზიაში პოზიციებს და ამასთან ერთად ტერიტორიებსაც. XV-XVI საუკუნეებში ქართული კულტურის უპირველესი ცენტრი — მესხეთი ოსმალთა ხელში აღმოჩნდა, მალე მას აჭარაც მიჰყვა. სწორედ ამ დროიდან იკიდებს ფეხს საქართველოში და კერძოდ აჭარაში ისლამი, როგორც რელიგია.

აჭარის ისტორია ძალზე ჰგავს მიტაცებულ სხვა ქართული კუთხეების ისტორიას. მომხვდურთა სამასწლიანმა ბატონობამ თავისი კვალი დააჩნია ამ კუთხეს. მოსახლეობამ დაკარგა ქრი-

სტიანობა, მაგრამ შეინარჩუნა ქართული ენა და ამის საფუძველზე ქართველობაც.

საუკუნე და ერთი ათეული წელია, რაც აჭარა დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა. ამ ხნის მანძილზე არსებითად შეიცვალა ცხოვრება, თუმცა, ეადმონაშთების დაძლევა აჭარის მოსახლეობაში დღესაც აქტუალური ამოცანაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 25 ნოემბრის დადგენილებაში „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ ნათქვამია: „...იმ ნეგატიურ მოვლენებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ საგრძნობ მორალურ და მატერიალურ ზარალს აყენებენ საზოგადოებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზოგიერთ კონსერვატიულ წეს-ჩვეულებას, ადათსა და დღეობას, რომლებიც ანაქრონიზმად იქცნენ და შეურიგებლად ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას“.

მართალია, დღეს აჭარაში მუსლიმანურ რელიგიას ის ძალა აღარ გააჩნია, რაც, წინათ, ვაგრამ მის წინააღმდეგ აგიტაციური მუშაობა სანამ იგი არსებობს, აუცილებელია.

ისლამის ხელდებულ ქვეყანათა ტექნიკური და კულტურული განვითარების საქმეში მეტად უარყოფითი როლი შეასრულა მუსლიმანური რელიგიის მიერ შექმნილმა „წმინდანთა“ კულტმა. მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც კი მუსლიმანები ცხოვრობენ, აღიარებულია რამდენიმე „წმინდანი“, რომელთა „მფარველობით“ სარგებლობენ მართლმორწმუნე მუსლიმანები. წარსულში ისლამს აჭარაშიც უხარებია ავი ფესვები, მაგრამ აქ არ არის აღიარებული და შექმნილი ისლამის „წმინდანი“, რის მიზეზიც აჭარის ზოგადეროვნულ ისტორიულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

არაბ და მონღოლ დამპყრობთა შემოსევების დროს ფეოდალური საქართველოს კულტურამ მიგრაცია განიცადა სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ანუ ტერიტორიისაკენ, რომელსაც ბიზანტია უწევდა მფარველობას. დამპყრობლების მიერ პოლიტიკურად და სულიერად დევნილი შიგასაქართველოს შევიწროებული მოსახლეობა თავშესაფარს შავი ზღვის სანაპიროზე ეძებდა. VII საუკუნიდან მეათე საუკუნის შუახანებამდე, როცა კავკასიის სხვადასხვა კუთხეში ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ ისლამს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჰყვაოდა ქართული კულტურა, იქმნებოდა სამცხე-საათაბაგოს ძლიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, რომელშიც აჭარაც შედიოდა.

აჭარაში ისლამი გაავრცელეს არა არაბებმა, არამედ თურქ-ოსმალებმა მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში. პოლიტიკური და ეკონომიური იძულებით შევიწროებულ აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს ძალდატანებით აქცევდნენ ისლამის მიმდევრებად. მიუხედავად ამისა აჭარის მოსახლეობა მუდამ იყო და რჩებოდა ქართველად და წმინდად ინახავდა ქართულ ენასა და ზნე-ჩვეულებას.

ქართველი ხალხის ამ უდიდესი სასიცოცხლო უნარით და გაუტეხელობით უნდა აიხსნას ისლამის „წმინდანთა“ არარსებობა აჭარაში. „მფარველი“ წმინდანების არარსებობის მეორე მიზეზად ისიც შეიძლება იქნას მიჩნეული, რომ ქართველი ხალხის ეს ნაწილი, რომელსაც მუქარით მიაღებინეს ისლამის რელიგია ,ეროვნულად კი არ განკერძოებულა, არამედ შეადგენდა მთლიანობას დანარჩენ ქართველ ხალხთან და ამიტომ მას არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა ისლამის მიერ მოწყობილ „სარწმუნოებისათვის“ ომებში.

აჭარის მკვიდრნი ებრძოდნენ თურქი დამპყრობლების არა მარტო პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ ბატონობასაც.

ისლამის რელიგიამ მეტად უარყოფითი და რეაქციული გავლენა იქონია აჭარის სინამდვილეზე. მრავალი მავნე ზნეჩვეულება დატოვა ხალხის ყოფაცხოვრებაში. რელიგიურ გადმონაშთებს დღესაც ვხვდებით აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში. ასეთია, მაგალითად, მკითხაობა, ექიმბაშობა, სიზმრის ახსნა, ჯადოქრობა, თვალისცემის, გათვალვის რწმენა და სხვა მრავალი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აჭარაში უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა დაიწყო, მშრომელებმა უარი თქვეს ისლამის ფანატიკურ ადათ-წესებსა და ტრადიციებზე, თუმცა აქა-იქ ზოგი კვლავ მისდევს რელიგიურ რიტუალებს, რომელიც საერთოდ ეწინააღმდეგება მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეს და უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა ყოფაცხოვრებაზე, ბოჭავს მისი შემოქმედებითი შრომის შესაძლებლობებს. ისლამის ისეთი გადმონაშთები, როგორიცაა მარხვა, ბაირამი, ყურბან-ბაირამი და სხვა, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი მორწმუნეთა ერთ ნაწილში. ყურბან- ბაირამის უცილობელი შესრულების აგიტაციას დიდი ზარალი მოჰქონდა და მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. იგი ყველა მორწმუნე ოჯახს ავალდებულებს შეასრულოს უაზრო რელიგიური ტრადიცია, რაც იწვევს პირუტყვის მასობრივ ჟლეტას.

ისლამის რელიგიური წესის თახახმად „მევლუდის თვეს“ მახასიათებელი და ჯერ კიდევ შენარჩუნებული რელიგიური რიტუალია „მევლუდი“.

ისლამის რელიგიურ წესთა შორის ერთ-ერთი მეტად დაუწოდებენ მუჰამედის დაბადების თვეს, ხოლო „მევლუდიე“

კითხვაა მუჰამედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მევლუდის რიტუალის შესრულებისათვის შეძლებული მუსლიმანი რამდენიმე ხნით ადრე ემზადებოდა, იგი გრძელდებოდა ოჯახში რამდენიმე საღამოს, ზოგჯერ მას მეჩეთში ან ჯამეშიც აწყობდნენ. მევლუდზე იწვევდნენ უფრო ხშირად გავლენიან მუსლიმანთა ნაწილს, ზოგჯერ კი ღარიბ მორწმუნესაც — მოწყალების მიღებისა და მონა-მორჩილების გრძნობათა გაღვივების მიზნით.

მუსლიმანური რწმენის მსახურთა აგიტაციის მიხედვით, მევლუდს აწყობენ „ღვთის მადლის მოსაგებად". იწვევენ დახელოვნებულ ხოჯას, რომელიც მევლუდის დიდებული ვახშმის მირთმევის შემდეგ იწყებს „მევლუდის" კითხვას. მევლუდის კითხვა-მოთხრობის შინაარსი გაანგარიშებული იყო საერთოდ ფანატიკოს მორწმუნეთა გრძნობების უაღრესი გაღიზიანებისათვის და მორწმუნე ადამიანში სულიერი სიმტკიცის დაცემისა და პესიმიზმის ფსიქოლოგიის შემუშავებისათვის. მევლუდის კითხვის დროს მორწმუნე მუსლიმანი იმღეროდ შედის ექსტაზში, რომ „ხედავს" მუჰამედის „მობრძანებას", რის გამოც ყველა ფეხზე დგება და იძახის: „მარაბა-ია, — მარაბა-ია, მარაბა", ე. ი. ესალმებიან ალაჰის მოციქულის მოსვლას.

მევლუდში დეტალურად გადმოიცემა მუჰამედის ცხოვრება და „საგმირო" საქმეები, მისი დაბადება, სიკვდილი, სამოთხეში ყოფნა, ანგელოზები და ყურანში მოცემული სხვა ზღაპრები.

მევლუდის რეალური მიზანია მორწმუნე მუსლიმანს დააყენებინოს თავისი-თავის წინაშე კითხვა: განა მას შემდეგ, რაც მუჰამედმა დასტოვა ეს ფუჭი და ცოდვილი ქვეყანა, ღირს ამაო და მოუსვენარი სააქაო ცხოვრება?.

მორწმუნე მუსლიმანი მევლუდის კითხვისას აღტაცებაში შედის სამოთხის სიმშვენიერის და სიტკბოების ზღაპრული აღწერით და თავისთავს მოუწოდებს მოემზადოს საიქიოს ცხოვრებისათვის, ხელი აიღოს ყოველგვარ სააქტო ზრუნვაზე და განცხრომაზე.

ამგვარად, „მევლუდი“ იყო გაბატონებული კლასისა და სასულიერო წოდების პოლიტიკურ-იდეოლოგიური ღონისძიება და იგი უაღრესად მავნე როლს ასრულებდა და ასრულებს ადამიანებში. იგი იწვევს მშრომელი ადამიანის სულიერ გამოფიტვას და ქადაგებს ამქვეყნად არსებობის უაზრობას. ამდენად, მის წინააღმდეგ თანმიმდევრული მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის აუცილებლობა ჩვენი საბრძოლო ამოცანაა.

რელიგიის თანამედროვე მსახურნი დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობაში, და მეტადრე ახალგაზრდობაში, რელიგიური რწმენის ჩანერგვასა და აღზრდას. ამიტომ ათეისტური მუშაობა უპირველესად სწორედ მოსახლეობის ამ ფენასთანაა საჭირო. საბოლოო ჯამში კი ყოველგვარი რელიგიის კრიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმას.

რელიგიისაგან ხალხთა გამორკვევისათვის ბრძოლა უნდა წარიმართოს კონკრეტული, პრაქტიკულ-თეორიული ღონისძიებების ჩატარების გზით.

ათეისტური აღზრდის პროცესმა შედეგად უნდა მოგვცეს აზროვნების შემოქმედებითი უნარის და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავება.

ისლამის წერილობითი ძეგლის — ყურანის ამოსავალი დებულება ადამიანის, როგორც ალაჰის მიერ შექმნილი არსების, ინტერპრეტაციაა. ყურანის მიხედვით ადამიანის მთავარი ღირსება და სრულქმნილება ღმერთისადმი ერთგული, პირუ-

თვნელი სამსახურია. ისლამური რელიგიის თანახმად საზოგადოებისა და ბუნების მამოძრავებელ ძალას ალაჰი წარმოადგენს და მისით არის განსაზღვრული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, იგი აკანონებს ერთის მეორეზე ბატონობას.

როცა ისლამი დაჩაგრულებს არსებობის მარადიულობის მიზნით მოთმინებას ჩააგონებს, ამით იგი ექსისტენციალიზმს ჰგავს, რომელიც ადამიანებს ჩააგონებს შინაგანი ექსისტენციის შეგრძნებით თავისი ყოფა მარადიული გახადონ. სწორედ ამიტომაა, რომ ისლამს, როგორც რელიგიურ მიმართულებას, თავისი ადათები, ზნეჩვეულებები და სამართლებრივი ნორმები ნასესხები აქვს ებრაული და ქრისტიანული რელიგიებისაგან.

გამომდინარე აქედან, ისლამური რელიგიის გამოააშკარავება ჩვენი აზრით არ უნდა მიმდინარეობდეს სხვა რელიგიური მიმართულებისაგან იზოლირებულად. მითუმეტეს, რომ დღეს არა მარტო ისლამის, არამედ სხვა რელიგიის მიმდევრებიც ცდილობენ თავიანთი შენობის საკეტი მოარგონ იმ სოციალური წყობის იდეოლოგიურ სხეულს, რომელშიდაც მათ უხდებათ ყოფნა.

ისლამური რელიგიის კრიტიკამ ჩვენდა უნებლიედ არ უნდა გამოიწვიოს სხვა რელიგიური სექტებისა და მიმართულებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება, რასაც ჩვენ ზოგჯერ ვხვდებით და რაც ჩვენი აზრით გამოწვეულია იმით, რომ ხშირად რელიგიური ეროვნულში იხლართება და ხელს უშლის მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის მიზანსწრაფულობას. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მორწმუნე ადამიანებთან ათეისტური მუშაობის დროს გვჭირდება ბეჯითი გონიერება და მოუდუნებელი სიფხიზლე, რათა საზოგადოება თვითდარწმუნებისა და მეცნიერული აღზრდით საბოლოოდ გავათავისუფლოთ რელიგიის ავბედითი ტყვეობისაგან.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

შარიათის დოგმები მლოცველობის შესახებ

მუსლიმანური სარწმუნეობის, როგორც ცრუმორწმუნეობაზე აგებული იდეოლოგიის შესაცნობად აზრსმოკლებული არ არის ვიცოდეთ, თუ რა მოთხოვნებს უყენებს შარიათი მის მიმდევრებს მლოცველობის მხრივ. ამის ერთ-ერთი სახეა ეგრეთწოდებული ხაჯობა.

წმინდა ადგილის სანახავად და სალოცავად მუსლიმანის მექაში წასვლას ხაჯობა ეწოდება. ესაა ისლამის ერთ-ერთი მთავარი მითითება, რომელიც მუსლიმანს ავალდებულებს ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ მოინახულოს მექა. ისლამის წარმოშობის ადრეულ საფეხურზე მლოცველობა გულისხმობდა მექაში ქაბის ტაძრის მონახულებას და შესაბამის წესჩვეულებათა შესრულებას. დროთა განმავლობაში კი ხაჯობაში შევიდა მუჰამედის საფლავის მონახულება ქალაქ მედინაში და ნაჯაზის — ისლამის წმინდა ქალაქის — მთელ რიგ მეჩეთებში ლოცვა. ისლამის მოძღვრების მიხედვით მექაში მლოცველობა ყველა მუსლიმანის მოვალეობას შეადგენს. შიიტები დამატებით ლოცვას ასრულებდნენ იმამ ხუსეინის საფლავზე. ქერბელაში მეოთხე ხალიფას — ალი იბნ-აბუ თალიმის, ისლამის წინასწარმეტყველის ბიძაშვილის საფლავზე ნეჯეთში, იმამ რეზისაზე მუშახდში და სხვა ადგილებზე. როგორც წესი, შიტეების მიერ იმამთა საფლავების მონახულება ოფიციალურ ხაჯობად კი არ იწოდება, არამედ ზიარეთად, მონახულებად ითვლება.

მედინელებთან მუჰამედის დაახლოებისა და ისლამის მიღების დროიდან მედინა იქცა მუსლიმანური მლოცველობის

ცენტრად და ყიბლად. მლოცველობის კანონები და წესები საბოლოოდ ჩამოაყალიბა და დააკანონა შარიათმა, რომელმაც დაადგინა მეჭაში მლოცველობის შემდეგი პირობები: 1. მლოცველი სრულწლოვანი უნდა იყოს: 2. არ უნდა იყოს არც გიჟი, არც მონა; 3. მლოცველობას უნდა ეწეოდეს არა აკრძალული საქმისათვის (ძარცვა, მკვლელობა და სხვა), არამედ სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისათვის;

4. მლოცველს უნდა ჰქონდეს საგზალი, ჰყავდეს სამგზავრო ტრანსპორტად ცხენი, აქლემი, ვირი და სხვა. თანამედროვე პირობებში კი უნდა ჰქონდეს ფული ბილეთის შესაძენად (საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტზე); იყოს ფიზიკურად ჯანმრთელი, რათა მლოცველობის მოთხოვნები შეასრულოს; გააჩნდეს საკმაო დრო, რათა ხაჯის ყველა ცერემონიალი შეასრულოს; გააჩნდეს სახსრები ოჯახის შესანახად; ჰქონდეს მეურნეობაში და ოჯახში საქმე ისე მოწყობილი, რომ ხაჯობიდან დაბრუნების შემდეგ მისი მეურნეობა არ დაეცეს. თუ ცოლმა იცის, რომ ხაჯობის შემდეგ მისი ქმარი ხელმოკლედ აღმოჩნდება, არაა აუცილებელი ქმარი მლოცველობაზე წავიდეს. შარიათი ღარიბებს ჩააგონებს, რომ ღარიბი კაცისათვის ხაჯობაზე წასვლა არაა აუცილებელი. თუ მუსლიმანი ხაჯობაში მიემგზავრება სხვა მიზნით (ვაჭრობა და სხვა), მას შესაძლებლობის შემთხვევაში ევალება მლოცველობაც შეასრულოს.

შარიათით ნებადართულია ხაჯობის შესრულება დაქირავებით: თუ მუსლიმანს საამისო საშუალება აქვს და ხელს არ უწყობს ჯანმრთელობა, შეუძლია დაიქირავოს სხვა და გაგზავნოს.

შარიათი ნებას იძლევა, მამაკაცმა ხაჯობის ლოცვა შეასრულოს ქალისათვის და პირიქით.

შარიათის აკრძალვისა და გაკიცხვის მიუხედავად მუსლიმანური ქვეყნების ხალხები არ ემორჩილებოდნენ მას და მაინც ცდილობდნენ შეესრულებინათ მლოცველობა. შარიათით არაშეძლებულთა კლასის მიმართ მლოცველობის აკრძალვა წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ხაჯობა სრულდება ყოველწლიურად, მუსლიმანური კალენდარის მეთერთმეტე (ზულ-ხიჯის) თვეში. ხაჯობაზე ნათელი წარმოდგენისათვის სასურველია ვიცოდეთ ადგილები, სადაც ეს ლოცვები ტარდება... ესაა ძირითადად საუდის არაბეთის ორი „წმინდა“ ქალაქი, მექა და მედინა.

მუსლიმანთა წარმოდგენით მექაში მდებარეობს ქააბა წმინდა „შავი ქვით“ (ხაჯარ ალ-ასვადი); ქალაქსა და მის გარეუბნებში საფასა და მერვის ბორცვები, წმინდა ჭა ზემზემი და არაფათის ველზე — ადგილი მუზდალაფი.

მედინაში კი არის მუჰამედის, მისი ქალიშვილის — ფატიმას, „წმინდა ხალიფების“ აბუ-ბაქრის, ომარის, ოსმანის, მუჰამედის მეუღლის — აიშეს საფლავები და მუჰამედის მეჩეთი (მასჯიდ ნაბავი).

მექასა და მედინას გარდა მლოცველები გზად შეივლიან ქალაქ ტაიფში. ყოველივე ეს ხაჯობის მლოცველთა ობიექტებია. ცრუმორწმუნეობით დაბანგულმა მუსლიმანურმა სამყარომ აღმოსავლეთის ცნობილი ქალაქები განსაკუთრებული ეპითეტებით შეამკო: „მექა — „ალ-მუკარამა“, „უმ-ალ-კურა“ („კურთხეული მექა“, „ქალაქთა დედა“), მედინა — „ალ-მუნფარა“ („შუქმფინარი მედინა“), ბაღდადი — მედინათა ასსალამ (ბაღდადი მსოფლიოს ქალაქი) დამასკო — „ჯანნათ ალ-დუნია“ (დამასკო დედამიწის სამოთხე), ქაირო—„ალ-ვახირა“

(ძლევამოსილი), ბუხარა — „რუი ზამინი“ („დედამიწის სახე“), სტამბული „დარ-ას-საადეთ“ — („განცხრომის სავანე“) და ა. შ.

ხაჯობის წესებიდან გამომდინარე საუდის არაბეთის მიწაზე მლოცველები ფეხს განსაკუთრებულად შემოსილები ადგამენ: ისინი შემოსილნი არიან ეხრამით, რომელსაც არ მიჰკარებია არც საკერავი მანქანისა და არც ხელის ნემსი. ფეხსაცმელი მთლიანად უნდა იყოს, ყოველგვარი შესაბნევების გარეშე, როგორც წესი, ეხრამასა და ფეხსაცმელებს მლოცველები იძენენ მექის გზაზე — სუდანში, სირიასა და სხვა ადგილებში.

ეხრამი შედგება ფანელის ან ტილოს ორი ნაჭრისაგან. ერთ ნაჭერს იხვევენ წელს ქვემოთ, მეორეს, უფრო მოზრდილს კი გადაიგდებენ მარცხენა მხარზე, გამოატარებენ მარჯვენა იღლიის ქვეშ და სხეულის ზედა ნაწილს იფარავენ.

ხაჯობის წესის მიხედვით, ერთხელ ჩაცმულ ეხრამს ვეღარ გაიხდის სახაჯო ცერემონიალის დამთავრებამდე. ვინც რაღაც აუცილებლობის გამო დაარღვევს ამ წესს, მოვალეა ყურბან ბაირამის წინ დაკლას ცხვარი და ამით გამოისყიდოს დანაშაული. ეხრამაში შემოსილთ ეკრძალებათ ფრჩხილებისა და თმის შეკრეჭა ან სახის გაპარსვა, საპნის ხმარება, კბილის გამოწმენდა. თამბაქოს მოწევა. მლოცველმა ამ პერიოდში არავის არ უნდა აწყენინოს, ბუზიც და ჭიანჭველაც კი არ უნდა მოკლას, ხიდან ფოთოლი არ მოწყვიტოს, იგი მთლიანად უნდა ჩაეფლას ღმერთზე ფიქრებში.

ხაჯობის ცერემონიალი იწყება ქააბის ირგვლივ შემოვლით. ქააბის ზღურბლზე მლოცველები არაბულად წარმოთქვამენ შემდეგ ფრაზას: ლაბეიკ ალაჰუმა — ლაბაიკ-ლაშარიკ

ლაკა, ლაბეი („აი მე შენს წინაშე ვარ, ო, ალლაჰ არ გყავს შენ თანასწორი, შენ მარტო ხარ“). მლოცველები შვიდჯერ შემოუვლიან ქააბას და შვიდჯერ ასრულებენ რიტუალურ გარბენს საფასა და მერვის ბორცვებს შორის. როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხებთან, არაბებშიც ციფრი შვიდი წმინდა ციფრად ითვლება. როგორც წესი ქააბას მოვლა შვიდჯერ ხდება სურვილის მიხედვითა და მცოდნე სასულიერო პირის, იმამის, ან შეიხის წინამძღოლობით.

ქააბამდე მარმარილოს გზა მიდის, რომელთა შორის წინა, მსხვილი წითელი სილითაა მოყრილი. მლოცველები შედიან ქააბის მეჩეთის — ალ სარამის (აკრძალული მეჩეთი) ეზოში, ჭიშკრით, რომელიც „ბაბულ-ნიჯათის“ სახელს ატარებს და ნიშნავს (ხსნის ჭიშკარი).

ქააბის აღმოსავლეთ გარეთა კედლის მარცხენა კუთხეში მოოქროვილი კარების ქვემოთ ინახება წმინდა „შავი ქვა“ — ხაჯარ ალი-ასვადი. ნიშის სიდიდე საშუალებას აძლევს მლოცველებს თავი შეყონ შიგ და ტუჩებით შეეხონ „წმინდა ქვას“, მაგრამ ხალხის მოზღვავების დროს ეს არ ხერხდება, და ბევრი მხოლოდ ხელების შევლებით კმაყოფილდება, შემდეგ ხელებს კოცნის და ისვამს სახესა და თვალებზე. ქააბას მოოქროვილი ჭიშკრის პირდაპირ ამაღლებულია პატარა ნაგებობა, აქ მოთავსებულია ქვის ფილა, რომელზედაც თითქოს დარჩენილია აბრამის ფეხის კვალი. ისლამი ამტკიცებს, რომ ქააბა აშენებულია აბრამისა და მისი შვილის ისმაილის მიერ. წინასწარმეტყველი აბრამის საპატივცემულოდ მლოცველები ორჯერ ასრულებენ ლოცვას და ადიდებენ აბრამს.

იბრაიმის გვერდით განლაგებულია ჭრელი, არაბული ორნამენტით შემკული შენობა, რომელშიდაც მდებარეობს ჭაზემზემსუ. ამჟამად მისი წყლით მილიონობით მლოცველი სა-

რგებლობს. ჭამ ეს მოთხოვნილება რომ დააკმაყოფილოს, ელექტრომილებით აწვდის წყალს ონკანებს.

ქააბის პირველი შემოვლის დროს მლოცველები შიგა ნაწილს მოინახულებენ. შემოვლისა და ჭიქიდან წყლის დალევის შემდეგ, როგორც ვთქვით, მლოცველები აწყობენ გარბენას საფასა და მერვის ბორცვებს შორის, გარბენის ისტორია დაკავშირებულია ლეგენდასთან: „როდესაც აბრამმა პირველი ცოლის, სარას მოთხოვნით, მეორე ცოლი აგარი განდევნა, ეს უკანასკნელი ფეხმძიმედ იყო. ბავშვის დაბადების შემდეგ აგარმა წყლის ძებნაში შვიდჯერ გაირბინა საფასა და მერვეს ბორცვებს შორის, სანამ არ აღმოაჩინა წყარო ჩვილის ფეხებთან“... მლოცველებიც თითქოს აგარის მიბაძვით შვიდჯერ აწყობენ ამ ბორცვებს შორის გარბენას, შემდეგ მიწის ველზე ისინი კენჭებს აგროვებენ, რათა ესროლონ სამ ყოფილ კერპს, ეს სამი კერპი, რომლებიც ქვის თეთრ სვეტებს მოგვაგონებენ, შემოღობილია თეთრივე ქვის კედლით. ისინი დემონებს ანსახიერებენ. ამის შემდეგ მლოცველები მიდიან არაფაზის ველზე, სადაც მექელი იმამის ქადაგებას უსმენენ.

ხაჯობის მეათე დღეს იწყება ყურბან-ბაირამი, მლოცველები მსხვერპლს სწირავენ, კლავენ ცხვარს ან აქლემს. მუსლიმანთა წარმოდგენით, ყურბან-ბაირამის დღეს შეწირული საქონელი განკითხვის დღეს იცნობს თავის კეთილისმყოფელებს და თავისი ზურგით გადაიყვანს მათ სამოთხეში.

ხაჯობის მეორე „წმინდა“ ქალაქში, მედინაში წასვლის წინ მლოცველები აწყობენ ქააბის ირგვლივ გამოსათხოვარ შემოვლას, ფაფათ-ალვიდს, რის შემდეგაც იღებენ ხაჯის ტიტულს. გზად ისინი ქალაქ თაიფში შეივლიან. თაიფი საუდის არაბეთის ერთ-ერთი საკურორტო ქალაქია, რომელიც ზღვის დონიდან 2400 ფუნტის სიმაღლეზე მდებარეობს. თაიფი იმითაა

მნიშვნელოვანი, რომ გადმოცემის თანახმად იქ ნათესავების მიერ ღევნილი მუჰამედი იმალებოდა. თაიფში მდებარეობს წინასწარმეტყველი აბასის ცნობილი მეჩეთი, სადაც მლოცველები აგრეთვე ასრულებენ ლოცვას.

ქალაქ მედინას დიდი მეჩეთი აგებულია გამომწვარი აგურისაგან და მუსლიმანური არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მეჩეთის იატაკი და კედლების შიგა მხარე გაწყობილია მარმარილოს ფილებით. მის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილზე მდებარეობს მუჰამედის მუდმივი განსასვენებელი. აკლდამის გარეთა კედლები ცისარტყელას ფერებითაა გაწყობილი; აკლდამასთან მისვლისას მლოცველები ვალდებულნი არიან წარმოთქვან სიტყვები: „ეს-სალამ, ვას-ალათ...“ („მშვიდობა და ლოცვა შენდა წინასწარმეტყველო, ალაჰის რჩეულო, ო, დიდო გამჭვრეტელო“).

მედინის ტერიტორიაზე მდებარეობს პატარა სასაფლაო „ჯანათ ალბაგის“ („მუდმივი სამოთხე“) სახელწოდებით, სადაც, როგორც ვთქვით, დაკრძალულნი არიან მუჰამედის ქალიშვილი ფატიმა, ცოლი აიშე, ხალიფა აბუ ბექარი, ომარი და ოსმანი. შარიათის მიმდევარი მლოცველი ქალები აუცილებლად მიდიან ფატიმას საფლავზე, სადაც ღარიბებს მოწყალებას ურიგებენ.

საჭიროა ითქვას მექას შავი ქვისა და ზემზემ სუს, როგორც თაყვანისცემის ობიექტების შესახებ. შავი ქვის მეტეორიტული წარმოშობა მეცნიერებში ეჭვს არ იწვევს, ისლამური კანონი კი შავი ქვის ადგილიდან დაძვრის უფლებას არ იძლევა, რომ ქიმიური შემადგენლობა შესწავლილი იქნას.

ლეგენდაში ნათქვამია, რომ შავი ქვა დაკიდულია ცასა და მიწას შუა ისევე, როგორც თვით ქააბა. რაში მდგომარეობს „ქააბის“ საიდუმლო? როგორც ცნობილია, ქააბა მღებარეობს

შექის ცენტრში ჩაღრმავებულ ადგილას, დაბლობზე, სადაც ყოველი მხრიდან მიემართება მრავალი ქუჩა და შესახვევი.

რომ გავიგოთ „დაკიდებული ქააბის“ „სასწაულის“ საიდუმლო, საკმარისია ზევიდან დავხედოთ ქააბის მხარეს. ქააბა — ესაა ქვის კუბური შენობა, რომლის ყოველი მხრის სიგრძე დაახლოებით ექვსი მეტრია, სიმაღლე კი შვიდი. ზემოდან იგი დაფარულია საბურით, ე. წ. ქისვით, რომელიც ქააბის სახურავიდან მის საძირკველამდე ეშვება.

თუ ქააბის შენობას ცხელ, შუადღის ამინდში ზემო ქუჩებიდან შეხედავთ მზის დამაბრმავებელი სხივების ქვეშ შორიდან ისე ჩანს, თითქოს საბურავი ორადაა გაყოფილი და ქააბის ზედა მხარე თითქოს ჰაერში ჰკიდია. ბუნებრივია, რომ მზის ამოსვლამდე, ან მისი ჩასვლის შემდეგ „დაკიდებული“ ქააბის „სასწაული“ არ ჩანს. და სწორედ, ამ არცთუ მარტივ თვალსანახავს ემყარება მუსლიმანთა ეს ცრუ რწმენაც.

მეოთხე ხალიფის — ალი იბნ-აბუ თალიბის და მისი შვილის იმამ ხუსეინის, აგრეთვე ალის ერთ-ერთი შთამომავლის, იმამ რეზას საფლავებზე მლოცველობა მტკიცედ დამკვიდრდა შიიტების წეს-ჩვეულებებში.

მლოცველები მიდიან აგრეთვე რეზას დის, მასუბის საფლავზე ირანში. შიიტთა იმამების შთამომავალთა საფლავები მუსლიმანური სამყაროს ბევრ ქვეყანაში, აზერბაიჯანის ქალაქ კიროვაბადის ახლოს არის პატარა სასაფლაო — იმამ-ზადე ანუ სეი-ზადე, სადაც მდებარეობს შიიტთა უცნობი იმამის შთამომავლის საფლავი. მაგრამ შიიტურ შარიათში აუცილებლად და ოფიციალურად ითვლება იმამების—ხუსეინისა და რეზას საფლავების მონახულება. ამ საფლავების მონახულების შემდეგ მლოცველები ღებულობენ „ქერმალაისა“ და „მეშედის“ ტიტულებს.

ქალაქების ნეჯეთისა და ქერბელას წარმოშობა დაკავშირებულია ხალიფა ალისა და მისი ვაჟის, იმამ ხუსეინის დაკრძალვასთან. ალი 661 წელს ქალაქ კუფაში მეჩეთიდან გამოსვლისას მოკლეს. მუსლიმანური შიიტური ლეგენდა მოგვითხრობს, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი ხალიფა თავისივე ანდერძის თანახმად აქლემზე მიაბეს და კუფის მიდამოებში გაუშვეს. 20 კმ გავლის შემდეგ აქლემი, მუხლებზე დაეშვა. ხალიფა იქ დაასაფლავეს, სადაც საფლავის ირგვლივ შემდგომში წარმოიშვა ქალაქი ნეჯეთი, რაც ბორცვს ნიშნავს. შიიტური ტრადიცია ქალაქს „ნაჯეფ-ალ“ აშრაფს უწოდებს. მოგვიანებით ალის საფლავზე აგებული იქნა ოქროს მეჩეთი ოქროს გუმბათითა და განუმეორებელი სილამაზის მინარეთებით.

ნეჯეფში მოქმედებს შიიტური უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი „ალ-მადრასა“, „ალ-ჯაფარია“, რომელიც ირანული საფეიქრო მრეწველობის ფაბრიკანტის, ხაჯი იტეფაკის სახსრებით აიგო. მედრესში სწავლობენ სტუდენტები ერაყიდან, ირანიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან, ავღანეთიდან და მუსლიმანური აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან. ნეჯეფში ალის მეჩეთი სავსეა ძვირფასი თვალმარგალიტებით (ზურმუხტით), ძვირფასი ხალიჩებით, უზარმაზარი ჭაღი სუფთა ოქროთია ნაჭედი, აგია სპარსული ნოხი, რომლის სიგრძე 92 მეტრია, ხოლო სიგანე 1,8 მეტრი. იგი 2,5 მილიონ დოლარადაა შეფასებული. მავზოლეუმის კარების დასამზადებლად გამოყენებულია სამ ტონაზე მეტი ოქრო.

ნეჯეფიდან 80 კილომეტრზე, ჩრდილოეთით. მდებარეობს, ქალაქი ქერბელა, რომელიც წარმოიშვა ხალიფა ალის ვაჟის. წინასწარმეტყველ მუჰამედის შვილიშვილის, იმამ ხუსეინის საფლავის ირგვლივ. ხუსეინი მოკლულ იქნა 680 წელს ობი-

ადთა ხალიფას, იაზად-იბნ მუავის მითითებით. შიიტური ტრადიცია ქერბელაში მოკლულ იმამ ხუსეინსა და მის მომხრეებს უწოდებს შახიდ ქერბელაის (ქერბელას წამებულნი). ხოლო 680 წელს მოშხდარ ამბავს — ქერბელას ტრაგედიას.

შიიტები ყოველწლიურად მუხარამის თვეში აწყობენ სამგლოვიარო ქელეხს — შახსეი-ვახსეის, რითაც იმამ ხუსეინს გლოვობენ. ქერბელაში მდებარეობს ალ-აბასის, იმამ ალი-ხუსეინის ძმის საფლავი და მეჩეთი. იმის გამო, რომ ალი-აბასი მხოლოდ მამით იყო ალ-ხუსეინის ძმა (მისი დედა სპარსელი იყო, და წინასწარმეტყველ მუჰამედის ქალიშვილი არ ყოფილა), იგი არ შესულა შიიტთა იმამების რიცხვში, მაგრამ შიიტები, განსაკუთრებით ირანელები, დიდად აფასებდნენ ალ-აბასის, როგორც მებრძოლის ხსოვნას და მას ხაბრათ-აბასს უწოდებენ.

ასეთია ძირითადად მუსლიმანთა სარწმუნოებაზე დამყარებული მომლოცველობის წეს-ჩვეული.

ხაჯობასთან დაკავშირებული მთელი რიგი სიძნელეები უამრავ თავსატეხს უჩენს მექასა და შორეული ქვეყნების მორწმუნეებს. ხშირია შემთხვევა, როცა მორწმუნე მთელ თავის სიცოცხლეში, ზოგჯერ 50-60 წლის განმავლობაში აგროვებს ხაჯობაში წასასვლელ სახსრებს. ამით სარგებლობენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები, ისინი გაიდებენ ხოლმე მლოცველთათვის მცირე ხარჯებს, მორწმუნე კი ვალდებულია მის სასარგებლოდ იმუშაოს მთელი სიცოცხლე. ფანატიკურად განწყობილი მორწმუნეები მატერიალურ სიძნელეებს არ უშინდებიან, რითაც მთელ ოჯახსა და საკუთარ თავს ღიდ ეჭვირვებაში ავდებენ. შემთხვევითი არ არის, რომ ჯერ კიდევ შუა საუ-

კუნეებში მუსლიმანური აღმოსავლეთის თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები უარყოფითად უყურებდნენ მლოცველობის წეს-ჩვეულებებს. ცნობილია მეათე საუკუნის სუფი პანათეისტი ალ-ხარაჯ ალ-მანზური, რომელიც ბაღდადში სიკვდილით დასაჯეს, როგორც ისლამისაგან გამდგარი, იგი მოითხოვდა სრულებით მოსპობილიყო ხაჯობის წეს-ჩვეულება. უკიდურესი სუფიები ქააბასაც უარყოფდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ჭეშმარიტი ქააბა — ეს გულია და არა ქვის სახლი.

მექაში ხაჯობასთან დაკავშირებულ დიდ სიძნელეებს ისლამის ზოგიერთი იდეოლოგი მიჰყავდა აზრამდე, რომ ქააბის მაგივრად ადგილებზე შეექმნათ სახაჯო სამლოცველოები.

ჰამადიეს მუსლიმანური სექტის წარმომადგენელი ინდოეთში, მირზა გულამ ახმად გადიანი (1818-1908) ამტკიცებდა, რომ ყოველ მუსლიმანს უფლება აქვს ჰქონდეს „საკუთარი მექა". მის შექმნას კი იგი ვარაუდობდა ქალაქ გადიანში-

თანამედროვე მუსლიმანი ღვთისმეტყველნი ანუ როგორც მათ ეძახიან, ისლამში მოდერნიზაციის მომხრენი ამტკიცებენ, რომ მექაში ლოცვა განამტკიცებს ძმურ კავშირს სხვადასხვა ხალხებსა და ეროვნებებს შორის, ხელს უწყობს მათი კულტურისა და ცივილიზაციის დაახლოებას. მათი აზრით ერთნაირ ტანისამოსში (ეხრამში) შემოსილი ადამიანები შეიგრძნობენ, რომ შესაძლებელია ერთნაირად ცხოვრება და ერთნაირად აზროვნება. მით უფრო, რომ „ღვთის სახლის" ზღურბლზე მყოფნი, მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა, სახის ფერის, ენობრივი განსხვავებისა, ღვთის წინაშე თანაბარი ხდებიან. ყოველივე ამით განმარტავენ თანასწორობისა და მეგობრობის დამყარების ფაქტორს, სინამდვილეში კი იგი მლოცველებში აძლიერებს დაყოფისა და პანისლამიზმის იდეოლოგიას.

ქააბასთან ერთად მექას მუსლიმანური მლოცველობის ცენტრად გადაქცევა დაკავშირებულია მუჰამედისა და წართმეული მექას ლიდერებს შორის კომპრომირებულ შეთანხმებასთან. ამ შეთანხმების თანახმად მუჰამედმა მექაში ისლამი მიიღო, ქააბის ტაძარში, მოსპო კერპები, მაგრამ შეინარჩუნა საასულიერო ცენტრის ისლამამდელი პრესტიჟი ახალ ისლამურ შუქზე.

მექას რელიგიურ პრესტიჟს მუსლიმანური სარწმუნოების მსახურნი იყენებენ მუსლიმანთა ფანატიკური მისწრაფების ძლიერებისა და მექისადმი მუსლიმანური ქვეყნების სულიერი დაქვემდებარებისათვის.

ისლამური ქადაგება მარხვასა და საკვების აკრძალვაზე

მარხვა, ისლამის კანონში (თარხში) შემავალი აუცილებელი ვალდებულებაა მორწმუნეთათვის. ამ წესის წარმოშობის მიზეზი არაა ახსნილი შარიათის წყაროებსა და დადგენილებებში, თუმცა, ნათქვამია, რომ იგი ღმერთის ნება-სურვილითაა დაკანონებული. ეს ნიშნავს, რომ მისი შესრულება განსჯას, მით უფრო ეჭვის ქვეშ დაყენებას არ ექვემდებარება. მორწმუნე მუსლიმანს აიძულებენ ბრმად შეასრულოს შარიათის მოთხოვნილებანი და არ შეეცადოს მათი წარმოშობის მიზეზის გამოკვლევას. მუსლიმანთა წინასწარმეტყველის გამონათქვამით ისლამი ღაღადებს, რომ „ეჭვს ურწმუნოებისაკენ მივყევართ“. ამ მითითებათა ფონზე სულიერ მოღვაწეთა მტკიცებანი, რომ ისლამის რელიგია ღრმა მრწამსზეა დაფუძვნებული, ცარიელ სიტყვებად რჩება. ისლამის ძირითადი კანონები, დოგ-

მატები და წეს-ჩვეულებანი მხოლოდ და მხოლოდ ბრმად სრულდება. ღვთისმეტყველური ლიტერატურა სამაგიეროდ მდიდარია ისლამის კანონების დამცველთა და მარხვის წეს-ჩვეულების თავგამოდებულ შემსრულებელთა შესახებ მოთხრობებით.

მუსლიმანური მარხვა განსხვავდება ქრისტიანული და სხვა რელიგიური მარხვისაგან. ისლამი კატეგორიულად კრძალავს საჭმელ-სასმელის მიღებასა და დაყნოსვასაც, ადრე დილიდან დაბნელებამდე. მუსლიმანები მარხვას იცავენ მთვარის კალენდარული 30 დღის განმავლობაში.

მუსლიმანური მარხვა ყველაზე მკაცრი, მტანჯველური და აუტანელია, ისლამის ყველა წეს-ჩვეულებათა შორის. XI საუკუნის ცნობილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ალ-გაზალი ამბობდა: მარხვის მიზანია მუსლიმანებს ნებისყოფისა და მოთმინების გამოვლენის შესაძლებლობა მისცეს, იგი „ვნებათა ალაგმვის“ კარგ საშუალებას წარმოადგენსო.

რა არის მარხულობის პრინციპი? მარხულისაგან მოითხოვენ ყველა იმაზე უარის თქმას, რაც მარხვას დაარღვევს. ამისათვის კი შარიათს დადგენილი აქვს მთელი რიგი აკრძალვები და გაკიცხვები: მარხვის პერიოდში შარიათით აკრძალულია თვით წამლის ჩაწვეთებაც კი, ანდა ისეთი ესთეტიკური პროცედურა, როგორიცაა სუნამოს შესხურება იმიტომ, რომ წამლის ან სუნამოს სუნმა შეიძლება ნესტოებამდე მიაღწიოს და სიამოვნება განაცდევინოს ადამიანს. აკრძალულია ყველაფერი, რაც სხეულს აღაგზნებს და ასუსტებს. ასეთებია აბანოში წასვლა, სისხლის გაღება ანუ დონორობა, ყვავილების ყნოსვა, წყალში ტანისა და ფეხების ჩაყოფა, კბილის ამოღება, სველი ნივთით კბილების გაწმენდა და სხვა მრავალი.

მარხვის პერიოდში შარიათი წამლის მიღების ნებას მხოლოდ მაშინ რთავს, თუ ადამიანის სიცოცხლეს უკიდურესი საფრთხე ემუქრება, მაგრამ თუ მოთმენა შეიძლება, მაშინ მუსლიმანმა თავი უნდა შეიკავოს მისგან.

ოცდაათდღიანი მარხულობა რამაზანის თვეში აუცილებელია. ამ წესის სიძნელე და სისასტიკე შარიათში იმითაა დასაბუთებული, რომ მარხვა თითქოს სასჯელია მუსლიმანური კანონების დარღვევისათვის და რომ იგი ერთგვარ გამოსასყიდსაც წარმოადგენს. მაგალითად, თუ მუსლიმანმა რაიმე შესცოდა, დროზე არ გადაიხადა ზაქათის ფული, ვინმე მოატყუა სავაჭრო საქმეებში და ასე შემდეგ, სასჯელის სახით მას სხვა გამოსასყიდ სასჯელებთან ერთად დამატებით მარხულობასაც უსჯიან. ამასთან, არის პირობები, რომელთა არსიც ისევ ისლამს თუ შეუძლია „ახსნას". ასე მაგალითად დამატებითი მარხულობა აკრძალულია ყურბან-ბაირამისა და ფითრის დღესასწაულის დღეებში. ქალს ეკრძალება დამატებითი მარხულობა, თუ ეს მისი ქმრის საქმეებს ვნებს. ამიტომ დამატებით მარხვის შესახებ მან ქმრის თანხმობა უნდა მიიღოს; თუ ადამიანი დარწმუნებულია, რომ მარხვა მისთვის მავნებელი არაა, ამასთან, ექიმი მას საწინააღმდეგოს უმტკიცებს, შარიათი ურჩევს მორწმუნეს არ დაუჯეროს ექიმს და იმარხულოს, შარიათის ამ მოთხოვნით გაბრიყვებულ ავადმყოფებს არ სჯერათ რა მედიცინისა, საფრთხეში იგდებენ სიცოცხლეს. დამატებითი მარხვისათვის შარიათს განსაკუთრებული გრაფიკი აქვს დადგენილი.

შარიათის შემდგენლებმა ალბათ წინასწარ გაითვალისწი-

ნეს, რომ მარხულობის სიმკაცრემ და სისასტიკემ შესაძლოა მარხულობის დარღვევაც გამოიწვიოს. ამისათვის ეტყობა შარიათმა წინასწარ „განსაზღვრა“ ცოდვათა გამოსყიდვის ფორმებიცა და მეთოდებიც. მასში ნათქვამია, რომ თუ ვინმე მარხვას რამაზანის თვეში დაარღვევს (თუნდაც ერთ დღეს, შეგნებულად არ იმარხულებს), მოვალეა დანაშაული გამოისყიდოს. თუ მას გამოსყიდვა არ ძალუძს, შეუძლია „ცოდვების“ გამოსასყიდად ღმერთს მიმართოს და არაბულ ენაზე წარმოთქვას ფორმულა „ესტაფირულლა“ (ღმერთო დამიფარე).

როგორც ვთქვით, რამაზანის თვეში მარხვის დარღვევისათვის ცოდვის გამოსყიდვის ერთ-ერთი სახეა დამატებითი მარხულობა ორი თვის განმავლობაში. დამნაშავემ თანმიმდევრობით უნდა იმარხულოს 31 დღე, დარჩენილი 29 დღე კი — წლის სხვა დღეებში. მარხულობის პერიოდში სასტიკად არის აკრძალული ცოლ-ქმარს შორის ყოველგვარი ინტიმური კავშირი.

არსებობს დამატებითი მარხულობის „გადავადების“ წესიც: თუ მორწმუნემ ვერ იმარხულა რამაზანში, შეუძლია დადოს მარხვის სხვა თვეში შესრულების აღთქმა. ხოლო თუ იგი დავუშვათ მოკვდება აღთქმის შესრულებამდე, მის ნაცვლად უნდა იმარხულოს მისმა უფროსმა მემკვიდრემ. თუ შარიათი ნებას რთავს ავადმყოფს არ იმარხულოს რამაზანის თვეში, მას მკაცრად ადევნებენ თვალყურს, რომ ეს მარხულობა აანაზღაუროს გამოჯანმრთელების შემდეგ.

ასეთია არასრულად ისლამის „ღვთის ნაბრძანები“ და „ნეტარი“ დებულებები მარხვაზე, რომელიც ადამიანს ყურანის მიხედვით „ბედნიერი“ იმქვეყნიურობისათვის ამზადებს.

მუსლიმანური მარხვის სათავეები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. სარწმუნოა, რომ იგი წარმოიშვა ისლამამდელი არაბი ხალხის ცხოვრებაში, ვინაიდან გამოუყენებელი უდაბნოები და მოუსავლიანი ნიადაგი ხალხს აიძულებდა თანდათანობით შეეჩღუდათ, ხოლო შემდეგ კი შიმშილზე გადასულიყო მომთაბარული ცხოვრების გამო. მოგვიანებით კი ისლამმა მარხვა შთლიანად დააკანონა, ისლამამდელი მარხვა, როგორც წესი. ყოველთვის ცხელ ზაფხულის დღეებში მოდიოდა, ხოლო ისლამმა რამდენადმე ცვლილებები შეიტანა შიგ და კანონის ძალა მისცა.

თანამედროვე პირობებში მუსლიმანი ღვთისმეტყველები ცდილობენ ახლებურად ახსნან მარხვის მნიშვნელობა. ისინი აპტკიცებენ მუსლიმანურ მარხვას პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვსო, იგი ორგანიზმის გაწმენდის საშუალებაა და გასუქებას უშლის ხელსო. რაც შეეხება მის სოციალურ მნიშვნელობას, ეს წეს-ჩვეულება ვითომდა, ხელს უწყობს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ურთიერთგაგებასა და დაახლოებას (მდიდრებიც განიცდიან შიმშილსა და წყურვილს და უფრო უგებენ ღარიბებსო და ასე შემდეგ). ყველაფერი ეს ისეთივე თვალთმაქცობაა, როგორც ყურანის ბევრი სხვა დებულება. მუსლიმანური მარხვის კულტის მსახურთა ასეთი ინტერპრეტაცია ვერ დაფარავს მის ნამდვილ რეაქციულ ბუნებას. მუსლიმანური მარხვა, ისევე როგორც სხვა წეს-ჩვეულება, მორწმუნეთა რელიგიურობისა და მორჩილების გაღრმავებას ემსახურება და იგი ყველაზე მეტად გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს აინტერესებთ.

* * *

მუსლიმანური სარწმუნოება თავისებურ, ვიტყოდით უცნაურ დამოკიდებულებას იჩენს ადამიანის ყოველდღიური კვების, მისი ხასიათის, კვების პროდუქტებისადმი მიდგომის მიმართ. შარიათში დამუშავებულია საკვების მიღებასთან დაკავშირებული ეგრეთწოდებული „აკრძალვები“, აკრძალვათა უმეტესობას ისლამამდელ ეპოქაში აქვს ფესვები გაღგმული. მაგალითად, ღორის ხორცის აკრძალვა ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და ებრაელთა შორისაც არსებობდა. საერთოდ, საკვების აკრძალვებზე ყურანის მრავალ სურაშია ლაპარაკი, არსებობს ათეული ჰადისი, რომელიც კვების აკრძალვას ეხება. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: ღმერთმა საჭმელად აკრძალა სისხლი, ლეში, ალკოჰოლიანი სასმელები, ღორის ხორცი. ნებისმიერი სასმელი, რომელიც სათრობს შეიცავს, აკრძალულია და ღვინო ცოდვათა ერთობლიობა — ქალი ეშმაკის მარყუჟი და სიყვარული მიწიერისადმი ყველა ცოდვათა საფუძველია... უცნაურია-მეთქი, ვთქვი, აბა რომელ კაცთა მოდგმას შეუტანია სისხლი, ლეში და ამგვარი თავის მენიუში?

შარიათში კვების აკრძალვები სისტემატიზებულია, მასში გამოყოფილია კონკრეტული და კატეგორიული აკრძალვები, ანუ საკვები, რომელიც მოწონებულია და საკვები, რომელიც არაა მოწონებული. მაგალითად, ზიზღის მომგვრელი ნივთიერებების მიღება აკრძალულია, მაგრამ თუ საჭმელში მათი უმნიშვნელო (შეუმჩნეველი) რაოდენობაა ჩარეული, მისი მიღება შეიძლება(?) შარიათი საერთოდ კრძალავს მიწის ჭამას, დაგმობილია აგრეთვე ცხენის, ვირის და ჯორის ხორცის ჭამა, თუმცა აკრძალული არაა და ისინი შარიათში გაჩნდა თურქუ-

ლი და მონღოლური ტომების გავლენით. არაბები და მონღოლები ცხენის ხორცს საკვებად თითქმის არ იყენებენ, ძველ მონღოლებსა და თურქმენ ტომებში კი იგი ამ მიზნით ფართოდ გამოიყენებოდა.

თანამედროვე პირობებში ცხენის ხორცს საკვებად იყენებენ ყაზახები, უზბეკები, თათრები, მონღოლები, უგურები. ისინი ასევე მიირთმევენ ცხენის რძეს კუმისსაც. არაბი, სპარსი, აზერბაიჯანელი და თურქმენი მოსახლეობის ნაწილი ცხენის ხორცს მიირთმევენ.

შარიათი კრძალავს ალკოჰოლიანი სასმელების მიღებას, იგი უდიდეს ცოდვად მიიჩნევს იმას, თუ რომელიმე მუსლიმანი შეუდგება მტკიცებას, — ღვინო ცოდვა არ არის მუსლიმანისათვისო.

ღვინო ცოდვათა აშკარა ძირი და წყაროა, ვინც ღვინოს დალევს, გონებას კარგავს, მან ალარ იცის ღმერთი, თავისუფალი არაა ცოდვებისაგან, არავის არ სცემს პატივს, არ ცნობს მშობელთა და ახლობელთა უფლებებს, ზურგს არ აქცევს აშკარად ცუდ საქციელს, საკუთარ სხეულს ტოვებს რწმენისა და ღვთისმოსილების გარეშე და მხოლოდ სისაძაგლისა და მანკიერების სულისკვეთება რჩება. ეს ყოველივე კი შორსაა ღვთის წყალობისაგან, ამგვარ ადამიანს შეაჩვენებს ანგელოზები, წინასწარმეტყველები, მართლმორწმუნენი და რაღა თქმა უნდა ღმერთი! მისი ლოცვა 40 დღეს მიღებული იქნება, განკითხვის დღეს კი სახე მისი იქნება შავი, ენა გადმოუვარდება პირიდან, ხოლო წყურვილისაგან მის მკერდს აღმოხდება ბღავილი...

მუსლიმანს ეკრძალება იმ მაგიდასთან ჯდომა, სადაც ღვინოს სვამენ. ისე კი ალკოჰოლიანი სასმელების აკრძალვა ის-

ლამში შემთხვევითი არაა. ალკოჰოლიზმი არაბებთან ცნობილი იყო ისლამის აღმოცენებამდე მრავალი საუკუნით ადრე. არაბებმა იცოდნენ 50-გრადუსიანი ნაყენის გაკეთება, ფინიკებისა და სხვა კენკრისაგან, და შემთხვევითი არაა, რომ ტერმინი „ალკოჰოლიც“ არაბული წარმოშობისაა („ალკუჰულ -- სპირტი).

აკრძალვის მიუხედავად ალკოჰოლიანი სასმელების მიღება საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ ისლამის საწყის პერიოდში. ეს შეიმჩნეოდა განსაკუთრებით არაბულ არისტოკრატიაში. ამის შესახებ ნათქვამია მე-12-ე საუკუნის სირიელი არაბის, უსამ იბნ მუნკინის ცნობილ „დარიგების წიგნშიც“. ალკოჰოლიანი სასმელებისადმი მიდრეკილება ძლიერ გავრცელებული იყო ჯერ კიდევ მრისხანე ხალიფა იბნ-ალ-ხატაბის (631-655) დროს. იგი თვითონ იბრძოდა ამ მანკიერების აღმოსაფხვრელად.

ისლამის აკრძალვის დარღვევა მკაცრად ისჯებოდა. სპეციალური აგენტები თვალყურს ადევნებდნენ, რომ ეს დარღვევები არ მომხდარიყო. განსაკუთრებით მკაცრად ისჯებოდნენ ისინი, ვინც ქუჩაში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოდიოდნენ, ან უცხო ქალებზე დალაპარაკებას შეეცდებოდნენ. თუმცა, ისლამის აკრძალვათა დაცვა უფრო რიგითი მასებისათვის იყო აუცილებელი, ვიდრე ხელისუფალთათვის. ხალიფების, ემირებისა და სულთნებისათვის აკრძალული არ იყო ღვინო და ისიც მხოლოდ სასახლეებში, ქუჩაში არაფხიზელი გამოჩენა მათაც ეკრძალებოდათ.

XI საუკუნის სელჯუკი ვეზირი, ცნობილი კანონმდებელი ნიზამ ალ-მუკი წიგნში „სიახეთ ნავ“ თავშესაქცევ ამბავს

გვიამბობს მახმუდ გახნევიდას ცხოვრებიდან: სულთანი მახ-
მუდი თურმე მთელი ღამე ღვინოს სვამდა თავის დაახლოებულ
პირთან, ალი ნუშტეთგინთან და მუჰამედ არაბთან, სულთნის
სპასალარებთან. მთელი ღამე ღვინოს სვამდნენ და ფხიზ-
ლობდნენ ისინი, როდესაც საუზმის დრო მოახლოვდა, ალი
ნუშტეთგინი დათვრა და მახმუდს სახლში წასვლის ნებართვა
სთხოვა. მან ურჩია: უხერხულია დღისით ასეთ მგდომარეობა-
ში წასვლა, დაისვენე აქ დღის ნამაზამდე, შემდეგ გამოფხიზ-
ლდები და წახვალ, თორემ მუხთასიბი დაგინახავს და დაგსჯის,
შენი ღირსება შეიბღალება, მე მეწყინება, თქმით კი ვერაფერს
ვიტყვი... ნუშტეთგინმა მაინც დაიჩემა წასვლა, მაშინ მუჰა-
მედმა უთხრა: შენი საქმისა შენ იცი, გაუშვი, წავიდესო.

ალი ნუშტეთგინი ამხედრდა და გაემართა სახლისაკენ მსა-
ხურთა თანხლებით. იგი დაინახა მუხთასიბმა, რომელიც ამ
დროს თავის ამალასთან ერთად მოდიოდა. მუხთასიბმა ბრძა-
ნა, მთვრალი ნუშტეთგინი ჩამოეღოთ ცხენიდან, თითონაც
ჩამოქვეითდა და ისე სცემა საკუთარი ხელით, რომ სულ მი-
წას აკბენინა... მეორე დღეს ალი ნუშთეტგინმა სულთან მაჰ-
მუდს შიშველი ზურგი აჩვენა, სულ დალურჯებული ჰქონდა.
მაჰმუდს გაეცინა და უთხრა: აღთქმა დადევი, რომ მეორედ სა-
ხლიდან მთვრალი აღარ გამოხვალო...

ამგვარად, შარიათის აკრძალვა გამომდინარეობს არა მარ-
ტო ზნეობრივი განზრახვებიდან, არამედ, უპირველეს ყოვლი-
სა იმითაც, რომ ალკოჰოლიზმი უარყოფითად იმოქმედებს
რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაზე. სწორედ ამიტომ,
ყურანი აფრთხილებს მართლმორწმუნეებს, მთვრალ მდგომა-
რეობაში ლოცვას არ გაეკარონ.

ალკოჰოლიანი სასმელების ამკრძალავ კანონებს განსაკუთრებით მკაცრად იცავენ ისეთ მონარქისტულ სახელმწიფოებში, როგორიცაა საუდის არაბეთი. ამის შესახებ სტატიაში „აკრძალული მექა“, საბჭოთა ჟურნალისტი ლ. კორავინი წერდა: „თუ საბჭოს მოხელე ბარგში ვისკის ბოთლს აღმოაჩენს, დამნაშავე თავს საჯალათო კუნძზე დადებს. სპირტიანი სასმელების ხმარებისას ან შემოტანისათვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული, თუმცა, მორწმუნე მუსლიმანები მუსლიმანური აღმოსავლეთის სხვა ქალაქებში ალკოჰოლიანი სასმელების ხმარებისათვის ასე მკაცრად არ ისჯებიან.

საკვებ პროდუქტებზე ისლამის აკრძალვები იმდენად მკაცრია, რომ უკიდურესი ერეტიკოსებიც კი, რომლებიც ხშირად არად აგდებდნენ მუსლიმანურ ადათ-წესებსა და ტრადიციებს, ვერ თავისუფლდებოდნენ მათი გავლენისაგან. ერეტიკოს აბუ-იახიდბესტამს თურმე ხორბალი უყიდეს. მან იკითხა ვისგან იყიდეთო. უპასუხეს ურწმუნოსაგანო. მაშინ მან თქვა: უკან წაუღეთ, ვინაიდან ეს ხორბალი იმას ეკუთვნის, ვინც ღმერთი არ იცისო. რაც შეეხება ღორის ხორცს, შარიათი კრძალავს არამარტო მის ჭამას, არამედ ყიდვა-გაყიდვასაც. შარიათი შიშობს. რომ თუ მუსლიმანები აკრძალული პროდუქტების ყიდვა-გაყიდვას დაიწყებენ. ბოლოს და ბოლოს მას საკვებადაც გამოიყენენ. ამიტომ, როგორც ვთქვით, შარიათი კრძალავს ღორის ხორცისა და სათრობი სასმელების არა მარტო გამოყენებას, არამედ მათ ყიდვა-გაყიდვის საგნად გადაქცევასაც.

ყურანი და შარიათი აკანონებენ ზოგიერთ ცრურწმენას ცხოველებისა და ფრინველების მიმართ. ამასთან, ამ ცრუმორწმუნეობისათვის რელიგიური შეფერილობის მიცემით ისლამი ,ლს უწყობს მათ შენარჩუნებასაც. მაგალითად, ღორი ჯერ

ყიდევ ისლამამდელ არაბეთში და ძველ ეგვიპტეში „უწმინ-
დურ“ ცხოველად ითვლებოდა, ისლამამდელ პერიოდში არაბე-
ბი ღორს თუმცა თვითონ არ ჭამდნენ, მაგრამ ცხენებს აჭმევდ-
ნენ შემწვარი სახით. ასეთი კალორიული საკვების შედეგად
მათი ცხენები გამძლენი და სწრაფმავალნი ხდებოდნენ. ისლა-
მის წარმოშობასთან ერთად მუსლიმანებს აეკრძალათ არა მა-
რტო ღორის ხორცის ჭამა, არამედ მისი საერთოდ გამოყენე-
ბა, მოშენება და ყიდვა-გაყიდვაც. ისლამის კანონებით დაუშ-
ვებელია მუსლიმანის ქონებას რაიმე აკრძალული რამ წარმოა-
დგენდეს. ისლამური კანონები არაბეთში ღორების მოშენებას
უშლიდა არამუსლიმან მოსახლეობასაც და ამით მათ ეკონომი-
კასაც დიდ ზიანს აყენებდა. ასე მაგალითად ხალიფა იაზიდ
მეორემ (720-724 წლები). განკარგულება გასცა მთელი სახა-
ლიფოს ტერიტორიაზე გაეწყვიტათ ღორები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იუდაიზმის მნიშვნელოვანი
გავლენის ქვეშ მყოფი ადრეული ქრისტიანებიც ღორს უწმინ-
დურ ცხოველად თვლიდნენ. ამას ადასტურებს მათეს სახარე-
ბაში მოყვანილი თქმულება, რომ იესომ ღორების კოლტში გა-
ურია ორი სატანით შეპყრობილი ღორი, რის შედეგადაც მთე-
ლი ჯოგი ზღვაში გადავარდა. რა თქმა უნდა ლეგენდას რეალუ-
რი საფუძველი გამოცლილი აქვს, ვინაიდან პალესტინაში, ისე-
ვე როგორც არაბეთში, არასოდეს არ აშენებდნენ ღორების
კოლტს.

მუსლიმანი ღვთისმეტყველები ცდილობენ დაამტკიცონ,
რომ შარიათით ღორის ხორცის აკრძალვა თითქოს მეცნიერე-
ბის მოთხოვნას არ ეწინააღმდეგება. ამის შესახებ ინდონეზიე-
ლი მუსლიმანი იდეოლოგი ხუსეინ მუნაფი წერს, რომ რამდე-

ნადაც ღორი შეიძლება ტრიქინოზით იყოს დაავადებული, მისი ჭამის აკრძალვა მეცნიერულად გამართლებულიაო.

ყურანის ტაეპებში საინტერესო გამონათქვამებია ვირისა და მამლის შესახებ. მუსლიმანები ვირის სასაპალნე ცხოველად გამოყენების წინააღმდეგნი არ არიან, მისი ხმა კი ყურანის მიხედვით ყველაზე საძაგელ ხმად ითვლება. რა თქმა უნდა, ეს სულაც არაა ისლამის გამოგონება. აღმოსავლეთში ვირი უძველესი დროიდანვე ყველაზე სულელ ცხოველად ითვლებოდა, ხოლო მისი ღრიალი — ყველაზე ცუდი ხმის სიმბოლოდ; ან იქნებ იმიტომაც, რომ იგი თავის ხმით ხელს უშლიდა მოლების ხმას? ვირისაგან განსხვავებით მამლის ყივილი სასიამოვნოდ და კეთილხმოვნად ითვლება აღმოსავლეთში. აქ მამალი უძველესი დროიდან ცვლის საათს, სოფელ ადგილებში ადრე აღვიძებს ხალხს, სრულიად შემთხვევით მამლის დილის ყივილი ემთხვევა დილის ლოცვის დაწყებას, ზოგჯერ კი მისი დაწყების წინ გაისმის, ამიტომაც მამალი პრივილეგირებულ ფრინველად არის მიღებული.

ისლამმა მამლის ყივილი და ვირის ღრიალი თავის ცნებებს დაუკავშირა. ჰადისში ისლამის თვალსაზრისით განსაზღვრულია, თუ რას ნიშნავს ორივე მათგანი. მუჰამედი ამბობს: თუ თქვენ ვირის ღრიალი გაიგონეთ, წარმოთქვით „აღუზე ბილლახი მინ აშშაითან“ („ეშმაკისაგან ღმერთს მივმართავ“), რადგანაც შენ ეშმაკი დაინახე. ამრიგად, როგორც ამ ჰადისიდან ჩანს, ისლამის თვალსაზრისით მამლის ყივილი ანგელოზის გამოჩენის ნიშანია, ვირის ღრიალი კი — ეშმაკისა.

საკვებ პროდუქტებზე ისლამისეული აკრძალვები ხშირათაა ნასესხები ისლამამდელი ადათ-წესებისა და ტრადიციები-

საგან. აკრძალვათა კულტები, რომელიც ისლამმა აკურთხა და დააკანონა, რელიგიური და სოციალური მიზნებით არიან დამკვიდრებულნი. ერთის მხრივ, ისინი ღვთისმოსაობას აძლიერებენ, მეორეს მხრივ კი მათი მიღებისაგან თავშეკავება ადამიანებს აჩვევდა ამქვეყნიურ სიამოვნებისაგან თავშეკავებას, რაც შეძლებულთა კლასს თავისი მიზნებისათვის ესაჭიროებოდა.

ზოგიერთი კონცეპცია „სიწმინდისა“ და „განწმენდის“ შესახებ

მორწმუნე მუსლიმანებთან წარმატებული ათეისტური მუშაობისათვის საჭიროა წმინდასა და უწმინდურის ისლამისეული ცნებების ცოდნა და ამასთან დაკავშირებით ისლამის მიერ დაწესებული ეგრეთ წოდებული „აკრძალვები“, რადგან ცნობილია, რომ „წმინდასა“ და „უწმინდურის“ ისლამისეული გაგება დიდ გავლენას ახდენს მორწმუნეთა ფსიქიკაზე, მათს შეგნებასა და ყოფა-ცხოვრებაზე. უფრო მეტიც. ზოგჯერ სწორედ ეს ცნებები წარმოადგენენ ბარიერს სხვადასხვა რწმენის ადამიანთა და ხალხთა დაახლოებაში.

მუსლიმანები ქრისტიანებსა და იუდეველებს ხშირად მრავალღმერთიანებთან ათანაბრებენ და „ქიაფირებს“ (უწმინდურებს) ეძახიან. როგორც ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე ა. მაჰე შენიშნავს, მუსლიმანი შიიტები გულმოდგინედ გაურბიან არამუსლიმანთან ყოველგვარ შეხვედრას და იქამდეც კი მიდიან, რომ ტეხენ ჰურჰელს, რომელსაც ქიაფირები შეეხნენ ან შეეხებიან.

ისლამის აკრძალვა ღორისა და ალკოჰოლიანი სასმელების მიმართ მარტო გემოვნების შედეგი როდია. ამასთან, არც

ყურანი და არც შარიათი არავითარ განმარტებას არ იძლევიან, საიდან მოდის ეს აკრძალვები.

რელიგიის თვალსაზრისით, ის რაც ღვთისაგან აკრძალულია, თავისთავად მიუღებელია. ყურანში მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მტკიცებებია იმის შესახებ, რომ ალკოჰოლიანი სასმელები ხელს უშლის მორწმუნის მთელი ყურადღების რელიგიაზე გადატანას და მხოლოდ წმინდა და უწმინდური ისლამისეული გაგება გვაძლევს პასუხს აკრძალვათა განაჩენზე. ღორის ხორცსა და ალკოჰოლიან სასმელებს შარიათი უწმინდურთა კატეგორიას აკუთვნებს. მორწმუნე მუსლიმანის გონებაში კი კეთდება ლოგიკური დასკვნა, რომ „თუ ღორის ხორცი და სათრობელა სასმელები უწმინდურია, მაშინ მათი მომხმარებელიც ასეთივეა. ჩვენს ლიტერატურაში ეს საკითხები შესწავლილი არაა. ბუნებრივია წმინდასა და უწმინდურის შესახებ მუსლიმანური მოძღვრების გაცნობის გარეშე ძნელია მორწმუნე მუსლიმანის ფსიქოლოგიის გაგება. ისლამი კი არა მარტო წმინდასა და უწმინდურის კონცეპციას აყენებს, არამედ მისგან განწმენდის „საშუალებებსაც“, ამუშავებს.

„წმინდასა“ და „უწმინდურის“ შესახებ შარიათისეული ყველა ცნება და განწმენდის საშუალებანი მუდამ ისლამური წარმოშობის არაა. ისლამი ხშირად მხოლოდ რელიგიურ საბურველში ხედავს იმას, რაც მის წარმოშობამდე ბევრად ადრე ითვლებოდა წმინდად და უწმინდურად. შარიათი კი ამის ასახსნელად იყენებს თავისი დროის მედიცინისა და ქიმიური მეცნიერების მიღწევებს, სახალხო მედიცინის გამოცდილებას.

ამრიგად, ისლამმა სისუფთავეზე და ჰიგიენაზე ხალხური წარმოდგენები წმინდასა და უწმინდურის ცნებებში აურია: მან ერთ სიბრტყეზე მოათავსა ბევრი ურთიერთშეუსაბამო ცნე-

ბა. ის კი არა და, მისი მცნებით „უწმინდურს“ განეკუთვნება ცხოველის განავალიც და ურწმუნო ადამიანიც.

შარიათი აფრთხილებს მუსლიმანებს, რომ განსაკუთრებით მოერიდონ სისხლს, როგორც ერთ-ერთ უწმინდურობას. ადამიანისა და ცხოველის სისხლი უწმინდურად ითვლება. უწმინდურად ითვლება თვით ცხვარიც კი, რომელმაც ღორის რძე სწოვა.

თუ ცხოველის დაკვლისას სისხლი შიგთავსში ჩაიქცა, იგი უწმინდური ხდება, თუმცა, ხორცი კი იჭმევა; თუ სისხლი კვერცხში იქნა აღმოჩენილი, იგი საკვებად არ გამოდგება. შარიათი კრძალავს ისეთი ნერწყვის გადაყლაპვასაც, რომელსაც ღრძილებიდან სისხლი შეერია.

ურწმუნოს (ქიაფირის) უწმინდურთა რიგში ჩარიცხვით შარიათი აყენებს კონცეპციას, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს „უწმინდურად“: შარიათის მიხედვით ურწმუნოდ ითვლება ის, ვინც უარყოფს ღმერთს, არ თვლის მოციქულად და წინასწარმეტყველად მუჰამედს, უარყოფს ისლამის შეხედულებებს.

რა შემთხვევაში უთანაბრდებიან ქრისტიანები და იუდეველები ქიაფირებს? თუ მუსლიმანურ ქვეყნებში მცხოვრები ქრისტიანები და ებრაელები კანონის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, უფლება აქვთ თავისუფლად შეასრულონ თავიანთი რელიგიური წეს-ჩვეულებანი. ისინი ერთპიროვნული ღმერთის მიმდევრებად და „საღვთო წერილის ადამიანებად“ იწოდებიან თუ მუსლიმანებს ებრძვიან ისლამის ამოძირკვისა და მუსლიმანური ტერიტორიის დაპყრობის მიზნით მუსლიმანური სამართალი მათ ურწმუნოებს (ქიაფირებს) უთანაბრებს და მოსპობას დასაშვებად თვლის. ალჟირში ფრა-

ნგთა ბატონობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში პრესა და მუსლიმანური ლიტერატურა ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლას ახასიათებდა, როგორც „ურწმუნოებთან“ ბრძოლას, თვით ომი კი იწოდებოდა წმინდა ომად — ჯიხადად. შარიათის საფუძველზე ასეთივე სანქციაა მუსლიმანი ღვთისმეტყველების მიერ მიღებული ისრაელის მიმართ, რომელმაც არაბული ტერიტორია მიიტაცა.

თუ შარიათი უწმინდურად (ქიაფირად) აცხადებს ვინმეს, იგი ავტომატურად ხდება უწმინდურიც. შარიათი ამტკიცებს, რომ „ქიაფირის მთელი სხეული, მისი თმები, ფრჩხილები და ოფლიც კი უწმინდურია“.

შარიათის მიხედვით, თუ ბავშვის დედა, მამა, ბებია ან ბაბუა ქიაფირია, ბავშვიც „უწმინდურად“ ითვლება. თუ ნათესავთაგან რომელიმე მუსლიმანია, ბავშვიც წმინდანად ითვლება. წმინდა არ ნიშნავს აუცილებლად მუსლიმანობას; თუ ადამიანმა არ იცის, მუსლიმანია იგი თუ არა, შარიათის მიხედვით „წმინდაა“, მას აკრძალული აქვს მუსლიმან ქალზე დაქორწინება და არ შეიძლება მისი მუსლიმანურ სასაფლაოზე დაკრძალვა. ნამდვილ მუსლიმანად მისი ჩათვლა შეიძლება მხოლოდ ისლამზე მოქცევის შემდეგ. შიიტური შარიათი ამტკიცებს აგრეთვე, რომ უწმინდურია ისიც, ვინც 12 შიიტურ იმამს გალანძღავს. უწმინდურად ითვლება ყველა ალკოჰოლიანი და სათრობი სასმელის ყველა სითხე, რომელსაც დღლილისაკენ აქვს მიდრეკილება, მაგრამ წმინდად ითვლება ბანგი და ჰაშიში, თუნდაც მათ რაიმე სათრობი შეურიოთ და ეს იმიტომ, რომ ბევრ მუსლიმანს უამისოდ არ შეუძლია, თანამედროვე პირობებში შარიათით ნებადართულია აგრეთვე ისეთი სითხეე-

ბით სარგებლობა, რომელსაც სათრობი ურევია. ეს კი იმიტომ, რომ შარიათის კანონები უძლურია ხელი შეუშალოს ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ნავარაუდევია, რომ მუსლიმანმა, არ იცის რისგან მზადდება ლაქი და საღებავი.

თუ ყურძენი ან ყურძნის წვენი დუღილის მდგომარეობაშია, ისინი „უწმინდურად" ითვლება და მათი საკვებად გამოყენება აკრძალულია. ადუღებამდე მიყვანილი ინდის ხურმის, ფინიკის, ქიშმიშის წვენი წმინდად და კვებისათვის გამოსაყენებლად ითვლება, თუმცა, უმჯობესია მათი მორიდება, რათა დუღილის მდგომარეობაში არ მივიდნენ. ქერის დუღებით მიღებული და ლუდად წოდებული სასმელი უწმინდურად ითვლება, მაგრამ ექიმის მიერ წყლად წოდებული ქერის სასმელი წმინდაა.

არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც ისლამმა, ისე შარიათმა ვერ მოახერხა სათრობ სასმელებზე აკრძალვის დაცვა. მუსლიმანები, განსაკუთრებით კი შეძლებული კლასები, შარიათის კანონების გვერდის ავლით მაინც იყენებენ ალკოჰოლიან სასმელებს. ომიადების ხელისუფლების სათავეში მოქცევიდან ჩვენს დღეებამდე, ხალიფების, სულთნების, ემირების, მუსლიმანი ქვეყნების მეფეთა და პრეზიდენტთა სასახლეებში ყოველთვის გამოიყენებოდა მათრობელა სასმელები, გამოდის, რომ აკრძალვები ეხებოდა მხოლოდ უბრალო ხალხს და მკაცრადაც მხოლოდ მათთვის იცვებოდა...

წმინდასა და უწმინდურის ცნების წამოყენებით მუსლიმანური რელიგია იძულებული გახდა მოეგონებინა განწმენდის ფორმები და მეთოდები. შარიათი აქ ერთად ეფარება მიღწევებს და ქიმიურ სამედიცინო მეცნიერებათა ელემენტებსა და ანტიმეცნიერულ წარმოდგენებს.

საკმარისია უწმინდურობისაგან განწმენდის შარიათისეული მეთოდის გადმოცემა, რომ დავრწმუნდეთ, რაოდენ უძლურია რელიგია მეცნიერების წინაშე, რამდენად ანტიხალხური და ანტიმეცნიერულია მისი რეკომენდაციები და მეთოდები. შარიათი ერთმანეთში ურევს ადამიანისათვის კარგად ნაცნობ ჰიგიენისა და სანიტარიის წესებსა და უწმინდურობისაგან განწმენდის რელიგიურ მეთოდებს. მაგალითად, შარითის მიხედვით ტალახით დასვრილი ტანსაცმელი და ურწმუნო კაცი ერთნაირად უწმინდურნი არიან. განწმენდის ხერხები კი ასეთია: დასვრილი ტანსაცმლის გასაწმენდად იგი ან უნდა წყლით გაირეცხოს, ან მშრალი სილით გაიხეხოს, ან დასველდეს და შემდეგ მზეზე გაშრეს, რაც შეეხება ურწმუნო ადამიანის განწმენდას, ეს თურმე მეტად იოლია. ურწმუნო წარმოთქვამს ცნობილ ფორმულას „არ არის ღმერთი, თვინიერ ალლაჰისა, და მუჰამედია მისი მოციქული“ და მაშინვე წმინდანად იქცევა.

პირველ განმწმენდად შარიათი წყალს ასახელებს, და ეს შემთხვევითი არაა, წყალი წმიდათა-წმიდადაა მიჩნეული, განსაკუთრებით არაბეთის პირობებში, სადაც უზარმაზარი ტერიტორიები უწყლო უდაბნოებს უჭირავს. შარიათის წყალი ორ კატეგორიად იყოფა: წყალი მუთლაქი და წყალი მუდაფი. მუდაფი — ესაა სხვადასხვა წვენების თიხის წყლისა და სხვათა ნარევი. მუთლაქი კი მინარევს არ შეიცავს და თავის მხრივ ხუთ კატეგორიად იყოფა: 1. უხვი წყალი: 2. მწირი წყალი; 3. გამდინარე წყალი; 4. წვიმის წყალი: 5. ჭის წყალი.

შარიათის მიხედვით წყლის „სიწმინდის“ განსაზღვრის ხერხი მეტად პრიმიტიული, არქაული და რამდენადმე საშიშია ჯანმრთელობისათვის. შარიათი ამტკიცებს, რომ თუ შარდი,

სისხლი, ან ჭუჭყიანი ტანსაცმელი წყალში მოხვდება და სუფთა წყალი მიიღებს უწმინდურობის ფერს, სუნსა და გემოს, ასეთი წყალი უწმინდური ხდება. გარდა ამისა, შარიათი ხშირად მორწმუნეთა სინდისს ეყრდნობა: თუ ისინი ამტკიცებენ, რომ წყალი სუფთაა, მათზე ნდობა შეიძლება.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სამრეწველო ნარჩენები დაუნდობლად აბინძურებენ გარემოსა და წყალს, შარიათის რეკომენდაციაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ამას იმ ქვეყნებშიც ცნობენ, სადაც ისლამი ოფიციალურ რელიგიად ითვლება და მუსლიმანურ რელიგიას ისღა დარჩენია, ისლამი დროის მოთხოვნებს მიუსადაგოს.

წყლის, როგორც განწმენდის ერთერთი მთავარი საშუალების გამოსაყენებლად შარიათში განსაკუთრებული მეთოდები დამუშავებული. უწმინდურობის გასაწმენდად გამოყენებული წყალი — მუთლაქი უნდა იყოს სუფთა და არ უნდა ჰქონდეს უწმინდურობის სუნი, გემო, ფერი, უწმნიდურობით დასვრილი ჭურჭული სამჯერ უნდა გაივლოს უხვ წყალში და ერთხელ გამდინარეში. ის ჭურჭელი, რომლიდანაც ძაღლმა ჭამა, ან რომელიც გალოკა, სილით უნდა გაირეცხოს და ორჯერ გაივლოს დამდგარ წყალში, ერთხელ — გამდინარეში. ჭურჭელს რომელშიც ღვინო იყო, შვიდჯერ უნდა გამოევლოს წყალი. ჭურჭელი, რომელიც დასვრილია ურწმუნო ქალის რძით, ძუძუთა ბავშვის შარდით ან ღორის რძით, წყლის ნაკადის ქვეშ უნდა გაირეცხოს; თუ მიწის ზედაპირზე უწმინდურობაა ღ მისი გამდინარე წყლით გადარეცხვის საშუალება არ არსებობს. დამდგარი წყალი მას ვერ განწმენდს. თუ ამ ადგილას დავურით ხრეშს ან სილას და დამდგარი წყალი სილისა და ხრეშის

ზემოთ ამოვა, ეს წყალი წმინდად ითვლება, ხოლო სილისა და ხრეშის ქვეშ დარჩენილი უწმინდურად; თუ შაქრის ფხვნილი რაიმე უწმინდურობით დასველდა, მისგან დამზადებული შაქარიც უწმინდური იქნება.

აღმოსავლეთში მზის სხივების გამოყენება ერთერთი უძველესი საშუალებაა უწმინდურობისაგან განსაწმენდად, ამიტომ შარიათი აქაც მხოლოდ ძველ ტრადიციას აკანონებს: მზის სხივებმა რომ უწმინდურობა განწმინდონ, ამისათვის დასვრილი საგანი უნდა დასველდეს და მზის სხივებს მიეცხუნოს. შარიათის მტკიცებით, მშრალი საგნები მზის სხივებით არ განიწმინდებიან.

ალკოჰოლიანი სასმელები აკრძალულია შარიათის მიერ. აკრძალულია აგრეთვე ყურძნის, ფინიკისა და სხვა კენკროვანთა წვენები, რომელთაც დუღილი ახასიათებთ, მაგრამ შარიათში მითითებულია ასეთი სითხის გამოყენების გზები ადუღებისა და ორ-სამჯერ აორთქლების საშუალებით. შარიათით ნებადართულია უმწიფარი ყურძნიდან ამოღებული წვენის გამოყენება, თუნდაც მასში დუღილი შეინიშნებოდეს.

განწმენდის კიდევ ერთი საშუალებაა თაბითი (ბუნება). ეს მეთოდი გამომდინარეობს მიზეზშედეგობრივ კავშირზე დაფუძნებული მსჯელობიდან. მაგალითად, ჭურჭელი, რომელშიც ღვინო (უწმინდურობა) იდგა, უწმინდურად ითვლება, მაგრამ თუ ეს ღვინო ძმრად გადაიქცა, იგივე ჭურჭელი წმინდად ითვლება.

განმწმენდელ საშუალებათა შორის შარიათი თვლის რელიგიას, ისლამს. ასე მაგალითად, თუ ქიაფირი (ურწმუნო) აბანოდანაა გამოსული, მას თუნდაც ტანსაცმელი სუფთა ეცვას, „უწმინდურია“ მაგრამ თუ იგი ისლამს მიიღებს, მაშინვე

წმინდა გახდება. თუ მუსლიმანობის მიღების მომენტში მისი პიჯაკი სადღაც სხვაგან იდო, პიჯაკი უწმინდური რჩება და პატრონს მასში ლოცვის შესრულება არ შეუძლია, სანამ პიჯაკზეგანმწმენდ ლოცვის წაკითხვის რიტუალს არ შეასრულებენ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შარიათული წესი საღი გონებით რომ განვსაჯოთ, ითვალისწინებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა სახალხო მედიცინისა და ტრადიციების ათასწლოვან პრაქტიკას, გამოცდილებას, ამიტომ იგი არაა მოკლებული ერთგვარ პრაქტიკულ შინაარსს. მაგრამ, როგორც ნათქვამითვე ჩანს, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ შარიათი ერთმანეთში განუკითხავად ურევს ქიმიურ, თუ სამედიცინო მეცნიერებათა ელემენტებს და პრიმიტიულ რელიგიურ ანტიმეცნიერულ წარმოდგენებს. ამით კი ერთხელ კიდევ ამტკიცებს თავის უსუსურობასა და უსაფუძვლობას.

ისლამის „წმინდა“ ადგილებიდან „ურწმუნოთა“ დევნა

ისლამი, როგორც სარწმუნოებრივი მიმდინარეობა თავიდან—ბოლომდე ძალადობაზე რომაა დამყარებული, ამაზე მეტყველებს ცალკეული კერძო ხასიათის აკრძალვა. ზოგი მათგანი კი შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ისლამის იდეოლოგები უფრთხიან თავინთი მრევლის გარე სამყაროსთან ურთიერთობას, რათა ამ უკანასკნელთ, თვალი არ აეხილოთ მუსლიმანური რელიგიის სიბრმავისაგან. ამ მიზეზით უნდა იყოს, რომ შარიათი სასტიკად კრძალავს ურწმუნოთა შესვლას მუსლიმანურ წმინდა ადგილებში.

კლასიკური ისლამი დაუშვებლად მიიჩნევს ტურისტთა,

განსაკუთრებით კი სხვა რელიგიის მიმდევართა მიერ სამლოცველო სახლებსა თუ სხვა წმინდა ადგილების მონახულებას. სამლოცველო სახლები, მეჩეთები პირველად იწოდებოდნენ „ბეით-ილაჰად“ („ალლაჰის სახლად“); ასეთი სახელწოდება ჩვენს დრომდე შემორჩა მექას მეჩეთს — „ბეით-ილაჰ ალ-ჰარამს“ („ალლაჰის აკრძალულ სახლს“). მაგრამ ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში მეჩეთებს მედინაში და იერუსალიმში „ჰარამებსაც“ („აკრძალული“) უწოდებდნენ.

ისლამის მიხედვით მეჩეთს ძაცრი დანიშნულება აქვს, იგი განკუთვნილია მხოლოდ ლოცვისა და ღვთისმსახურებისათვის, მეჩეთში უსაქმოდ შესვლა აკრძალულია.

ბუნებრივია, რომ ჩვენს დროში ეს აკრძალვები, რამდენადმე შესუსტდა. ახლა მრავალი მეჩეთი, ისლამის მრავალი გრანდიოზული არქიტექტურული და ისტორიული ძეგლი — ტურიზმის ობიექტია. არამუსლიმანი ტურისტების მეჩეთში შეშვება კი მხოლოდ საზოგადოებრივი ლოცვისა (პარასკეობით) და სადღესასწაულო დღეებშია აკრძალული. ისე კი საუდის არაბეთის წმინდა ადგილები —ხიჯაზი, სადაც ისლამის წმინდა ქალაქები — მექა და მედინა მდებარეობს, ჩვენს დროშიც კი აკრძალულია არამუსლიმანი ტურისტებისათვის. აკრძალვის საფუძველი ორი რამითაა განპირობებული: 1. წაბილწვა; 2. მუსლიმანური სახლების ჩვენებისათვის შემოსავლის აკრძალვა.

ქრისტიანებსა და იუდეველებს, თუმცა ისინი ერთღმერთიანები არიან, ეკრძალებათ მეჩეთში შესვლა, ვინაიდან პირველნი ალკოჰოლიან სასმელებს იყენებენ და ღორის ხორცს ჭამენ, ხოლო მეორენი ჩარჩობას ეწევიან. ორივე რელიგიის

მიმდევარნი კი ისლამის ქადაგებით სულით წარწყმედილი და წაბილწულნი არიან.

ისლამისათვის შეუთავსებელი და მიუღებელია ისეთი ცნობები, როგორიცაა ურთიერთ თანაარსებობა, ინტერნაციონალიზმი და სხვა. ასე მაგალითად, არაბეთში არამუსლიმანური რწმენის ამოძირკვა და ხიჯახის ტერიტორიაზე არამუსლიმანთათვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის აკრძალვა დაკავშირებულია მუჰამედის ცნობილ გამონათქვამთან: „არაბთა მიწაზე ორი რელიგია არ იქნება“.

ისლამის ისტორიული ძეგლების, მათ შორის მეჩეთების მონახულებით არამუსლიმანი ტურისტები გარკვეულ შემოსავალს აძლევენ სახელმწიფოს. კლასიკური ისლამი ამ შემოსავალს ადრე აკრძალულად თვლიდა. ამჟამად ასეთი აკრძალვა მოიხსნა, თუმცა, ზოგიერთი მუსლიმანური სამლოცველოს, წინასწარმეტყველთა თუ იმამთა აკლდამის ნახვა დღესაც აკრძალვას ექვემდებარება. ასეთია ქალაქები მექა და მედინა; იმამ ხუსეინის აკლდამა ქერბელაში (ერაყი); იმამ ალისა — ნეჯეთეფში (ერაყი); იმამ რეხისა — მეშხედში (ირანი); წმინდა მასუმისა — კუბში (ირანი) და სხვა.

მექასა და მედინას მონახულება არამუსლიმანთათავის განსაკუთრებული სიმკაცრით იკრძალება დღესაც. საუდის არაბეთის სანავსადგურო ქალაქი ჯიდა უკანასკნელი პუნქტია, რომლის იქით არამუსლიმანებს აკრძალული აქვთ გზა მექასა და მედინისაკენ.

მკაცრი აკრძალვები კიდევ უფრო ზრდიდა იმ თავზეხალაღებულ ევროპელთა რიცხვს, რომლებიც ცდილობდნენ „წმინდა“ ქაბის შიგნით შეღწევას. ზოგს მართლაც გულწრფელად უნდოდა გაცნობოდა არაბთა და მუსლიმანთა რელიგიურ და

სულიერ ცხოვრებას, ზოგს კომერციული მიზნები იზიდავდა, ზოგს კიდევ მისიონერობა. ვინც რაიმე გზით მექაში შეაღწევდა, თავს მუსლიმანად ასაღებდა. თუ რომელიმე მათგანი პოლიციის ხელში მოხვდებოდა, მას მკაცრ გამოცდას უწყობდნენ, არაბული ენის მლოცველობის წეს-ჩვეულებათა და ყურანის ცოდნაში და თუ უცხოელად შეიცნობდნენ, გააფთრებული ბრბო ლუკმა-ლუკმად აქცევდა მას, როგორც ქააბის „წამბილწველს“.

ისლამის კანონებიც კი, რომლებიც წმინდა ადგილას სისხლის დაღვრას კრძალავდნენ, ვერ აჩერებდა ფანატიკოს ბრბოს. ასე მაგალითად, 1842 წელს ხაჯი ომარის სახელით მექაში შეაღწია ფრანგმა ლეონ როშმა. იგი შეცნობილი იქნა (შეცდომა დაუშვა ლოცვის წინ განბანვაში) და სასწაულად გადაურჩა სიკვდილს; ასევე სასწაულით გადაურჩა სიკვდილს ცნობილი ჰოლანდიელი აღმოსავლეთმცოდნე ხიურ-გრონიე, რომელიც მექაში აბდულ გაფარის სახელით იმყოფებოდა 1883 წელს. ხიურ-გონიემ იქამდე დატოვა მექა, სანამ იქ მიაღწევდა ცნობა, თითქოს აბდულ გაფარის სახელს ამოფარებულ ქრისტიანს არაბეთიდან საიდუმლო წარწერებიანი ძვირფასი ქვების გატაცება ჰქონდა განზრახული; გულრიხ გასპარ ზეტცენმა, რომელმაც მექაში 1810 წელს შეაღწია, არაბული ენისა და მუსლიმანური წეს-ჩვეულების შესანიშნავი ცოდნის მიუხედავად, თავი დაიღუპა მეცნიერებით მეტისმეტი გატაცების გამო. მისმა ბოტანიკურმა და მინერალოგიურმა კოლექციებმა, სპირტში დაკონსერვებულმა გველმა და სხვა ამგვარმა არაბეთში უცნაური ეჭვი გამოიწვია, იგი საშიშ ჯადოქრად მიიჩნიეს და

1814 წელს მექადან მასკატისკენ მიმავალ გზაზე მოკლეს; ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე ჯონ ფრაიერ კინი, რომელიც 1872 წელს ხაჯი მუჰამედ ამინის სახელით შევიდა მექაში, სიკვდილს მხოლოდ თავისი სიმარჯვისა და რთული არაბული ღანძღვა-გინების ცოდნის წყალობით გადაურჩა...

მექაში საეჭვო მლოცველთა განადგურების ერთ-ერთი საშუალება იყო მათი მოწამლვა მექას შერიფის მითითებით. ასეთ ადამიანს მიართმევდნენ ზემზეიმის წმინდა ჭიდან წყალს, რომელიც მოწამლული იყო. ვინაიდან „წმინდა“ წყლის დალევაზე უარის თქმა არაფრით არ შეიძლებოდა, საწამლავის შედეგიც უეჭვო იყო.

ისლამის „წმინდა“ ქალაქების აკრძალულ ზონებში მოხვედრილ მუსლიმანებს ჩვენს დროშიც კი საფრთხე ემუქრებათ.

ისლამის აკრძალვას სხვა რწმენის ხალხთა და მათ შორის მეცნიერთა მიმართ, დიდი ზიანი მოაქვს მუსლიმანურ სამყაროში მეცნიერებათა განვითარებისათვის. ამ უცნაური ტაბუს გამო ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი ხიჯაზის ოლქის ფლორა და ფაუნა, განსაკუთრებით მისი ისლამამდელი ისტორიული ძეგლები. არადა, ეს რაიონი სამი მსოფლიო რელიგიის — იუდაიზმის, ქრისტიანობისა და მუსლიმანობის — იდეური აკვანია.

ისლამის აკრძალვის წყალობით აქამდე არ მოიპოვება სარწმუნო მეცნიერული ცნობები ქააბის „შავი ქვის“ შემადგენლობის შესახებ, რომელსაც 1300 წელზე მეტი ხანია ბრმად ეთაყვანებიან მუსლიმანები.

თავი მესამე

ისლამის მსახურთა ევოლუციურ-მოდერნისტული შეხედულებები

რელიგიათა შორის, რომლებიც ჯერ კიდევ გადმონაშთის სახით შემორჩნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცნობიერებაში, ისლამი ერთერთ ძირითად ადგილს იჭერს. მას მისდევენ შუა აზიის კავკასიისა და ვოლგისპირეთის ზოგიერთი რაიონის მცხოვრებნი, რომლებმაც ისლამი, როგორც რელიგიური შეხედულება, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზით მიიღეს.

ისლამი როგორც გაბატონებული კლასის იდეოლოგიური იარაღი, თავის დროზე დასაყრდენს პოულობდა მეფის რუსეთის სინამდვილეში. მეფის რუსეთის უსამართლო სოციალური წყობა არა მარტო წარმოშობდა მორწმუნეთა ნაწილს, არამედ ამ რწმენით აწამებდა და სულს უხუთავდა მათ. თავის დროზე სარწმუნოება და მისი დაწესებულებანი ხომ იცავდნენ გაბატონებული კლასის ინტერესებს. ისინი მორწმუნეებს ჩაგონებდნენ ამ კლასის წარმომადგენელთა ღვთაებრივი წარმოშობისა და მარადიულობის იდეას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რელიგიური მიმდინარეობანი ჩვენს ქვეყანაში მათთვის უჩვეულო ატმოსფეროში აღმოჩნდნენ: იმის გამო, რომ სოციალისტური წარმოების წესი არ მოითხოვდა რელიგიის მხარდაჭერას, სოციალისტური რევოლუციის გარდაქმნებმა ეკონომიკური საფუძველი გამოაცალა ყველა რელიგიურ მიმართულებას და მათ შორის ისლამსაც; შეწყდა რელიგიის, როგორც საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური და იდეოლოგიური რეგულატორის საჭიროების აუცილებლობა.

მოსპო რა სოციალისტურმა რევოლუციამ სოციალური უთანასწორობა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ამით საფუძველი გამოაცალა რელიგიური ცნობიერების წარმოშობას, რის გამოც სოციალიზმის მშენებლობის კვალდაკვალ დაიწყო ხალხის მასების განდგომა საერთოდ რელიგიისაგან და კერძოდ ისლამისაგანაც.

ჩვენი ქვეყნის ისლამურ რესპუბლიკებში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ კვალიფიციური მუშების, სოფლის მოწინავე მოსახლეობის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მათ შორის ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი განთავისუფლდნენ ისლამის გავლენისაგან, ამაზე მიგვანიშნებს ნაშრომები, რომლებიც სწავლობენ ისლამის რელიგიის გავლენას სსრ კავშირის მუსლიმანურ მოსახლეობაზე.

„ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ შუა აზიის მსხვილი ქალაქებისა და რაიონების მშრომელთაგან პარასკეობით საღლოცავად მიდიან, მხოლოდ ისინი, ვინც სამოცი და მეტი წლისანი არიან... მუშები, მოსამსახურეები და სტუდენტი ახალგაზრდობა იშვიათად დადიან მეჩეთებში“ აღნიშნავენ დასავლეთელი მკვლევარები ა. ბენინგესენი და შ. ლემერსიე-კალკაჟე. ანალოგიური დასკვნა გააკეთა მაროკოს მუსლიმანური ასოციაციის თავმჯდომარემ, გაზეთ „ალ-მიისაკ“-ის რედაქტორმა აბდულლა-კანუნმა, რომელიც 1968 წელს იმყოფებოდა სსრ კავშირში, როგორც მუსლიმანური სარწმუნოების დელეგაციის წევრი. იგი თავისი გაზეთის 1968 წლის № 67,73-ში წერდა: „საერთოდ თანამედროვე ეპოქისათვის ეს მსოფლიო პრობლემაა. არა მარტო სსრ კავშირის, არამედ მუსლიმანური ქვეყნების ახალგაზრდობას ცოტა აინტერესებს მეჩეთებისა“.

მშრომელი მოსახლეობის მასიური განდგომა ისლამისაგან

და მათი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისაკენ მობრუნება მუსლიმანური რელიგიის მსახურებს აიძულებს ეძებონ მათთვის ეფექტური გზები და საშუალებები შექმნილი კრიზისიდან გამოსასვლელად. ისინი ააქტიურებენ მეჩეთებისა და ჯამეების მოქმედებას, ახდენენ მათს მოდერნიზირებას ცხოვრების არსებული პირობების შესაბამისად.

სოციალისტური კულტურული რევოლუციის გიგანტურმა გაქანებამ ჩვენი ქვეყნის და სხვა სოციალისტური ქვეყნების ისტორიაში შეცვალა მილიონობით მორწმუნე ადამიანის სულიერი სამყარო, რომელიც დაფუძნებულია მატერიალისტურ შეხედულებებზე. ამის გამო მათი საქმიანობა საზოგადოებაში განპირობებულია ამჟამად არა რელიგიური შეხედულებებით, არამედ ცხოვრების სოციალისტური ნორმებით.

მოსახლეობის არნახულმა კულტურულმა პროგრესმა, მარქსისტულ-ლენინურმა მსოფლმხედველობამ, რომელიც იძლევა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების მეცნიერული ახსნის შესაძლებლობას, არ შეიძლება თავისი ზეგავლენა არ მოახდინოს მორწმუნე-მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე. მუსლიმანებმა, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის მშენებლობასა და საზოგადოების მართვაში, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ თავიანთ წვლილს საზოგადოებრივ და საკუთარი ცხოვრების წინსვლაში, ამიტომაც, თანამედროვე საბჭოთა ქვეყნის მუსლიმანები არ შეიძლება გავუთანაბროთ რევოლუციამდელი რუსეთის იმპერიაში შემავალ გაუნათლებელ და დაჩაგრულ მუსლიმანებს. ამიტომაცაა, რომ ისლამის მიმდევართა რელიგიური შეხედულებებისაგან განთავისუფლების პროცესი პროგრესის სახით მიემართება.

უკანასკნელმა ათწლეულებმა, რომლებმაც უდიდესი გაქა-

ნება მისცეს სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას, დააჩქარეს ადამიანის ცხოვრების ტემპი და რიტმი. მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა დანერგვამ, რადიოს, ტელევიზიის, კინოსა და ინფორმაციის სხვა საშუალებების პროგრესულმა ზრდამ, ადამიანებს მისცა საშუალება დაუფლებოდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ისეთ ცოდნას, რომელზე ოცნებობაც კი არ შეეძლო რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხის მასებს.

ყველაფერ ამას არ შეიძლება თავისი ზეგავლენა არ მოეხდინა ისლამის ევოლუციურ მიმართულებაზე. ბევრი ძველი წარმოდგენა სამყაროს წარმოშობას, საზოგადოებაში თუ ოჯახში ადამიანთა ურთიერთობასა თუ სხვათა შესახებ აღარ ეთანხმება თანამედროვე მორწმუნის შეხედულებებს, რასაც ნათლად ხედავენ მუსლიმანური რელიგიის მსახურნი.

თანამედროვე მორწმუნეს აღარ შეუძლია ჩაიკეტოს რელიგიური დოგმატების ვიწრო ჩარჩოში. მას აინტერესებს იცოდეს ქვეყნის მომავლის მშენებლობის, საერთაშორისო მდგომარეობის, ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემები, რომლებიც ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში როგორც ჩვენი საუკუნის აქტუალური საკითხები. ამიტომაა, რომ მუსლიმანური რელიგიის მსახურებს აღარ აქვთ საშუალება ანგარიში არ გაუწიონ ყოველივე არსებულსა და რეალურს.

სწორედ ამაზე მიუთითებს ამიერკავკასიის მუსლიმანური რელიგიის სამმართველოს უფროსის მოადგილის მუფთი-ველიზადე შარიფის გამოსვლა აზერბაიჯანის მუსლიმანური რელიგიის კულტის მსახურთა წინაშე, სადაც „თანამედროვე მსოფლიოში მომხდარი ცვლილებები აღარ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მორწმუნეების სულიერი მოთხოვნილებანი მოთავსდეს ყურანის შარიათული ნორმის ფარგლებში, დროა გა-

ვიგოთ, რომ ბევრი შარიათული ნორმა დღეისათვის მოძველებულია, რაც მორწმუნეებს აშორებს რწმენისაგან“ — თქვა ერთ-ერთ გამოსვლაში ისლამის მსახურმა მუფთი-ველიზადე-შარიფმა. იგი არწმუნებდა კულტის მსახურებს, რომ „თუ მოძველებულ შარიათულ ნორმებს ამოვიღებთ ხმარებიდან ცოდვას კი არ ჩავიდენთ, არამედ განვამტკიცებთ მუსლიმანური რელიგიის პოზიციებს“.

ისლამის სულიერი მსახურები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ იმ გარემოებას, რომ სოციალიზმის დროს რამდენადმე შეიცვალა მორწმუნეთა სოციალური შემადგენლობაც. ჩვენს ქვეყანაში არ არიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, ყველა, მორწმუნე თუ არამორწმუნე წარმოადგენენ საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრებს და ერთნაირად არიან დაინტერესებულნი ქვეყნის კეთილდღეობით. ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულმა გარდაქმნებმა მორწმუნეთა შეხედულებებში სერიოზული ცვლილებები გამოიწვია, რის გამოც ზებუნებრივი ძალებისადმი რელიგიურმა შეხედულებებმა ადგილი დაუთმეს ამქვეყნიურ ადამიანურ იდეალებს. მორწმუნეები მართალია თავიანთი რელიგიური შეხედულებების სარეალიზაციო ადგილად მეჩეთებსა და ჯამეებს მიიჩნევენ, მაგრამ იმამებსა და კულტის მსახურებს ისინი ახლა ამ საქმეში დამხმარე პირებად თვლიან და არა ღმერთის მოციქულებად. თუ ადრე იმამი მეჩეთის ბატონ-პატრონი იყო და თვითონ წმინდანად, ხოლო მისი სიტყვა ან ბრძანება შეუცვლელ კანონად ითვლებოდა, ახლა იგი მეჩეთის ან ჯამეს დაქირავებულ მოსამსახურეს წარმოადგენს, ამასთან, მას ალაჰი კი არ მოავლენს, არამედ ირჩევენ მორწმუნეთა წრიდან შემდგარი აღმასრულებელი ორგანოები. მართალია ეს ორგანოები არ ერევიან მეჩეთის

სამეურნეო-საფინანსო საქმეებში, მაგრამ ხშირად ისმენენ იმამებისა და რელიგიის კულტის მსახურთა ანგარიშს. არის შემთხვევები, როცა მეჩეთის აქტივისტები, მისი აღმასრულებელი ორგანოები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მეჩეთში ნაქადაგარის თემატიკისა და შინაარსის განხილვაში, რითაც კონტროლს უწევენ რელიგიური კულტის მსახურთა მოღვაწეობას. კიდევ მეტიც, ნამაზის კითხვის შემდეგ ხშირად მეჩეთებში მორწმუნეები იკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფად და ანალიზს უკეთებენ რელიგიის მსახურთა ნაქადაგარს, არის შემთხვევები, როცა ისინი აკრიტიკებენ იმამებსა და ხოჯებს. მუსლიმანური რელიგია კი თავისი კანონიკური ძეგლით, ყურანით კრძალავს ლოცვის დამთავრების შემდეგ მორწმუნეთა ჯგუფ-ჯგუფად შეკრებას, მორწმუნე ვალდებულია წავიდეს თავის საქმეზე, ეს იმიტომ, რომ ეჭვი არ შეიტანოს ერთმანეთთან აზრის გაზიარების შედეგად იმამებისა და ხოჯების ნაქადაგარში.

ისლამის ევოლუციური პროცესი განპირობებულია იმ მიზეზითაც, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე შეიცვალა მუსლიმანური რელიგიის კულტის მსახურთა შემადგენლობა: აბსოლუტური უმრავლესობა დაიბადა და ჩამოყალიბდა საბჭოური წესის პირობებში. მათს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე წარუშლელი კვალი დააჩინა საბჭოურმა სკოლამ, სადაც ისინი სწავლობდნენ. შემთხვევითი არაა, რომ დღევანდელი მუსლიმანური რელიგიის მსახურთა შორის ცოტანი არიან ისეთნი, რომელნიც მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე რელიგიური მოღვაწეობით იყვნენ დაკავებულნი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე მუშაობდა ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ხოლო გარკვეული ნაწილი

დღესაც უთავსებს ერთმანეთს კულტის სამსახურს საზოგადოებრივ სამსახურთან. აღნიშნულმა ფაქტებმა არ შეიძლება თავისი კვალი არ დაამჩნიოს ისლამის რელიგიური კულტის მსახურთა სულიერ სამყაროს.

და ბოლოს, მხედველობიდან არ შეიძლება გავუშვათ, რომ მუსლიმანური რელიგია თავიანთ კულტის მსახურებს არ უკრძალავს ოჯახის შექმნას, ისე როგორც ამას აკეთებს ქრისტიანობა. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას აქვთ ოჯახები, ჰყავთ შვილები და შვილთაშვილები, რომლებიც არიან მუშები, კოლმეურნეები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები, მეცნიერმუშაკები და სხვა. აღნიშნული ფაქტი კი თავის ზეგავლენას ახდენს მუსლიმანური რელიგიის კულტის მსახურთა ოჯახებში სულიერი სამყაროს ფორმირებაზე.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ბატონობის პირობებში, როცა მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი რელიგიასთან, და მათი ერთი ნაწილი სოციალისტური საზოგადოების მხარეზე გამოდის, უმცირესობა იძულებულია რელიგიური მოღვაწეობა შეუთავსოს სოციალისტური საზოგადოების სინამდვილეს.

ჩამოთვლილი მიზეზები შეიძლება მივიჩნიოთ მეტნაკლებად არა მარტო ისლამის ევოლუციური პროცესის, არამედ სხვა რელიგიური მიმართულების მოდერნიზირების მიზეზებადაც.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასა და მის პირველ გარდაქმნებს ისლამის მსახურნი მტრულად შეხვდნენ, ვინაიდან ლენინურმა დეკრეტმა რელიგიური რწმენა კერძო საქმედ გამოაცხადა, რითაც რელიგიის მსახურებს შეუწყვიტა დაფინანსება და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მუსლიმანურმა რელიგი-

ამ დაკარგა პრივილეგირებული მდგომარეობა, იგი უფლებრივად გაუთანასწორდა სხვა რელიგიურ მიმართულებებს, ხოლო ისლამის კულტის მსახურები უფლებრივად გაუთანასწორდნენ სხვა საბჭოთა მოქალაქეებს.

მიმართავდა რა რუსეთისა და აღმოსავლეთის მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლებს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღეებში ვ. ი. ლენინი წერდა: „დღეიდან თქვენი რწმენა და ადათ-წესები, ნაციონალური და კულტურული დაწესებულებანი თავისუფალი და ხელშეუხებელია, მოაწყვეთ თქვენი ნაციონალური ცხოვრება თავისუფლად და დაუბრკოლებლად, თქვენ გაქვთ ამის უფლება“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ვ. ი. ლენინმა მუსლიმანურ ორგანიზაციას გადასცა წერილობითი რელიქვიური ძეგლი, ხალიფა ოსმანის „ყურანი“, რომელიც ინახებოდა მეფის რუსეთის სახელმწიფო მუზეუმში.

ახალგაზრდა სახელმწიფომ მისი შექმნიდან დროის მცირე მონაკვეთში გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელიც მიზნად ისახავდა მუსლიმანთა ჩამორჩენილი რაიონების კულტურულ დაწინაურებას. მიუხედავად ქვეყნის მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა 1928 წელს რკპ (ბ) X ყრილობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი დადგენილება განაპირა ჩამორჩენილი მუსლიმანური რაიონების მრეწველობის გასავითარებლად და მასში მუსლიმანი მოსახლეობის მონაწილეობის მისაღებად. ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ „საჭიროა მოვიპოვოთ მუსლიმანი მოსახლეობის ნდობა. საჭიროა დავუმტკიცოდ მათ, რომ ჩვენ იმპერიალისტები არა ვართ, რომ ჩვენ არავითარ გადახრას არ მოვითმენთ“. ასეთივე აზრია გატარებული ვ. ი. ლე-

ნინის მიერ კავკასიის ფრონტზე ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ დეპეშაში: „ერთხელ კიდევ გთხოვთ იმოქმედოთ ფრთხილად და განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოთ მუსლიმანი მოსახლეობის მიმართ“.

საბჭოთა სახელმწიფომ დროის მცირე მონაკვეთში რუსეთის იმპერიის განაპირა ჩამორჩენილი მუსლიმანური მოსახლეობა წამოსწია ცივილიზირებული ერების კულტურის დონემდე, დაეხმარა მათ დაწინაურებულიყვნენ და შეექმნათ თავიანთი ნაციონალური სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი, მისცა მათ შესაძლებლობა გარდაექმნათ თავიანთი ეკონომიკა და კულტურა.

საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავდა დიდ და პატარა ერების თავისუფალ სუვერენულ უფლებებს, ჩამორჩენილი განაპირა ხალხების სიმპათია დაიმსახურა. ამან კი თავისი დადებითი ზეგავლენა იქონია მუსლიმანური რელიგიის კულტის მსახურთა მიმართ: ისინი იძულებული გახდნენ ნებით თუ უნებლიეთ ელიარებინათ მეფის რუსეთთან შედარებით საბჭოთა სახელმწიფოს უპირატესობა. მუსლიმანური რელიგიის კულტის მსახურთა ერთი ნაწილი საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლო აგიტაციის კურსსაც კი დაადგა. ასე მაგალითად, 1921 წლის 3 დეკემბრის აჭარისტანის ხოჯათა ყრილობა ვ. ი. ლენინს წერდა: съезд «убеждает трудящихся Аджаристана в необходимости признания единственной власти, могущей освободить угнетенных всего мира от ига капитализма, — власти Советов. Съезд выражает глубокое уверение о грядущем торжестве всех трудящихся Востока и искренне желает, чтобы (Вы) вели всемирный пролетариат по пути к воплощению великой идеи — коммунизму и созданию все-

мирной семьи советских республик с их высоко поднятым священным знаменем революции».

ასეთივე შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სრულიად რუსეთის სამუსლიმანო რელიგიის მსახურთა ყრილობამ საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას ქალაქ უფადან 1926 წლის 25 ოქტომბერს: «Съезд выражает от имени всех мусульман благодарность и преданность советской власти, защитнице угнетенных народов Востока, и обещает поддерживать советскую власть в ее мероприятиях по укреплению завоеваний революции».

მუსლიმანური რელიგიის მსახურთა ერთი ნაწილი იმასაც ამტკიცებდა, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია განხორციელდა ყურანში მოცემული ნორმების მიხედვით და მუჰამედის ანდერძის შესაბამისად, რომ ვინც გამოვა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ იგი ღმერთისა და წინასწარმეტყველ მუჰამედის მტერიაო...

საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლა როცა უეჭვო გახდა, რელიგიის მსახურთა ერთი ნაწილი იძულებული შეიქმნა მხარი დაეჭირა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური კურსისთვის. ისინი თავიანთ შეკრებებზე. გამოსვლებსა თუ საუბრებში აღნიშნავენ, რომ მხარს დაუჭერენ და ითანამშრომლებენ საბჭოთა სახელმწიფოსთან. ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის მუსლიმანები, — წერენ შუა აზიელი რელიგიის მსახურნი — დიდი კმაყოფილებით ვართ გამსჭვალულნი, რომ საბჭოთა სახელმწიფო თავისი შექმნის პირველსავე დღეებში მხარს უჭერდა და უჭერს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებს. ამ ხალხებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ოქტომბრის სოციალისტურმა რე-

ოლუციამ, რომელმაც დასაბამი მისცა კოლონიური ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს.

რუსეთში განხორციელებულმა ეკონომიკურმა და კულტურულმა გარდაქმნებმა, აიძულა მუსლიმანური რელიგიის მსახურნი რამდენადმე გადაეფასებინათ თავიანთი შეხედულებები. ბევრი მათგანი კი კომუნიზმისა და რელიგიური იდეების შერიგების გზებსა და საშუალებებსაც კი ეძებს. ამასთან, ცდილობენ მიაგნონ მუსლიმანური რელიგიის ადგილს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში ისე, რომ არ გარდაქმნან რელიგიური სწავლება.

მოდერნიზაციისაკენ ისლამის ტენდენცია გამოვლინდა ჯერ კიდევ სოციალისტურ რევოლუციამდე. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში, როცა მუსლიმანურ რაიონებში ჩამოყალიბება იწყო ნაციონალურმა ბურჟუაზიამ. საკმარისია გავიხსენოთ მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში მოლლა-ისტორიკოსის შ. მარდჟანის რელიგიურ-რეფორმისტური პროგრამით გამოსვლა. იგი გამოხატავდა რა მუსლიმან ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებს, მოითხოვდა შებრუნებულიყვნენ პირით ევროპისაკენ. მარდჟანი და მისი თანამოაზრენი სხვა მოდერნისტულ აზრებთან ერთად ამტკიცებდნენ, რომ ისლამი არ უკრძალავს მუსლიმანებს დაეუფლონ საერთო მეცნიერებისა და ევროპული კულტურის მიღწევებს.

ისლამის მოდერნიზირების მეორე ფაქტორად შეიძლება დავასახელოთ, რომ ისლამში ჯერ კიდევ მისი წინასწარმეტყველი მუჰამედის პერიოდიდან შეინიშნება სხვადასხვა მიმართულება, რომელიც დღეისათვის უფრო ნათელი გახდა. დღეს ისლამის მიმდევრები ცდილობენ იპოვონ ისეთი შარია-

თული სწავლება, რომელიც გაამართლებს არსებულ საზოგადოებრივ წყობასთან რელიგიის შეგუების პირობას. ისინი აღნიშნავენ, რომ თვით მუჰამედის ნაქადაგარი და ყურანის შარიათული ნორმები აღმოცენებული იყო იმ ეპოქიდან, რომელ ეპოქაშიც მუჰამედი ცხოვრობდა.

მუსლიმანური რელიგია იმთავითვე წინააღმდეგობრივი იყო თავისი წესებით. მაგალითად, შუა აზიასა და აზერბაიჯანში ისლამი ქალებს უკრძალავდა რელიგიური წამოსასხამის გარეშე გავლას, ეს წესი კი მომთაბარე მუსლიმანებში, მაგალითად, ჩრდილო კავკასიასა და ბაშკირეთში, სავალდებულოდ არ მიიჩნეოდა, რადგან იგი ხელს უშლიდა მათ სწრაფ მოძრაობაში, რაც ამ ხალხის ცხოვრების თავისებურებით აუცილებლობას წარმოადგენდა; ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილსა და ციმბირში მუსლიმანობა ქალებს მეჩეთში სალოცავად სიარულის ნებას რთავდა, ხოლო კავკასიაში მცხოვრებ ქალებს ეკრძალებათ ამგვარი რამ; უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და სხვა რესპუბლიკებში მუსლიმან ქალებს ეკრძალებათ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მიღება, იგივე წესი კი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში მცხოვრებ კულტის მსახურ ქალებს არ უკრძალავს სასაფლაომდე მიაცილონ მიცვალებული.

მუსლიმანურ რელიგიაში არსებული განსხვავებანი იწვევს ამ რელიგიის კულტის მსახურთა უთანხმოებასა და ისლამისადმი განსხვავებულ მიდგომას, რელიგიური რიტუალების შესრულების საკითხებზე.

ისლამის მსახურთა განსხვავებული შეხედულებები კიდევ უფრო შორს მიდის. მაგალითად, კულტის მსახურთა შუა აზიის სამმართველომ გამოსცა მითითება, რომ მუსლიმანური

რელიგიის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული „მევლუდი“ შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მეჩეთში და მხოლოდ წინასწარმეტყველი მუჰამედის დაბადების დღეს. ამ აზრს მხარი არ დაუჭირა კულტის მსახურთა ჩრდილო კავკასიის სამმართველომ, მათი აზრით სამევლუდო დღესასწაული ყურანის შესაბამისად შეიძლება ჩატარდეს ყველა მუსლიმანის ოჯახში და იგი შეიძლება გაგრძელდეს მთელი იმ თვის მანძილზე, რომელსაც ემთხვევა წინასწარმეტყველი მუჰამედის დაბადება... მუსლიმანურ „მოძღვრებათა“ ურთიერთშეუსაბამობის მაგალითებით სხვაც მრავლად შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ, ვფიქრობ, მოტანილიც საკმარისია.

ფრიდრიხ ენგელსი ამბობდა, რომ ხალხი, რომელიც ქმნის თავის რელიგიას «Сами ощущают потребность в ней и понимают религиозные потребности масс».

ეწევიან რა რელიგიურ პროპაგანდას, თანამედროვე რელიგიური კულტის მსახურები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს. მართალია ისლამის ევოლუციურმა პროცესმა მორწმუნეთა რელიგიური შეხედულებების რამდენადმე შესუსტება და ცვლილებები გამოიწვია, მაგრამ ისლამის რელიგიურ ტრადიციებსა და ადათწესებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, მორწმუნეთა შეგნებაში, მათი რწმენით ისლამური დოგმატები თვით ალლაჰის მიერ არიან შექმნილნი, ამიტომ მარადიული და უცვლელნი არიან.

საუკუნეების მანძილზე სულიერი მამები მუსლიმანს ჩააგონებდნენ რომ ნებისმიერი სიახლე როგორც რელიგიაში, ისე საზოგადოებაში მავნეა და მიუღებელი ისლამისათვის. ამიტომაცაა, რომ დღევანდელი ისლამის მოდერნიზატორები

ახლებურად ქადაგებენ ისლამში დიდი ხნის წინათ დადგენილ დოგმებს, უგუებენ მათ დღევანდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას და გამოდიან ისლამში ყოველგვარი ახლის დანერგვის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით, სინამდვილეში კი ისინი ცდილობენ დაიკავონ და განამტკიცონ დოგმები, რომლებიც ისლამის წარმოშობის დღიდან არსებობს.

თანამედროვე ისლამის მოდერნიზატორები უარს კი არ ამბობენ ძველი ისლამური რელიგიის დოგმებზე, არამედ ამ დოგმების პრიზმაში გარდატეხავენ ისლამური რელიგიის ყოველგვარ ევოლუციურ პროცესს. სწორედ ამიტომ, ისლამის საწინააღმდეგო მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას ჯერ დევ ბევრი საზრუნავი აქვს.

ისლამი ომისა და მშვიდობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ

ისლამი, როგორც რელიგიური მიმდინარეობა, მორწმუნე ადამიანებს ხელს უშლის სწორად გაერკვნენ საზოგადოებრივ მოვლენებში, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკური ცხოვრების საკითხებში, ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის პრობლემებში. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ადამიანთა ერთ ნაწილში ისლამური წესების, სამართლებრივი ნორმებისა და ტრადიციების მოქმედების ცხოველმყოფელობას და მისი ნორმებისა და ადათ-წესების დაცვისათვის დროის ბიუჯეტის უაზრო ფლანგვას, რაც ხელს უშლის მორწმუნე ადამიანებს მთელი ძალა და შესაძლებლობა მოახმარონ ქვეყნისა და ხალხის, საკუთარი მხარის კეთილდღე-

ობის საქმეს. ამიტომაც საჭიროა ისლამური მსოფლმხედველობის, მისი სოციალური მოძღვრების მეცნიერულ-თეორიული ანალიზისადმი სერიოზული ყურადღების დათმობა და ამ მიმართებით თეორიულ პრობლემებთან ერთად პრაქტიკული ღონისძიებების გატარება და ისლამის, როგორც რელიგიური მიმართულებისადმი სწორი, მეცნიერული ინტერპრეტაცია.

ისლამური რელიგიის ყველა მკვლევარს — პოეტს, მწერალს, პუბლიცისტს თუ საზოგადო მოღვაწეს უნდა ახსოვდეს, რომ ამ რელიგიურ მიმართულებას საფუძვლად უდევს არა მხოლოდ მუჰამედის მიერ შექმნილი წერილობითი ძეგლი, არაედ ადათ-წესები, სამართლებრივი ნორმები და ზნე-ჩვეულებანი, რომელთა შორის ერთის ხედვით მჭიდრო დიალექტიკური კავშირი არსებობს, ამიტომ მეტ-ნაკლებად ისინი ერთმანეთსაც განაპირობებენ. ამის გარდა, ხომ ისლამური რელიგიის პოლიტიკური და სოციალური მოძღვრება შეკრულია ისლამის ადათ-წესების სამართლებრივი ნორმებისა და ზნე-ჩვეულებების შესაბამისად. სწორედ მორწმუნეთა მიერ ისლამის ადათ-წესების, სამართლებრივი ნორმებისა და ზნე-ჩვეულებების პრაქტიკული შესრულება და მისადმი უცილობელი ერთგულება განაპირობებს მორწმუნეებში ისლამის ყოველგვარი მოთხოვნილებისადმი ბრმა ერთგულებას.

ისლამური მიმართულების სოციალური ნორმები შეიძლება გაშუქდეს ადამიანის, როგორც ასეთის ყურანისებური განმარტებით. ამ წერილობითი ძეგლის თანახმად კი ადამიანი ღმერთმა შექმნა და მისი ყოველგვარი შესაძლებლობა ღმერთის მიერ არის განპირობებული და განსაზღვრული. სწორედ ამიტომ ადამიანის არსებობის, მისი მომავლის მთავარი მიმართულება და ცხოვრებისეული მიზანი, ღმერთისადმი სამსახური უნ-

და იყოსო—ქადაგებს ისლამი. ისლამის წერილობითი ძეგლის თანახმად ადამიანის — ადამიანთან, კლასების — კლასებთან, სოციალური ჯგუფების—სოციალურ ჯგუფებთან მიმართებას, პირველ რიგში, წინ უნდა უსწრებდეს ღმერთისა და შუამავლის ანუ მოციქულისადმი მორწმუნის მორჩილება. რაც შეეხება საზოგადოებაში ადამიანთა ერთმანეთთან მიმართებას, ეს უკანასკნელი არსებითი არ არის, მეორეხარისხოვანია და ისლამს საჭიროდ არც კი მიაჩნია მორწმუნემ იფიქროს მასზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა იფიქროს არა მიწიერზე, არამედ ზეციურზე, არა მატერიალურზე, არამედ სულიერზე, რითაც ადამიანის არსება მარადიული ხდება.

ისლამის წერილობითი ძეგლის დოგმებიდან თუ გავიგებთ, ყველაფერი ღმერთმა შექმნა, სამყაროც, ადამიანიც, სამყაროში მიმდინარე პროცესებიც და მათი ურთიერთგანპირობებულებაც. ამის გამო მოვლენათა შორის დამყარდა გარკვეული კავშირი და წესრიგი, ხოლო მარეგულირებლის ფუნქცია მათი მოთხოვნით ალაჰს აკისრია და იგი ასრულებს მას. ამასთან, მხოლოდ ალაჰს აკისრია ეს ფუნქცია და არ შეიძლება მას ასრულებდეს სხვა, საზოგადოებრივი იქნება ეს თუ ბუნებრივი ძალები.

ისლამური რელიგია, მისი სოციალური ფუნქცია რომ გაბატონებული კლასის სამსახურში დგომაა და მიმართულია მორჩილის დასათრგუნავად, ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ ისლამი ძალაში ტოვებს სოციალურ ეა ქონებრივ უთანასწორობას. ამით იგი აკანონებს ერთის მეორეზე ბატონობას, რასაც ამართლებს იმით, რომ ღმერთს, რომელსაც თურმე მშრომელები ყველა სხვა დანარჩენ ადამიანებზე მეტად უყვარს, სურს გამოსცადოს რამდენად ამართლებენ მორჩილნი მის

ერთგულებას, რომ მერმე მორჩილები და ერთგულები სამოთ-ხეში შერეკოს, ხოლო ურჩები, უსაქმურები, ზარმაცები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფუფუნებაში მცხორები გაბატონებული კლასის შვილნი ჯოჯოხეთს არ ააცდინოს. ისლამის წერილობი-თი ძეგლი, ყურანი ისეა შედგენილი, რომ იგი საშუალებას აძლევს ამ რელიგიის მსახურთ და მათ ირგვლივ გარშემოყრილ ხალხს გამოიყენონ იგი თავიანთი შეხედულებებისა და პო-ლიტიკური პლატფორმების მიხედვით, ზუსტად მოარგონ მათ ნიერ შემუშავებულ სამოქალაქო გეგმის მოდელს. ეს პროცე-სი კარგად ჩანს თანამედროვე მსოფლიოს იმ ქვეყნებში. სადაც ისლამი ევოლუციური, მოდერნიზებული, განახლებული ფორ-მით მოგვევლინა და მისი მთავარი მიზანია კარგად მოერგოს ამა თუ იმ გაბატონებული პოლიტიკური პარტიის პლატფორ-მებს. ისინი ცდილობენ თავიანთი შეხედულება თავს მოახვიონ საზოგადოებას. ამ მიზნით აფართოებენ საპროპაგანდო თემა-ტიკას, ცდილობენ დაუკავშირონ იგი სოციალურ პრობლემა-ტიკას. საამისოდ წმინდა რელიგიური საკითხების გვერდით იხილავენ საკითხებს ომისა და „მშვიდობის, ხალხთა მეგობრო-ბის, კომუნიზმის მშენებლობის შესახებ და, რა თქმა უნდა, რელიგიის მსახურები ამ საკითხებს რელიგიურ ინტერპრეტა-ციას აძლევენ.

მუსლიმანური რელიგიის მსახურთა „ახალი“ პოზიციის შესწავლა ცხადყოფს, რომ ისლამმა მნიშვნელოვანი ევოლუ-ციური ცვლილებანი განიცადა საბჭოთა ხელისუფლების არსე-ბობის მანძილზე, რათა ისლამური იდეოლოგია შეერიგებინა სოციალური იდეოლოგიისათვის.

ექსპლოატატორული წყობილების დროს რუსეთის მუსლი-მანური რელიგიის მსახურთა უმრავლესობა სოციალური უთა-

ნასწორობის იდეას იცავდა. ისინი მორწმუნე მუსლიმანებს ჩაგონებდნენ სოციალური უთანასწორობის მარადიულობისა და უცვლელობის რწმენას. მუსლიმანებს მოუწოდებდნენ შერიგებოდნენ ამ ქვეყნად სოციალურ უსამართლობას და მომზადებულიყვნენ საიქიოს ბედნიერი ცხოვრებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამ, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებებმა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში ხალხის მასების აქტიურმა მონაწილეობამ მუსლიმანობის მსახურნი აიძულა გარკვეული კორექტურა შეეტანათ ისლამის რელიგიურ დოგმატიკაში და შეეგუებინათ ის ახალი სოციალ-ეკონომიური წყობისათვის. მიმართავდნენ რა საბჭოთა ქვეყნის ისტორიას, მუსლიმანური რელიგიის წარმომადგენლები შავი ფერებით ხატავდნენ ცარიზმს, როგორც მუსლიმანური რელიგიის საფუძვლების შემვიწროებელს და სულისმხუთავს, ატარებდნენ იმ აზრს, თითქოს მუსლიმანური რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელნი ცდილობენ საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნებს პროგრესის მიზნით და რელიგიურ საქმიანობაში ცარიზმის ჩარევა თითქოს ხელს უშლიდა მათ ჩანაფიქრის განხორციელებაში.

მუსლიმანური რელიგიის თანამედროვე მსახურნი თავიანთ ევოლუციურ შეხედულებებში იბრალებენ, თითქოს ისლამი და ბისი ღვთის მსახურნი ცდილობდნენ რუსეთის განაპირა რაიონების ჩამორჩენილი ხალხი ეზიარებინათ თანამედროვე კულტურისათვის, გაევრცელებინათ მათ შორის მეცნიერული ცოდნა რელიგიური დაწესებულების საშუალებით. მუსლიმანური რელიგიის მესვეურნი აცხადებდნენ, რომ ცარიზმის დროს გა-

ბატონებული მდგომარეობა ქრისტიანულ რელიგიასა და მის მიმდევრებს ეკუთვნოდათ. მუსლიმანური რელიგიის მსახურნი კი იჩაგრებოდნენ. ცარიზმის ჩინოვნიკური აპარატი აწესებდა სასტიკ კონტროლს მუსლიმანური ორგანიზაციების და სკოლების მიმართ, კრძალავდა ესწავლებინათ მუსლიმანურ სასწავლო დაწესებულებებში საერო მეცნიერული დისციპლინები, ყველა მუსლიმანურ მეჩეთსა და მედრესეში სისტემატური კონტროლი იყო დაწესებული მუსლიმან მორწმუნეთა მიმართ. მუსლიმანური რელიგია ბრალს დებდა რა ცარიზმს, სიმართლეს ამბობდა, მაგრამ დუმდა იმაზე, რომ მუსლიმანური კულტის მსახურნი ერთგულად ემსახურებოდნენ თვითმპყრობელურ ხელისუფლებას ხალხთა დაბეჩავებისა და დამონების საქმეში. იქ, საკაც ტრადიციულად ისლამი იყო გავრცელებული. ცარიზმის ხელისუფლება აქ პრივილეგიურ პირობებს უქმნიდა მუსლიმანური რელიგიის მსახურებს. აჯილდოებდა მათ ორდენებითა და ფეოდალური რანგის ტიტულებით. ათავისუფლებდა სასჯელისა და გადასახადებისაგან.

მუსლიმანური რელიგიის კულტის მსახურები ერთის მხრივ ამტკიცებდნენ, რომ მეფის თვითმპყრობელობა ბრუნავდა მუსლიმანური რელიგიის მიმდინარეობის კეთილდღეობისათვის, ხოლო მეორეს მხრივ მოუწოდებდნენ მუსლიმანებს მოეთმინათ და აეტანათ ამქვეყნიური ტანჯვა-წამება, როგორც გამოცდა ადამიანის იმქვეყნიური მარადიული სასუფევლის მოსაპოვებლად.

მუსლიმანური რელიგიის თანამედროვე მსახურნი ზოჯერ ცდილობენ საქმე იმგვარად წარმოადგინონ, თითქოს წარსულში სოციალური პროგრესისა და სოციალიზმის იდეოლოგიის წინააღმდეგი მუსლიმანური რელიგიის მხოლოდ კონსერვატიული

ნაწილი იყო. ისტორიას ასეთი ინტერპრეტაცია საქმეს ისე ხატავს, თითქოს მუსლიმანური რელიგიის პროგრესული ნაწილი საზოგადოების პროგრესის მომხრედ გამოდიოდა. არაკონსერვატიული ნაწილი მართლა ილაშქრებდა სქოლასტიკის წინააღმდეგ და მოითხოვდა მედრესეებში საერთო მეცნიერებათა სწავლების შემოღებას განათლებულ ევროპელ ხალხთან მუსლიმანთა დასაახლოებლად. მსგავს მოთხოვნას მუსლიმანური ბურჟუაზიაც აყენებდა, მაგრამ მასში არაფერი იყო სოციალისტური.

სადღეისო სხვა მსოფლიო-პოლიტიკურ საკითხთა შორის ჩვენი პლანეტისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ომისა და მშვიდობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემა. ვინაიდან ამ საკითხების გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული მსოფლიო კაცობრიობის მომავალი ბედი.

ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტას მუსლიმანური რელიგიის მსახურნი უკავშირებენ რელიგიას. თავის მხრივ მუსლიმანური ქვეყნების პოლიტიკური მსახურები თავიანთ პოლიტიკურ პოზიციას იმუშავებენ თანამედროვეობის ამ მეტად მწვავე საკითხებთან კავშირში. ამასთან, ითვალისწინებენ რა ხალხის ფანატიზმს, ცდილობენ მობილიზაცია გაუკეთონ მუსლიმანური სამყაროს ისლამისტებს და თავიანთი მიზნები უკარნახონ მათ ისლამის ლოზუნგების ქვეშ.

თანამედროვეობის მთავარი პრობლემა არის მშვიდობის შენარჩუნება პლანეტაზე. თერმოატომური ომის წარმოშობას შეიძლება მოჰყვეს პლანეტის მილიარდობით ადამიანის მოსპობა და მსოფლიო ცივილიზაციის განადგურება. ესმით რა

ეს, მსოფლიოს ხალხები სულ უფრო ფართოდ ებმებიან ომის გამჩაღებელთა საწინააღმეგო მოძრაობაში. გამონაკლისს არ წარმოადგენენ ამ მიმართებით მუსლიმანური სამყაროს ხალხებიც. მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ მუსლიმანური სამყაროს სულიერი წოდების მაღალი ფენა გამოდის რა ანტიკომუნისტური მოძრაობის მომხრედ, ამით მხარს უბამს საერთაშორისო იმპერიალიზმს და არაპირდაპირ ხელს უწყობს ომის გამჩაღებელთა ბანაკსაც.

ჯერ კიდევ მუსლიმანური რელიგიის ბევრი წარმომადგენელი მუსლიმანური სამყაროს ხალხში ავრცელებს შეხედულებას, თითქოს „ისლამური რელიგია წარმოადგენს მძლავრ იარაღს მსოფლიო მშვიდობის შესანარჩუნებლად“. მეორენი კი იმ აზრისანი არიან, რომ თანამედროვე მსოფლიო თერმოატომური ომის კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მსოფლიო ხალხების ისლამიზაცია.

არაკეთილ სამსახურს უწევენ მუსლიმანური სამყაროს მშრომელებს ისლამური სახელმწიფოების მასობრივი ინფორმაციის ცენტრებიც. ისინი ჩააგონებენ ხალხს, რომ მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნების პრობლემა ეკისრება თერმოატომური იარაღის მქონე სახელმწიფოებს, რომ აქ განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში უაზროა და მცირეეფექტური. ამ აზრს მუსლიმანური რელიგიის მსახურები იმასაც უმატებენ, რომ მუსლიმანური ქვეყნები ჯერ უნდა შეიარაღდნენ და მერე უნდა იბრძოლონ განიარაღებისათვისო. მსოფლიო მშვიდობისადმი ისლამის მიმდევართა ასეთი დამოკიდებულება ასუსტებს და ხელს უშლის მშვიდობის მომხრეთა დარაზმულობასა და სიმტკიცეს ომის

გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მშვიდობისადმი ისლამის მსახურთა ამგვარი მიდგომა ხელს აძლევს იმპერიალისტებს ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანური სამყაროს გადააქციოს თავის სამხედრო ბაზებად, რაც წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს სუვერენული სახელმწიფოების პროგრესის გზებზე და ხელს უშლის მსოფლიო მშვიდობის საქმეს.

მსოფლიო მშვიდობას არანაკლებ ზიანს აყენებს ისლამური რელიგიის მსახურთა ანტისაბჭოური მონაჭორები საბჭოური ინტერვენციის შესახებ, ადგანან რა ასეთ ორპირულ რეაქციულ გზას, ისლამური რელიგიის მსახურები ამახინჯებენ არა მარტო საბჭოურ სინამდვილეს, არამედ პირდაპირ ხელს უწყობენ მტრულ ბანაკს თავისი აგრესიული გეგმების რეალიზაციაში.

ისლამური რელიგიის მსახურები ამით ობიექტურ დაბრკოლებას უქმნიან მშვიდობის მომხრეთა ძალებს თერმოატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებაში.

მუსლიმანური სამყაროს ისლამური რელიგიის მსახურთა რეაქციული საქმიანობა იმაშიც გამოიხატება, რომ 1980 წელს ტაშკენტის საერთაშორისო რელიგიურ კონფერენციის ბოიკოტი გამოუცხადეს და არ მიიღეს მის მუშაობაში მონაწილეობა. როგორც ცნობილია, კონფერენციის ლოზუნგი იყო „ჰიჯრის 15 საუკუნე უნდა იქცეს მსოფლიო ხალხების მეგობრობისა და მშვიდობის საუკუნედ!“

ასევე არ გაიზიარეს 1982 წლის მაისის მოსკოვის საერთაშორისო კონფერენციის იდეები, რომლის ლოზუნგი იყო „რელიგიის მსახურები უმაღლესი ღირებულების, სიცოცხლის დაცვის შესახებ მსოფლიო თერმოატომური კატასტროფისაგან დაცვის საქმეში“.

მოსკოვის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ და არ გამოხმაურებია მუსლიმანური სამყაროს ათეულ რელიგიის მსახური.

ისლამის ერთი მნიშვნელოვანი დოგმატი მიგვანიშნებს, რომ რაც მსოფლიო ასპარეზზე ხდება, წინასწარ არის განსაზღვრული ალაჰის მიერ. გამოდიოდნენ და გამოდიან რა ისლამის რელიგიის მსახურნი აღნიშნული დოგმატიდან, საუკუნეების მანძილზე აპტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ ომი წარმოადგენდა და წარმოადგენს ამ ქვეყანაზე მსოფლიო ხალხების გამოცდის ერთერთ საშუალებას და რომ მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.

დღეს, როცა მუსლიმანური სამყაროს ხალხთა პოლიტიკური შეგნება შეიცვალა და გაძლიერდა მსოფლიო ომის კატასტროფული საშიშროება, ისლამური რელიგიის მსახურნი მიისწრაფვიან შეცვალონ თავიანთი აზრი ომისა და მშვიდობის პრობლემისადმი, ცდილობენ შეცვალონ ისლამის მიერ შემუშავებული ომისადმი დამოკიდებულების დოგმატი.

მუსლიმანური რელიგიის გამოჩენილი წარმომადგენლები საერთაშორისო მუსლიმანურ კონფერენციებზე აცხადებენ, რომ დღეს მსოფლიო ომის მიზეზი ძლიერი კაპიტალისტური და კომუნისტური ქვეყნების ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებია, რაც მსოფლიო ხალხებს მოსპობით ემუქრება. კაცობრიობის მოსპობის საშიშროების თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა ამ ქვეყნებმა უარი თქვან თავიანთ აგრესიულ გეგმებზე. ამიტომ მუსლიმანური ქვეყნის შვილი ვალდებულია იბრძოლოს ამერიკული იმპერიალიზმისა და „კომუნისტური აგრესიის“ წინააღმდეგ, მსოფლიო მშვიდობის შესანარჩუნებ-

ლად. მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ისინი ეყრდნობიან ყურანის დოგმატს, რომ „დედამიწაზე რაც არსებობს, სულიერია ის თუ უსულო ღმერთის მიერ არის შექმნილი და მისი დაცვა ყველას ერთად ევალება, მორწმუნესაცა და უღმერთოსაცო“.

ცდილობენ რა უღმერთოებთან კავშირში მსოფლიო მშვიდობისათვის ბრძოლის ქადაგების დანაშაული თავიდან აიცილონ, მუსლიმანური რელიგიის წარმომადგენლები იშველიებენ ყურანის დოგმებს. ისლამური რელიგიის მსახურები ცდილობენ თავი დაიძვრინონ შექმნილი ვითარებისაგან და აცხადებენ, რომ ღმერთის რჩეულთა შორის შეიძლება იყვნენ არა მარტო მუსლიმანები, არამედ არამუსლიმანებიც და არამორწმუნეებიცო.

მთელი შინაარსი იმაში გახლავთ, რომ გასული ეპოქის მთავარი კრიტერიუმი ადამიანში ღმერთისადმი შიშის გრძნობის აღზრდა-ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა. დღეს კი, როცა კაცობრიობას თერმოატომური ომის საფრთხე დაემუქრა, მუსლიმანური რელიგიის მსახურთა მთავარ კრიტერიუმად იქცა ამერიკული იმპერიალიზმისა და „კომუნისტური აგრესიის“ წინააღმდეგ ბრძოლა, საკუთარი რეაქციული მიზნების რეალიზაციისათვის ბრძოლის იდეა.

საკითხის ამგვარი ინტერპრეტაცია მეღავნდება აზიისა და აფრიკის ქვეყნების პატრიოტულად განწყობილ მუსლიმანურ სასულიერო წოდებაშიც, ესაა ტენდენცია აზროვნების ორთოდოქსალური მიმართების ვითარების შესაბამისად შეცვლისა. ისლამური რელიგიის რეაქციული მიმართულება ერთ სიბრტყეზე ათავსებს საბჭოთა კავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მსოფლიო ცივილიზაციის ყოველგვარი უბედურების

მიზეზად ორ ძლიერ სახელმწიფოს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას თვლიან. ამიტომაც მოითხოვენ მუსლიმანური სამყაროს ხალხთა ერთობლივ ბრძოლას ამ ორი ძალის წინააღმდეგ, ძალისა, რომელსაც მათი აზრით კაცობრიობა კატასტროფისაკენ მიჰყავს.

ისლამური რელიგიის პროგრესული ნაწილი, თანამედროვე პირობებში ომის საშიშროების მიზეზად თვლის არა სოციალიზმს, არამედ იმპერიალიზმს, ამიტომ მოითხოვენ თანაბედროვე ამერიკული ადმინისტრაციის გეგმების წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლას. კიდევ მეტიც, საჭიროდ თვლიან ამერიკული ადმინისტრაციის ავანტურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხთან ერთად მუსლიმანური და არამუსლიმანური სამყაროს ხალხთა ერთობრივ ბრძოლას, რადგან მუსლიმანური სამყაროს ხალხთა პროგრესულ ნაწილს საბჭოთა ქვეყანა პროგრესისა და მშვიდობის მედროშედ ეგულება. ეს დასკვნა მუსლიმანური ქვეყნების ხალხებში იმიტომ კეთდება, რომ ამერიკა წარმოადგენს სიონიზმის დასაყრდენ ბურჯს, სიონიზმისა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მსოფლიო ცივილიზაციას კატასტროფით ემუქრება, საბჭოთა ქვეყანა კი ამ საბედისწერო მომენტში არაბი ხალხის კანონიერი მოთხოვნის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის დამხმარე ძალად გამოდის. ამიტომაცაა, რომ გარდა ზოგიერთი რეაქციული ნაწილისა, არაბული ქვეყნების მუსლიმანთა დიდი უმრავლესობა საბჭოთა ქვეყნის მიმართ სიმპათიურად არის განწყობილი. ისლამის სულიერი ხელმძღვანელები გამოდიან მიწიერ-მატერიალური მოსაზრებიდან, ისინი ახლოს მიდიან ომისა და მშვიდობის პრობლემებისადმი რეა-

ლისტურ გადაწყვეტილებასთან და გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი ერთგვარად ცილდებიან კიდეც ისლამის წმინდა წიგნის დოგმატებს. მეორე მხრივ, ერთბაშად შეუძლებელია ისლამური რელიგიის დოგმატისაგან მათი განთავისუფლება, ამიტომ მოულოდნელია ისლამის სულიერი მამებისათვის რეალიზმისაკენ შემობრუნება და მორწმუნეთა კვლავ რელიგიურ ბურუსში გახვევა.

როგორც ვხედავთ ისლამური რელიგიისათვის სხვა რელიგიებთან შედარებით, ასე თუ ისე დამახასიათებელია მოდერნიზაციის პრინციპი. ისლამის, ისე როგორც სხვა რელიგიის წარმომადგენლები მსოფლიოს რელიგიურ კონფერენციებზე თავიანთ გამოსვლებში თერმოატომური ომის საშიშროების თავიდან აცილებას ცდილობენ ლოცვითა და ვედრებით. რელიგიის მსახურები ფიქრობენ, რომ ასეული მილიონობით ადამიანთა ლოცვის სიმძაფრეს გაიგებენ ზემოთმყოფნი. ეს კი ხელს ააღებინებს ომის მომხრეებს გააჩაღონ თერმოატომური ომი, სხვანაირად რომ ვთქვათ, იქნება თუ არა თერმოატომური ომი, ეს საბოლოოდ დამოკიდებულია ზებუნებრივ ძალაზე. ასეთი აზრი გატარებულია დოკუმენტში, როგორც ყველა რელიგიისა და მიმდინარეობის წარმომადგენელთა მიმართვა.

მიუხედავად ისტორიის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა, რელიგიის ერთი მუჭა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ რაც უფრო ძლიერია ღმერთისადმი რწმენა, მით უფრო ძლიერია მშვიდობისმომხრეთა ძალების მოქმედება ჩვენს პლანეტაზე. ხშირად ისლამური რელიგიის მსახურები იმასაც ამტკიცებენ, რომ მშვიდობის არსებობა დღეს განპი-

რობებულია ღმერთის შიშით, რომ თითქოს ომის გამჩაღებელ ძალებს ეშინიათ ღმერთის სასჯელისა და ამიტომაც არის დღეს მშვიდობიანი.

მორწმუნეთა შორის არის აზრი, რომ ლოცვა წარმოადგენს ერთაღერთ ყველაზე ძლიერ იარაღს ომის თავიდან ასაცილებლად. უფრო რელიგიის წარმომადგენლები ლოცვას ატომზე ძლიერ ძალად თვლიან. მათ რელიგიური რიტუალები ატომურ და წყალბადურ ბომბზე უმძლავრესად მიაჩნიათ მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. უფრო სალად მოაზროვნე მორწმუნენი კი მიუთითებენ, რომ მარტო ლოცვა-ვედრება საკმარისი არ არის ომის თავიდან აცილებისათვის. თავიდან უნდა ავიცილოთ თერმოატომური ომის აგრესია — აღნიშნავდა სირიის რესპუბლიკის ერთერთი უმაღლესი სასულიერო პირი, თუ არ ვიმოქმედეთ სწრაფი თანმიმდევრობით, პლანეტაზე არ დარჩება მეჩეთი, არც აღმოსავლეთსა და არც დასავლეთში, არ დარჩება დედამიწაზე არც სახლი, არც ქარხანა, არც სულიერი არსება, არც ადამიანი. არ დაიწყება ადამიანებისათვის ოცდამეერთე საუკუნე...

რელიგიური სწავლებისაგან განსხვავებით მარქსისტული იდეოლოგია ატომური ომის თავიდან ასაცილებლად მოითხოვს მორწმუნისა და ათეისტის ერთობლივ დარაზმულ ბრძოლას.

თანამედროვე პლანეტის მეორე მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც მილიონობით ადამიანთა ბედი უნდა გადაწყვიტოს. თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიალიზმის სისტემის დაცემათა და აზია-აფრიკის ხალხთა თანდათანობით პოლიტიკური დამოუკიდებლობით

ხასიათდება. მუსლიმანური ქვეყნების კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობა თანდათან გადადის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რაც ისლამის მიმდევრებისა და სასულიერო ზედაფენის წინაშე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მწვავე პრობლემას აყენებს.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დროს, ვიდრე საკითხი ისმოდა კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებაზე, მუსლიმან მსახურთა დიდი ნაწილი აშკარად არ გამოდიოდა ხალხის მასების წინააღმდეგ. ზოგი მათგანი მონაწილეობდა განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, თუმცა ერთი მიზნით: ადგილობრივ მშრომელებზე უცხოელთა ბატონობა შეეცვალათ საკუთარი ბატონობით.

განვითარებად მუსლიმანურ ქვეყნებში სოციალური დიფერენციაციის დაჩქარება, ზეგავლენას ახდენს ისლამის მსახურთა პოზიციებზე. მუსლიმანური სარწმუნოების სხვადასხვა ფენა სხვადასხვანაირ დამოკიდებულებას იჩენს ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობისადმი. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მუსლიმანი მსახურების დამოკიდებულება სოციალისტური ორიენტაციის სახელმწიფოებისადმი, რომლებიც თანამედროვე ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მემარცხენე ფლანგით გამოდიან.

პატრიოტულად განწყობილ მუსლიმანთა ერთი ნაწილი მხარს უჭერს მთელ რიგ განვითარებადი მუსლიმანური ქვეყნების ხელმძღვანელებს სოციალისტური ორიენტაციის გამომუშავების საქმეში. ისლამური რელიგიის სასულიერო პირთა ერთი ნაწილი, მათ შორის საღად მოაზროვნე ნაწილიც კო-

ლონიური უფლების დამხობის შემდეგ მხარს უჭერს განვითარების არაკაპიტალისტურ გზას. მაგალითად, ალჟირის ყოფილი მინისტრი ხაბუსოვი 1969 წლის დეკემბერში წერდა, რომ სოციალიზმი წარმოადგენს ისლამური რელიგიის ძირითად პრინციპს. ხოლო ამავე ქვეყნის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი — ალ-აფხარი აბდელ ქამელის დროს აცხადებდა, რომ ის, ვინც არ უჭერს მხარს ეკონომიკის განვითარების სოციალისტურ გზას, უფლება არა აქვს იყოს ისლამური რელიგიის ერთგულიო. მუსლიმანური სამყაროს განვითარებადი ქვეყნების პატრიოტულად განწყობილი სასულიერო პირები სოციალისტური ორიენტაციისაკენ მოუწოდებენ არამარტო სასულიერო ზედაფენებს, არამედ ისლამის მიმდევრებს, — მხარი დაუჭირონ თავიანთი ქვეყნის სახელმწიფო მეთაურებს საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებაში.

ასეთ პოზიციას ისლამის სასულიერო წოდება იმით ამართლებს, რომ საუკუნეების განმავლობაში ისლამური რელიგიის მსახურნი მუსლიმანებს ჩააგონებენ, „სახელმწიფო და რელიგია“ განუყოფელიაო. ისლამური რელიგიის სუნიტური მიმართულება იმთავითვე ჩააგონებდა მის მიმდევრებს, რომ ყოველი მუსლიმანი ვალდებულია უყოყმანოდ მხარს უჭერდეს და ასრულებდეს სახელმწიფო ხელისუფალთა ნებას.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც შეეძლო რელიგიის მსახურებაში გამოეწვია სოციალისტური ორიენტაცია იყო ის, რომ მუსლიმანი მსახურნი ახლოს არიან მშრომელ მუსლიმანებთან, კარგად იცნობენ მათ სულიერ სამყაროს და საჭირო შემთხვევაში შეუძლიათ გაიყოლიონ მორწმუნეთა დიდი ნაწილი.

ისლამური სამყაროს სასულიერო ზედაფენის რეაქციული ნაწილი ცდილობს რა ჩამოაცილოს თავისი ქვეყნის ხალხთა უმრავლესობა სოციალისტურ ორიენტაციას, პირველ რიგში, კი ჩამოაცილოს იგი საბჭოთა ქვეყნებთან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან დამოკიდებულებას — ფიქრობს, რომ მსოფლიო რევოლუციური ძალების დაუხმარებლად და მხარდაუჭერლად მუსლიმანური სამყაროს სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნები ვერ შეძლებენ შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა.

ისლამური რელიგიის რეაქციული ნაწილი ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს განვითარებადი ქვეყნების კონსერვატიული ნაწილი სოციალისტური ორიენტაციის ნაწილს, ამით კი ცდილობს შეუქმნას „თავდაცვის კორიდორი“, რათა მათთვის ხელსაყრელ პირობებში სახელმწიფოს ხელმძღვანელ რეაქციულ ნაწილთან მხარდაჭერით მოსპოს რევოლუციურ-დემოკრატიული ძალები.

მუსლიმანური რელიგიის რეაქციულ ნაწილს, რომელსაც მხარს უჭერს საერთაშორისო იმპერიალიზმი, არაერთხელ უცდია ერთმანეთისათვის დაეჯახებინა იემენის არაბთა რესპუბლიკა იემენის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ამავე დროს იგი მოუწოდებდა მუსლიმანებს ებრძოლათ არსებული წყობილების წინააღმდეგ.

სირიის არაბთა რესპუბლიკაში იმ მიზნით, რომ დაემხოთ არსებული რეჟიმი, ისლამური რელიგიის რეაქციულმა ნაწილმა თავისი რეაქციული მიზნების მისაღწევად წამოისროლა ლოზუნგი: „ძმებო — მუსლიმანებო!“ სოციალისტური ორიენტაციის ძალებს დიდი მეცადინეობა და ენერგია დასჭირდათ, რათა შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა.

მუსლიმანური რელიგიის რეაქციულობის ჩვენებისათვის საკმარისია აღვნიშნოთ არც თუ შორეულ წარსულში შექმნილი თეორია ე. წ „მუსლიმანთა ძმობის“ ასოციაციის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბდა ეგვიპტეში 1928 წელს და იარსება 1954 წლამდე.

„მუსლიმანთა ძმობის“ ასოციაცია ჩამოყალიბდა ეგვიპტეში და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მონაწილეობდა „ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“. „ძმობის“ დოქტრინების ამოსავალია XX საუკუნის მუსლიმანი რეფორმატორების ჯემალ ად-დინ ალ-აფგანის და მუჰამედ აბდოს, აგრეთვე ცნობილი ეგვიპტელი რელიგიური მოღვაწის რაშიდ რიდის იდეები. აღნიშნული ასოციაციის შექმნაში და მისი დოქტრინების შემუშავებაში დიდი როლი შეასრულა ჰასან ალ-ბანიმ (1906-1949).

1936 წელს ალ-ბანიმ ეგვიპტის მეფეს, ბარუკის, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს მუსტაფა ნახასუს, და აგრეთვე ყველა მუსლიმანური სახელმწიფოს მეთაურებს გაუგზავნა მიმართვაწერილი, რომლის ტექსტში პირველად იყო ჩამოყალიბებული „ძმობის“ იდეები. ამ მიმართვას ეწოდებოდა „სინათლისადმი“ და მისი ძირითადი აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ დაესაბუთებინა ისლამის უპირატესობა დასავლეთის ცივილიზაციასთან შედარებით, რომელიც ალ-ბანის აზრით, უცხოა აღმოსავლეთის საზოგადოებისათვის. „ძმობის“ პირველსავე, საპროგრამო დოკუმენტში გატარებულია რეაქციული პრინციპი, სხვისი კულტურის, სახელდობრ, დასავლეთის ცივილიზაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ეს კი თავისთავად არის მსოფლიოს ხალხების გათიშვისაკენ მოწოდება, რაც საბოლოო ჯამში არამუსლიმანთა მიმართ მტრობას გულისხმობს. ამის და-

დასტურებაა ალ-ბანის შემდეგი სიტყვებიც: არსებული „საზოგადოებრივი დოქტრინები, როგორიცაა კომუნიზმი, სოციალიზმი, კაპიტალიზმი“ და ა. შ. მუსლიმანური საზოგადოებისათვის გამოუსადეგარია და ყველაფერი „საუკეთესო“, რაც მათშია, ისლამისაგანაა მიღებული.

ასოციაციის ერთერთ უმთავრეს ამოცანას პოლიტიკური მოღვაწეობა შეადგენდა, რომელსაც 1939 წელს სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა. აქ ოფიციალურად იქნა აღიარებული, რომ „მუსლიმანთა ძმობა“ — პოლიტიკური ორგანიზაციაა. ამ კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ორგანიზაციის ძირითადი იდეოლოგიური პრინციპები: 1. ისლამი, როგორც ყოვლისმომცველი სისტემა ცხოვრების ყველა მხარეს ეხება; 2. ისლამი ემყარება ორ უმთავრეს პირველსაწყის წყაროებს—ყურანსა და სუნას: 3. ისლამი ყველა დროისა და ხალხისათვის გამოსადეგია (იქვე).

გვინდა ყურადღება მივაქციოთ ბოლო მესამე პუნქტს, საიდანაც ნათლად ჩანს „ძმობის“ შეფარებული სწრაფვა მსოფლიო ბატონობისაკენ, ყოველ შემთხვევაში თეორიულად მაინც.

„ძმობის“ ასოციაცია, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიხალხური საქმიანობისათვის დევნას განიცდიდა უკვე 1941 წლიდან. 1949 წელს მოკლეს მათი იდეური წინამძღოლი — ალ-ბანი, რასაც მოყვა განხეთქილება ასოციაციაში. საბოლოოდ კი, 1954 წელს, ამ ორგანიზაციამ შეწყვიტა არსებობა. მუსლიმანური რელიგიის ტრადიციათა და წეს-ჩვეულებათა არსის გასაგებად აუცილებელია ამ რელიგიის ძირითადი პრინციპების, მისი წარმოშობის, გავრცელებისა და გამოვლინების თავისებურებათა გათვალისწინება.

ისლამური რელიგიის რეაქციული ნაწილი ხანგრძლივ ბრძოლას ეწევა სოციალისტური ორიენტაციის ძალების წინაა-

ღმდეგ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გარდა ამისა, მუსლიმანური რელიგიის რეაქციული ნაწილი ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად თავიანთ ტერიტორიას უთმობს ამერიკელ იმპერიალისტებს, რათა იქ გაწვრთნან ავღანელი ხალხის მტრები და აწარმოონ ომი ავღანელი ხალხის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ააცდინონ ისინი სოციალური პროგრესის გზას და თავიანთ ბნელ ძალებს დაუქვემდებარონ ისინი.

ამგვარად, ისლამური რელიგიის რეაქციული ნაწილი მზად არის ყოველი საშუალება გამოიყენოს ამერიკის იმპერიალიზმთან ერთად ისლამური სამყაროს ქვეყნებში ყოველგვარი პროგრესულის ძირშივე აღსაკვეთად.

ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ქვეყნებთან კავშირს, რომლებიც დაადგნენ განვითარების არაკაპიტალისტურ გზას, როგორც მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვიჩვენებს, რელიგიური ტვირთით გაბრუებული, დაბეჩავებული ისლამის მიმდევრები საზოგადოებრივი პროგრესის გზას რომ ადგებიან, თავიანთი მოქმედების გამართლებას რელიგიაში ეძებენ, ხშირად რელიგიური შეხედულებანი ჩამორჩენილ მუსლიმანურ მოსახლეობაში ადამიანთა მოქმედების ბარიერად იქცევა. სწორედ ამ მომენტს ისლამური რელიგიის რეაქციული ნაწილი მოხერხებულად იყენებს, როგორც იდეოლოგიურ იარაღს, სოციალური პროგრესის წინააღმდეგ საბრძოლველად.

არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ სოციალისტური ორიენტაციის არჩევის შემდეგ მუსლიმანური სამყაროს მშრომელები თავისუფლდებიან რელიგიური ფანატიზმის ტვირთისაგან. ეს ტვირთი ხალხში პოტენციური ძალით სოციალური პროგ-

რესის ძალების შესაძლებლობად იქცევა, რასაც მორწმუნეთა რეალური ნაწილი ყოველგვარი სოციალური პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებს, თუ ეს მომენტი არ იქნება გათვალისწინებული სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნების იდეოლოგიური დარგის მუშაკთა მიერ, განვითარების არაკაპიტალისტური გზა და ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარება შეუძლებელი ხდება, ამიტომაც არის, რომ რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებს დაძაბული ბრძოლა უხდებათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზაზე, რათა არ მისცენ რელიგიურ რეაქციას შესაძლებლობა უკუღმა შემოაბრუნოს ისტორიის ჩარხი.

ასეთ ვითარებაში „კულტურულ საგანმანათლებო მუშაობაში ავანგარდული პარტიის ამოცანას წარმოადგენს მიიზიდოს ხალხის ფართო მასები სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მონაწილეობისათვის.

ისლამური რელიგიის რეაქციულ ნაწილთან ურთიერთობის დროს საჭიროა მოქნილი პოლიტიკური ორიენტაციის გამოყენება. მორწმუნე მუსლიმანთა საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში გადამწყვეტი როლი, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, უნდა შეასრულოს ათეისტურმა პროპაგანდამ.

თანამედროვე პირობებში ათეისტური აღზრდის წარმატებას ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ამ მხრივ დასახული ამოცანების განხორციელება. და ეს მაშინ, თუ დავადგენთ, როგორია ახალგაზრდა თაობაზე რელიგიის ზეგავლენის ხარისხი, როგორ მონაწილეობს საერთოდ ახალგაზრდობა ისეთ საქმიანობაში, რომელიც რელიგიურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ამიტომაც, პირველი რიგის ამოცანაა ახალგაზრდობის შეგნებაში მტკიცე — მეცნიერულ ათეისტური მსოფლმხედველო-

ბის ფორმირება, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ბასრ მახვილს მტრულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში. ახალგაზრდობაზე რელიგიის გავლენის საკითხების შესწავლისას მნიშვნელოვანია ყურადღების გადატანა იმაზე, რომ ჩვენი ეპოქის რელიგიის მსახურები დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობაში რწმენის აღზრდის მეთოდებსა და ფორმებს, რითაც ისინი ზოგჯერ გარკვეულ შედეგსაც აღწევენ. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც რელიგიური რწმენის გავლენის ქვეშ არის მოქცეული, თვითონ წარმოადგენს რელიგიურობის გავრცელების ახალ კერას, ამიტომ სწორედ ახალგაზრდობის ამ ნაწილის ათეისტური აღზრდისას არის საჭირო დიფერენცირებული მუშაობა და არა საერთოდ ყველასთან. ყველა რელიგიის კრიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმის მოთხოვნას. რელიგიურობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარიმართოს კონკრეტული პრაქტიკით — თეორიული ღონისძიების ჩატარების გზით.

ახალგაზრდობის ათეისტური აღზრდის პროცესმა შედეგად უნდა მოგვცეს მასში აზროვნების შემოქმედებითი უნარისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავება. ამასთან გამოუმუშაოს მას პასიურობისა და სამყაროს მოჩვენებითი ილუზიური ახსნისადმი შეურიგებლობის გრძნობა.

ისლამური რელიგიის წინააღმდეგ შეტევითმა ბრძოლამ ჩვენდაუნებლიედ არ უნდა გამოიწვიოს სხვა რელიგიური მიმართულებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება. არა და ამას ჩვენ ფაქტიურად ჩვენს სინამდვილეშიც ვაწყდებით. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ხშირად რელიგიური იხლართება ეროვნულში და ხელი ეშლება მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის მიზანსწრაფულობას. ამიტომაც, როგორც ვ. ი.

ლენინი მიუთითებდა, მორწმუნე ადამიანებთან ურთიერთობის დროს გვჭირდება გონიერება და დიდი სიფხიზლე, რათა ჩვენი მოუფიქრებელი ღონისძიების გატარებით აუტკივარი ადგილი არ ავიტკივოთ.

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი საზოგადოებრივი პროგრესისა და რევოლუციური გარდაქმნის გზაზე ახალ პრობლემებს წყვეტს, რელიგიური იდეოლოგიისგან ადამიანთა განთავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ისლამი — ყველაზე რეაქციული რელიგია

ყველა რელიგიათა შორის ისლამი ყველაზე რეაქციული რელიგიაა. მედინაში თავდაპირველად, მუსლიმანური რელიგიის ჩასახვის პერიოდში პოლიტიკურ გაერთიანებას ისლამი არ ჰქონდა სისტემაში მოყვანილი და დამუშავებული, ისლამის საკულტო წესები და თვით ყურანი დამუშავდა გაცილებით გვიან, სახელდობრ აბასიდების დინასტიის ბატონობისას.

გაბატონებულ ფეოდალთა ინტერესების შესაბამისად დამახინჯებულ იქნა ისლამის ნამდვილი წარმოშობის სურათი, ყველა სოციალური და ეკონომიკური მოვლენა, რითაც გაპირობებული იყო ისლამის წარმოშობა, იგი დაიყვანეს მუჰამედამდე და განმარტეს, როგორც „ალლაჰის მოციქულის ღვთაებრივი“ გამოვლინებანი და მოქმედებანი. ამას მოითხოვდა ხელისუფლების სათავეში მდგომი ფეოდალური კლასი, რათა „ეკურთხებინათ“ თავისი ხელისუფლება, „გაეღრმავებინათ“ ხალიფები, რომლებიც გამოცხადებულნი იქნენ წინასწარმეტყველ მუჰამედის პირდაპირ ჩამომავლებად და მის კანონიერ მოადგილეებად.

ამგვარად, არაბთა პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლამ ბოლო მოუღო შინაურ უკმაყოფილებას, ტომობრივ დაქსაქსულობას და შეიქმნა ფეოდალურ-რელიგიური სახელმწიფო, ხალიფას სახელმწიფოს წამყვან იდეოლოგიად და სახელმძღვანელო პრინციპად იქცა ისლამი, რომელიც „აკურთხებს“ და ადასტურებს უთანასწორობას, ექსპლოატაციას, ჩაგვრას, მონობას.

ჩაგვრისა და მონობის დროშით VII საუკუნის მეორე ნახევრის დასასრულიდან ჩაღდება არაბთა ურდოების დაპყრობითი ომები და მიმდინარეობს დაპყრობილ ხალხებში ცეცხლითა და მახვილით ისლამის დანერგვა. რასაკვირველია, მუსლიმანური რელიგიის ალაჰის ერთპიროვნული გაბატონება ვერ განხორციელდებოდა არაბეთში ხალიფების დესპოტური მეფობის გარეშე, რის შესახებაც ფრ. ენგელსი ამბობდა: ერთიანი ღმერთი, არასდროს არ იქნებოდა განხორციელებული ერთიანი მეფის გარეშე.

ალაჰის შესახებ მისი მიმდევრების წარმოდგენებში შენახული იყო ადამიანის მსგავსი თვისებანი და ნიშნები: ყურანის თქმით, ალაჰს აქვს მხედველობა, სმენა, ხმა, ხელები, რითაც მოქმედებს. ყურანი გულუბრყვილო არგუმენტებით ცდილობს დაასაბუთოს ალაჰის სასწაულმოქმედებანი, როგორიცაა „ცის სივრცეში ფრინველების ფრენა“, „ვის შეუძლია, გარდა ღმერთისა, დაიკავოს ისინი იქ“, ე. ი. ფრინველები ჰაერში და ა. შ.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად ალაჰი თანდათანობით ხდება უხილავი, იგი მალავს თავის ადამიანურ შსგავსებას და ხდება მიუწვდომელი, ყველგანმყოფი, ყოვლისშემძლე უხილავი, რომლის ნებასურვილით მოძრაობს და ვითარდება სამყარო. ეს უხილავი ალაჰის განსახიერება განხორციელდა ექსპლოატატორული ფეოდალური კლასის მმართვე-

ლი სახელმწიფოს ერთპიროვნული მეფე — ხალიფების სახით, ვინაიდან ხალიფები იქცნენ ცოცხალ ღმერთებად.

ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას ისლამის რელიგიის რეაქციულ ანტიხალხურ ხასიათზე, საჭიროა ისლამის ძირითად წერილობით ძეგლს ყურანს გავეცნოთ.

სიტყვა — „ყურანი“ ნიშნავს კითხვას, ალყურან — წაკითხვას, სახელდობრ, წიგნის კითხვას. ყურანს აქვს აგრეთვე სხვა სახელიც: ელი-ქითაბ-წიგნი, ქითაბულლაჰ — წიგნი ღვთისა, ქელიმათულლაჰ — სიტყა ღვთისა, და სხვა მრავალი.

ისმება კითხვა: რას წარმოადგენს ყურანი, რომელსაც კითხულობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მუსლიმანი ხალხი, როგორც ალაჰისაგან მოცემულ წმინდა წიგნს? წიგნს, რომლის შინაარსიც მკითხველთა აბსოლიტური უმრავლესობისათვის გაუგებარია? ყურანი დაწერილია არაბულ ენაზე და მისი შინაარსი მისაწვდომია მხოლოდ არაბული ენის მცოდნეთათვის, არაბული ენა კი არ იცის მუსლიმანთა დიდმა უმრავლესობამ. უფრო მეტიც, მუსლიმანური სარწმუნოების ბნელეთის მათრახების — მოლებისა და ხოჯებისათვისაც გაუგებარი და უცნობია ყურანის შინაარსი, თუმცა მათ ყურანის ზოგიერთი თავიც კი იციან ზეპირად.

ფანატიკოსი მუსლიმანებისათვის ყველაზე საყვარელი ყურანის პირველი თავია. მუსლიმანი დღეში რამდენჯერმე იმეორებს მას და სხვაგვარად სამკურნალო თავსაც უწოდებს — ელ-შეფა-წამალი მოლები და ხოჯები ყველა დაავადებულს მკურნალობენ სწორედ ამ თავით.

ყურანი, როგორც მუსლიმანური სამყაროს წერილობითი ძეგლი, სხვა არაფერია, თუ არა ფეოდალური კლასის პოლიტიკური, რელიგიური და ზნეობრივი წესები, რომლებიც შერწყმულია დარიგებებთან, მუქარასთან, სამომავლო შეპირებებ-

თან. რომლებიც ნასესხები ჩანს ებრაული და ქრისტიანული ზღაპრებისაგან და მისადაგებულია არაბულ ყოფასთან. ყურანში ყველაფერი თავმოყრილია მექანიკურად ისე, რომ არ არსებობს მათ შორის არავითარი სისტემა და წესრიგი.

ყურანის დოგმატებზე არის აგებული მუსლიმანთა სოციალური კანონმდებლობა და სამართალი (შარიათი და ადათი).

მორწმუნეთა შეხედულებით ყურანი არის მუჰამედის ქადაგი და ბრძანებები ნაკარნახევი ღვთისაგან. მაგრამ როგორც ისტორიული წყაროები და ყურანის ზოგიერთი ადგილი ადასტურებს, მუჰამედი იყო პიროვნება, რომელმაც არ იცოდა წერა-კითხვა და რომლის ბრძანებებსა და განკარგულებებსაც წერდნენ პალმის ფოთლებზე, უმეტესად მაინ ინახავდა ხალხური სიტყვიერება. ისინი, ვინც იყვნენ მუჰამედის მომდევრები და ზეპირად იმეორებდნენ „მოციქულის“ ნაქადაგევს, რასაკვირველია, ზეპირსიტყვაობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ არსებობდა არაბეთის სხვადასხვა კუთხეში ყურანის დოგმები რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს.

აბუბექარის ხალიფობის დროს გაჩაღებული სისხლისმღვრელი ომების შედეგად, ყურანის მრავალი ზეპირმატარებელი დაიღუპა, რის შედეგადაც აღარ დარჩნენ ყურანის ნამდვილი მემატიანები. ყურანის საბოლოო ტექსტი, რომელიც დღემდეა შემონახული, შედგენილ იქნა VII საუკუნის ორმოციან წლებში, ხალიფა ოსმანის დროს. ისტორიული წყაროებით ხალიფა ოსმანს შეუქმნია სარედაქციო კომისია, რომელმაც შეადგინა დღეისათვის არსებული ყურანის ტექსტი და შეასწორა იგი მექის გრამატიკის ნორმების შესაბამისად. თუმცა, შესწორდა არა მარტო ტექნიკურ-გრამატიკულად, არამედ,

უმთავრესად, პოლიტიკურად, გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად, რათა ხალიფა ოსმანს უზრუნველეყო გაბატონებული კლასის პოლიტიკური ბატონობა. ყურანის სხვა ტექსტები კი მისი ბრძანებით შეუგროვებიათ და მოუსპიათ. სარედაქციო კომისიის მიერ შედგენილი ყურანი აღიარებული იქნა „წმინდა და უცოდველ“ ღვთის სიტყვად. ყურანის ავტორები და შემდგენელნი ალლაჰის სახელით წინადადებას იძლევდნენ მისდიეთ და მისი გეშინოდეთო. ვინც ეჭვს შეიტანდა ყურანის უცოდველობაში, მის მიმართ იყენებდნენ წამებისა და ფიზიკურად მოსპობის ბარბაროსულ წესებს.

„ჩვენ ვაძლევთ საკვებს ამქვეყნად, ჩვენ აღვამაღლებთ ერთ ადამიანს მეორეზე ისე, რომ ერთმა მეორე მიიღოს როგორც მსახური და მონა. მაგრამ ღვთის მოწყალება უფრო ძვირფასია, ვიდრე სიმდიდრე, რომელსაც ისინი აგროვებენ“ — ქადაგებს ყურანი. (თავი III, გვ. 66, ტაეპ. 151, თავი IV, გვ. 77, ტაეპ. 36).

ყურანის მიხედვით ისლამი, როგორც სარწმუნოება, გაორებულია, ის გაბატონებულიცაა და დამორჩილებულიცაა ექსპლოატირებული კლასისათვის. არამქონეთ მოუწოდებს: „მორწმუნენო! დაემორჩილეთ ღმერთს, დაემორჩილეთ მოციქულს და იმას, ვისაც თქვენ შორის აქვს უფლება, თქვენი ეჭვების გასარკვევად მიმართეთ ღმერთს და მოციქულს თუ თქვენ გწამთ ღმერთი და ქვეყნის აღსასრული, ეს უკეთესია“. (თავი IV, გვ. 80-81, ტაეპ. 62): წინადადებას აძლევს ღარიბებს. მდიდრების მიმართ „ცოდვა“ არ ჩაიდინონ და არ იფიქრონ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება: „ნუ მიაჩერებ შენს მხედველობას სხვათა სიმდიდრეს, რომელთაც ჩვენ ვაძლევთ მათ დამტკიცებას, ნურც ამა ქვეყნის ბრწყინვალებას, რომე-

ლსაც ჩვენ ვაძლევთ მათ, მათ გამოსაცდელად. ხვედრი, რომელსაც დანიშნავს შენთვის უფალი, ღირს უფრო ძვირი და მარადიულიცაა“ (თავი II, გვ. 25, ტაეპ. 150) ღარიბნი, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ცხოვრობდნენ მაინც, იქონიონ „ღვთის იმედი“; „შველად მიმართეთ, მოთმინებასა და ლოცვას, ლოცვა ტვირთია, მაგრამ არა მორჩილთათვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისინი დაინახავენ უფალსა თვისსა და დაუბრუნდებიან მას“ (თავი II, გვ. 10, ტაეპ. 42).

მეორეს მხრივ ყურანი მოლებს, ხოჯებს, ექსპლოატატორული კლასების დამცველებს მოუწოდებს ასწავლონ ხალხს, რომ მჩაგვრელთა მხრიდან მშრომელთა ჩაგვრა წარმოადგენს ალლაჰის მიერ მოწყობილ და დაკანონებულ საზოგადოების ბედნიერ და საუკეთესო არსებობის აუცილებელ პირობას, რომ ბედნიერებაა ამქვეყნად გაჭირვება, სიღარიბე, ადამიანის ტანჯვა და სოციალური უთანასწორობა, რადგან ღარიბ-ღატაკთათვის ბრწყინვალე ცხოვრება და ჯილდოა გამზადებული იმქვეყნად, ადამიანის სიკვდილის შემდეგ, საიქიო ცხოვრებაში. მორწმუნე არ უნდა იყოს უკმაყოფილო და არ უნდა ნანობდეს, რომ ამქვეყნად თავისი ტანჯვის ანაზღაურებას ვერ ღებულობს, „ამ ქვეყნის ცხოვრება მარტო ლხინი და გართობაა. მომავალი ცხოვრება უკეთესია მათთვის, რომელთაც ეშინიათ“ (თავი III, გვ. 60, ტაეპ. III, თავი VI, გვ. 118, ტაეპ. 32).

ყურანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საიქიო ცხოვრების „მშვენიერების“ აღწერას. სააქაო ცხოვრების მთელი შინაარსი დაყვანილია საიქიოს ცხოვრებისათვის მზადებამდე: „ვინც ამა ქვეყნად ტანჯვის ატანით დაიმსახურებენ სამოთხეს, ისინი იცხოვრებენ „ჩრდილში“, მდინარე წყაროების მახლობლად, წალკოტებს შუა. ქალწულნი, შავთვალა ლამაზები და

მზეთუნახავები, „საუკუნოდ სიჭაბუკის შვილები წრედ ეახლონ მათ, რომ ნახო მარგალიტები გეგონება. ასეთი იქნება ჯილდო მათი საქმეებისა“. (თავი IX, გვ. 179, ტაეპ. 73, თავი XI,, გვ. 212, ტაეპ. 110). ყურანი არწმუნებს მუსლიმანებს, რომ იქ ესე იგი სამოთხეში „იცხოვრებთ, ვიდრე იარსებებს ცანი და დედამიწანი, თუ სხვანაირად არ მოინდომა ღმერთმა, უფალი შენი მოქმედებს ისე, როგორც მას სურს“ (თავი IV, გვ. 80, ტაეპ. 60, იქვე, თავი XVII, გვ. 273, ტაეპ. 30, 31, 32).

რელიგიური შხამით გაბრუებული ტვინის ფანტაზია სამოთხის სილამაზისა და მშვენიერების შესახებ ყოველთვის წარმოადგენდა გაბატონებული კლასის ძალმომრეობის იდეურ იარაღს, რათა მშრომელი მასები უსიტყვო და უნებისყოფო მონებად გადაექციათ.

ყურანი ღვთის სახელით აცხადებს: „ჯოჯოხეთი შთანთქავს ურწმუნოებს“. „ვინც უარს ამბობს ერწმუნოს ჩვენს რჯულს, ჩვენ დაუახლოვებთ მცხუნვარე ცეცხლს, როდესაც ცეცხლი შთანთქავს მათ, ვინც ჩვენ შევმოსეთ მეორეთ, რომ ვაიძულოთ იგემონ სასჯელი, ღმერთი შემძლეა და ბრძენი“

არაბმა მჩაგვრელებმა ალლაჰის სიძლიერისა და სიბრძნის აღსანიშნავად უკეთესი რამ ვერ მოიგონეს, ვიდრე ის. რომ მათი ბრძენი ალლაჰი „მისივე გაჩენილ“ ადამიანებს სწვავს ცეცხლში. ალლაჰი უფრო უარესსაც ჰპირდება ურწმუნოებს: „ურწმუნოებისთვის ჩვენ მოვამზადეთ ცეცხლი, რომელიც თავისი ალით მოიცავს მათ, როდესაც ისინი დაიწყებენ ვედრებას დახმარების შესახებ, მათ მიეცემათ მდულარე წყალი, როგორც გადნობილი ლითონი, რომელიც დასწვავს მათ სახეს, როგორი საძაგელი სასჯელია! როგორი საძაგელი ადგილია დასასვენებლად“!. (გვ. 321, თავი XXII, ტაეპ. 22). ასეთია „მო-

წყალე და შეწყნარებელი“ ალლაჰის „სიძლიერე და სიბრძნე“.

არაბების მიერ დაბყრობილ ხალხთა და მათ შორის ქართველთა ისტორია სავსეა ალლაჰისა და მისი მოციქულების ბარბაროსობითა და გაუგონარი კაცთმოძულეობის მაგალითებით.

სამყაროს წარმოშობისა და არსებობა-განვითარების შესახებ ყურანის ანტიმეცნიერულმა შეხედულებებმა მორწმუნე მუსლიმანთა მეცნიერული და კულტურული განვითარება წარმართა რეგრესის გზით და იგი გაყინა პირველყოფილი ადამიანის განვითარების დონეზე, რითაც მასების ჩაგვრის გაძლიერების საქმეში უაღრესად რეაქციული და ანტიმეცნიერული როლი ითამაშა მუსლიმანურმა სარწმუნოებამ. ყურანმა სამყაროს წარმოშობაზე თავისი შეხედულება ისესხა ბიბლიიდან და დააკანონა, როგორც ალაჰის შემოქმედება.

ყურანს თუ დავუჯერებთ, ცანი და ქვეყანა ღმერთმა შექმნა შემოქმედებითად: „იგი წავიდა და დაემყარა ზეცას, რომელიც მაშინ იყო ორთქლად შეგროვილი და შესძახა ცასა და დედამიწას: მოდით ჩემთან კეთილი ნებით ან უნებლიეთ, ჩვენ მოვდივართ შენთან, სრული მორჩილებით, — უპასუხა ცამ და დედამიწამ. მაშინ მან ორი დღის განმავლობაში ზეცა შვიდ ცად გადააკეთა, თითოეულ ცას დაუნიშნა მისი საქმიანობა, მათ შორის უახლოესი ცა დაამშვენა მნათობებით და დააყენა იქ დარაჯები. ასეთი იყო მძლავრისა და ბრძენის გადაწყვეტილება (გვ. 9, თავი II).

არანაკლებ პრიმიტიულია ყურანული ზღაპარი ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს წარმოშობის შესახებ. ის ხან ამბობს, რომ ადამიანი თიხისაგან არის გამოძერწილი, ხან, წებოვანი ნივთიერებისაგან, ხან კი პირველ ადამიანად მიჩნეულია ადამი

და მისი მეუღლე ევა, რომლებიც გახდნენ ადამიანთა წარმოშობის საფუძველი.

ყურანი მტკიცედ იცავს ვაჭრების ინტერესებს: „ღმერთმა ზღვა დაგიმორჩილათ, რათა გემების მიმოსვლით ღმერთის სიმდიდრისაგან ნიჭი მიგეღოთ და მისადმი მადლიერი ყოფილიყავით“ (ყურანი, თავი II, გვ. 26, ტაეპ. 159). ყურანს რომ ვერწმუნოთ, თურმე ვაჭრებისათვის სამსახურის გასაწევად ღმერთმა დააწესა დღე და ღამე, შექმნა მდინარეები, გზები და მთები. „მორწმუნენო! სავაჭრო საქმე დატოვეთ მხოლოდ მაშინ, როცა გიძახდნენ მხოლოდ სალოცავად კრების დღეს (ე. ი. პარასკევს). როდესაც ლოცვას დაამთავრებთ მიდით და ეძიეთ ღვთისაგან მოცემული სიმდიდრე“ (ყურანი, თავი IV, ტაეპ. 38, გვ. 77).

ქალებზე დამამცირებელი წარმოდგენა მუსლიმანურ რელიგიაში ნასესხებია წარმართობის დროინდელ არაბთა ყოფაცხოვრებიდან. მებედუინე არაბს ყოველთვის თავი მოჰქონდა ვაჟიშვილებით, მისთვის ქალიშვილის დაბადება უბედურება იყო. როდესაც არაბეთში იქმნებოდა მრავალღმერთიანობის კულტიდან ერთღმერთიანობის კულტი და გაბატონდა ღმერთი ალაჰი, ალაჰმა დაამცირა და მოიძულა არაბისათვის „არასრულფასოვანი“ ქალის არსება. ფეოდალური საზოგადოების მმართველმა წრეებმა კი ალაჰის სახელით, ყურანით დააკანონეს ქალების უთანასწორობა. საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში მას მიაკუთვნეს არასრულფასოვანი, მორჩილი და დამცირებული ადგილი. ყურანის თანახმად მემკვიდრეობის განაწილებისას „მამაკაცს იმდენი უნდა ერგოს, რამდენიც ორ ქალს, ანდა, თუ მიცვალებულს მემკვიდრედ ვაჟი არა ჰყავს, ქალი მემკვიდრეები მაინც ვერ მიიღებენ მამის ვთლიან ქონებას.

უფალი განმარტავს ამას, რომ თქვენ არ გადაცდეთ. ღმერთმა იცის ყველა საგანი“ (თავი IV, გვ. 73, ტაეპ. 12-14).

აზრი, თითქოს ისლამი, როგორც ერთღმერთიანობის რელიგია, გარდა ალაჰისა სხვა „წმინდანებს“ არ ცნობს, არ უნდა იყოს სწორი, ისლამში, ისე როგორც სხვა მსოფლიო რელიგიებში, ერთღმერთიანობის კულტთან ერთად ცნობილია მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხოვანი ღმერთები, რომლებიც მოციქულებად ითვლებოდნენ და ქმნიდნენ „წმინდანების“ იერარქიას. როგორც ვიცით, მუჰამედი ერთ-ერთი მთავარი წმინდანია ისლამის „წმინდანთა“ კულტში. ამ მხრივ მუსლიმანური რელიგიის მონოთეიზმის განვითარება არ წარმოადგენს გამონაკლისს რელიგიის ისტორიაში. ყურანი კი არ უარყოფს. ღმერთის მეგობრების, ე. ი. „წმინდანების“ არსებობას, არამედ ამტკიცებს.

ომარი, ოსმანი, ალი და მთელი რიგი სხვა ხალიფები ისლამის საერთო წმინდანებად იყვნენ აღიარებულნი. შიიტის მუსლიმანები ალაჰთან ერთად ალის თვლიდნენ ღმერთად. ყურანის რელიგიური ზღაპრის მიხედვით ალაჰმა მუჰამედს უთხრა: „თუ არა შენ, თუ არა შენ, მე არ გავაჩენდი სამყაროს, მაგრამ თუ არა ალი, მე არ გაგაჩენდი შენ“. ალის შვილები ჰასანი და ჰუსეინი აგრეთვე გამოცხადებული იყვნენ ალაჰის შვილებად, ე. ი. „წმინდანებად“. მათი ტანჯული სიკვდილის აღსანიშნავად მუსლიმანები ასრულებენ სამგლოვიარო რიტუალებს. შიიტ-მუსლიმანებს წმინდა „ჰასანისა და ჰუსეინის“ „წმინდა სისხლის მწამებლური დაღვრის“ გამო ყოველწლიურად საკუთარი სისხლის დაღვრით მიაქვთ მსხვერპლი. ფანატიკოს—შიიტების ამ საშინელ თვითწამებას „შახსეი-ვახსეის“ უწოდებენ. ისლამის გაბატონებული კლასი და სასულიერო

წოდებანი საკუთარი ინტერესებიდან გამოდიოდნენ, როდესაც აწესებდნენ ჰუსეინის „წამებლური“ სიკვდილის შესახებ ამ სამგლოვიარო დღესასწაულს.

გაბატონებული კლასები ფართოდ სარგებლობდნენ არა მარტო მიცვალებულ „წმინდანთა“ კულტით, არამედ თაყვანს სცემდნენ მუსლიმანური სარწმუნოების ცოცხალ წარმომადგენლებსაც, როგორც „წმინდანებს“. ისლამში არსებობს ე. წ. „შეიდებისადმი“ თაყვანისცემა. მათ თვლიან „ალაჰის“ მოციქულის — მუჰამედის ჩამომავლად“. ისლამის სასულიერო კულტის მსახურნი კი მრავალი საქმეებით იყვნენ დაკავებულნი, ისინი ზრუნავდნენ არამარტო საიქიო, არამედ სააქაოს საქმეებზეც, ეწეოდნენ სულიერად დაავადებული მუსლიმანების მკურნალობას, ჰქონდათ მრავალი სპეციალობა, „არჩენდნენ“ უშვილო ქალებს და სძენდნენ მათ შვილებს, „უადვილებდნენ“ ქალებს მშობიარობას, „კურნავდნენ“ ათამდე სხვადასხვა დაავადებას, „მოჰყავდათ“ წვიმა და მზე, როცა ეს იყო საჭირო და მრავალი სხვა.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისა და მეცნიერული პროგრესის კვალდაკვალ მოკვდება და ამოიძირკვება რელიგიური შეხედულებები, მაგრამ არ შეიძლება ეს პროცესი თავისთავად და უმტკივნეულოდ მოხდეს. ამიტომაც რელიგიური ცრუ რწმენების აღმოფხვრისათვის ზრუნვა არის სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის განუყოფელი ნაწილი.

მარქსიზმის კლასიკოსები და გამოჩენილი ადამიანები რელიგიის შესახებ

მორწმუნეებთან ათეისტური მუშაობა მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, ადამიანთა რწმენისა და გრძნობების პატივისცემით მოპყრობას. ამ საქმეში დაუშვებელია აჩქარება, ხელოვნურობა, ფორმალიზმი, უხეშობა. „განზრახ უხეში ხერხები, რასაც ხშირად მიმართავენ ცენტრსა და ადგილებზე, რწმენისა და კულტის საგანთა აბუჩად აგდება, სერიოზული ანალიზის და განმარტების მაგივრად, არამც თუ არ აჩქარებს, არამედ აძნელებს მშრომელთა მასების განთავისუფლებას რელიგიურ ცრურწმენათაგან“ — მიუთითებდა რკპ (ბ) პარტია ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის რევოლუციურად გარდაქმნის ადრეულ პერიოდში.

გონიერი, კარგად მოფიქრებული მიზანსწრაფული პროპაგანდა უპირველესად უნდა ემყარებოდეს თვითონ რელიგიის და მასთან დასაპირისპირებლად საჭირო მეცნიერულ ცოდნას.

ათეისტური მუშაობის დროს მარჯვედ უნდა გამოიყენებოდეს გამოჩენილ მეცნიერთა, მოღვაწეთა, კლასიკოსთა აზრები რელიგიის შესახებ. აქიტომ, წიგნის ამ ნაწილში მოგვაქვს მეცხიერთა, თეორეტიკოსთა და მარქსიზმის კლასიკოსთა გამონათქვამები, რომლებიც ათეისტს სალექციო თუ პრაპაგანდისტულ მუშაობაში გამოადგება.

* * *

ცოდნა, მეცნიერება ეხმარება კაცობრიობას სულ უფრო ღრმად შეიცნოს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, მეცნიერება ხელს უწყობს ბუნების ძა-

ლების ჩაყენებას ადამიანის სამსახურში. ადამიანის შეგნების ამაღლებასა და კულტურის ზრდას, რელიგია კი აბნელებს ადამიანთა შეგნებას, განუმზადებს მას პასიურობას ბუნების ძალების წინაშე, ბოჭავს მის შემოქმედებით აქტივობასა და ინიციატივას.

მეცნიერება ადამიანთა გამოცდილების თეორიული განზოგადოებაა, მას ჭეშმარიტებად მიაჩნია მხოლოდ ის, რისი დამტკიცება ფაქტებითა და ცდებით შეიძლება. რელიგია კი არის ფანტასტიკური წარმოდგენა სამყაროზე, რომელიც ღვთიური გამოცხადების სახით გვევლინება. რელიგია უარყოფს ცდასა და ფაქტებს და მხოლოდ ბრმა რწმენას ემყარება.

მეცნიერება ამბობს: გწამდეს მხოლოდ ის, რისი დამტკიცებაა შეიძლება; რელიგია კი ამბობს: გწამდეს ის, რაც არ დამტკიცდება.

მეცნიერება ამბობს, რომ მხოლოდ ის არსებობს, რაც მატერიალურია და მატერიალური სამყაროს კანონებს ემორჩილება. რელიგია კი ამბობს, რომ მატერიალური სამყარო მხოლოდ სულიერი სამყაროს ანარეკლია, სამყაროსი, რომელიც არც ფაქტებს, არც ცდას და საერთოდ მატერიალური სამყაროს კანონებს არ ემორჩილება.

მეცნიერებას გარდაუვალ კანონად მიაჩნია, რომ სამყაროში არაფერისაგან არაფერი არ იქმნება; რელიგია კი არ იზიარებს ამ შეხედულებას და სწამს, რომ ღმერთმა არაფრისაგან შეჰქმნა სამყარო.

მეცნიერება ამბობს, რომ ბუნების კანონები უცვლელი და გარდაუვალია, ხოლო რელიგია ირწმუნება, რომ არსებობს სასწაულები, რომ ლოცვით შეიძლება ბუნების კანონების გაუქმება.

ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ ყოველდღე „ამოდის“ მზე

და საღამოს „ჩადის“, ეს ხომ ბუნების ურყევი კანონია, ბიბ-ლია კი ირწმუნება, რომ ერთხელ იესოს ნავინმა უბრძანა მზეს· გაჩერებულიყო და ისიც გაჩერდა. მორწმუნესაც სჯერა, რომ ეს· ასე მოხდა.

მეცნიერება, ცხოვრება, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილე-ბა გვიმტკიცებს, რომ ქალი, რომელიც დედა გახდა, დაბადა· ბავშვი, არ შეიძლება იყოს ქალწული, მორწმუნე კი გაიძახის: ღვთისათვის შეუძლებელი არაფერია, რომ ღვთისმშობელი მარიამი, რომელმაც შვა მაცხოვარი, ქალწული იყო და დარჩა· ქალწულადო.

მათემატიკური მეცნიერება, პრაქტიკა, ცხოვრების ნათე-ლი გამოცდილება გვეუბნება, რომ ერთი Არასოდეს არ უდრის სამს, მორწმუნე ქრისტიანი კი გაიძახის: „ღმერთი ერთია და· ამავე დროს სამპიროვანიო“.

ამრიგად, რელიგია და მეცნიერება ერთი-მეორისგან შე-უთავსებელი ცნებებია, ისინი ერთი-მეორეს უარყოფენ და· არაფერი აქვთ საერთო.

მორწმუნეობა და ცოდნა, ეს ორი ერთიმეორის საწინააღ-მდეგო ცნებებია.

ცოდნა შეიძლება ყოველთვის შეამოწმო, კონტროლი გა-უწიო, იგი დაფუძნებულია ფაქტებზე და დამტკიცებულია ადა-მიანთა პრაქტიკული საქმიანობით, ხოლო რწმენა დაფუძნებუ-ლია ადამიანის განცდაზე, მის რელიგიურ ემოციებსა და უნია-დაგო რწმენაზე. მას წამს ზებუნებრივი ძალები, რომლებიც სი-ნამდვილეში არ არსებობენ. ყოველი რელიგია მეცნიერული ცოდნის მტერია. ადამიანის გონება,—ამბობენ რელიგიის მსახუ-რნი,—სუსტი და უძლურია. ყველაფერი, რაც შეიძლება ადამი-ანმა იცოდეს, უკვე გაგებული და ჩაწერილია ე. წ. „საღვთო·

წერილებში“. გწამდეს მხოლოდ რელიგიის დოგმები და არასოდეს არ ინდომო შეიძინო სხვა ცოდნა გარეშე ეკლესიის ცოდნისა. მეცნიერება, — აცხადებს ეკლესია, — ბოროტებაა, ხოლო მეცნიერი — ჯამბაზი, კუდიანი, საზოგადოებისათვის საშიში და მავნე პირი. მორწმუნე ადამიანი ყველაფერს, ყოველგვარ მოვლენას ღვთის შემწეობით ხსნის.

ფრიდრიხ ენგელსი წერდა „თანამედროვე ბუნების მეცნიერებაში ღმერთს ისევე ეპყრობიან მისი დამცველები, როგორც ფრიდრიხ ვილჰელმ III-ს მოექცნენ იენას კამპანიაში მისი გენერლები და მოხელეები. არმიის ნაწილები ერთიმეორეზე ჰყრიან იარაღს, სიმაგრეები ერთიმეორის მიყოლებით ნებდებიან მეცნიერების იერიშს, სანამ საბოლოოდ ბუნების მთელ დაუსრულებელ სფეროს დაიპყრობდეს იგი და მასში აღარავითარ ადგილს არ დაუტოვებს შემოქმედს“.

„რელიგიის, როგორც ხალხის მოჩვენებითი ბედნიერების გაუქმება არის მისი ნამდვილი ბედნიერების მოთხოვნა. თავისი მდგომარეობის ილუზიებზე უარის თქმით მოთხოვნა, არის იმ მდგომარეობაზე უარის თქმის მოთხოვნა, რომელსაც ილუზიები ესაჭიროება. რელიგიის კრიტიკა, მაშასადამე, ჩანასახში არის იმ ცრემლთა სავანის კრიტიკა, რომლის წმინდა შარავანდედს რელიგია წარმოადგენს“.

კ. მარქსი.

„რეალური სამყაროს რელიგიური ასახულობა შეიძლება საერთოდ მაშინ გაქრეს, როცა ადამიანთა პრაქტიკული საყოველთაო ცხოვრების ურთიერთობა გამოხატული იქნება განუწყვეტლივ როგორც გამჭვირვალე და გონივრული დამოკიდებულება ადამიანებისა ერთიმეორესთან და ბუნებასთან. საზოგა-

დოებრივი ცხოვრების პროცესის. ე. ი. მატერიალური წარმოებითი ურთიერთობის (პროცესის), სახე მხოლოდ მაშინ მოიხსნის თავის მისტიკურ ბურუსიან საბურველს, როცა იგი საზოგადოებრივ კავშირში თავისუფლად გაერთიანებულ ადამიანთა პროდუქტი გახდება და მის შეგნებულ გეგმაზომიერ კონტროლს დაექვემდებარება".

კ. მარქსი.

„რელიგია სამყაროს რელიგიური ასახულობა შეიძლება საერთოდ მხოლოდ მაშინ გაქრეს, როცა ადამიანთა პრაქტიკული საყოველდღეო ცხოვრების ურთიერთობა გამოხატული იქნება ადამიანებისა ერთიმეორესთან და ბუნებასთან".

კ. მარქსი.

„რელიგია ხალხის ჩაგრულ ქმნილებათა ამოოხვრა, უგულო ქვეყნის სული და გულია, ისე როგორც იგი არის სული უსულო მდგომარეობათა. ის ოპიუმია ხალხისა".

კ. მარქსი.

„ტოლერანტობა. — ეს ულიდესი მუხრუჭია, ეს ისტორიის ინერციის ძალაა. აგრეთვე, ვერც რელიგია გასწევს დიდხანს კაპიტალისტური საზოგადოების ჯებირობას. თუ ჩვენი იურიდიული, ფილოსოფიური და სარწმუნოებრივი წარმოდგენები მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული ეკონომიური ურთიერთობის ახლობელ თუ შორეულ განშტოებებს შეადგენენ, ეს წარმოდგენები დიდხანს ვერ გასძლებენ მას შემდეგ, რაც ეკონომიური ურთიერთობა ძირფესვიანად შეიცვლება. ან უნდა

ვირწმუნოთ ზებუნებრივი გამოცხადება, ან უნდა ვაღიაროთ, რომ არავითარ სარწმუნოებრივ ქადაგებას არ შეუძლია უშველოს დაღუპვის გზაზე დამდგარ საზოგადოებას“.

კ. მარქსი

„როგორც ქრისტიანობა, ისე მუშათა სოციალიზმი ქადაგებენ მომავალ ხანას მონობისა და სიღატაკისაგან; ქრისტიანობა ამ ხსნას ეძებს იმქვეყნიურ ცხოვრებაში, სიკვდილის შემდეგ ზეცაში, სოციალიზმი კი ამქვეყნად, საზოგადოების გარდაქმნაში“.

ფრ. ენგელსი.

„ყოველი რელიგია ხომ სხვა არა არის რა, თუ არა მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ“.

ფრ. ენგელსი.

„შეუძლებელია ერთბაშად უკუაგდო და მატყუარათა მიერ შეთითხნილ აბდაუბდად გამოაცხადო რელიგია, რომელმაც რომის მსოფლიო იმპერია დაიპყრო და რომელიც 1800 წლის განმავლობაში გაბატონებული იყო ცივილიზებული კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს ნაწილზე. რელიგია რომ გაიგოთ, საჭიროა შეძლოთ მისი წარმოშობის და მისი განვითარების ახსნა იმ ისტორიული პირობებით, რომლებშიც იგი აღმოცენდა და ბატონობას მიაღწია. განსაკუთრებით ეს ეხება ქრისტიანობას“.

ფრ. ენგელსი

„რელიგია ხალხის ბანგია, — მარქსის ეს თქმა ქვაკუთხედია მარქსიზმის მთელი მსოფლმხედველობისა რელიგიის საკითხში. ყველა თანამედროვე რელიგიასა და ეკლესიას, ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას მარქსიზმი ყოველთვის განიხილავს, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს, რომლებიც ექსპლოატაციის დაცვასა და მუშათა კლასის გაბრუებას ემსახურებიან“.

ვ. ი. ლენინი.

„იმას, ვინც მთელ სიცოცხლეში მუშაობს და გაჭირვებულია, რელიგია ასწავლის მორჩილებას და მოთმინებას სააქაო ცხოვრებაში და ანუგეშებს ზეციური ჯილდოს იმედით, ხოლო იმათ, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს, რელიგია სააქაო ცხოვრებაში ქველმოქმედებას ასწავლის, მთელი მათი ექსპლოატატორული არსებობის გასამართლებლად ძალიან იაფ საშუალებას აწვდის და ხელსაყრელ ფასად აძლევს ზეციური კეთილდღეობის ბილეთებს“.

ვ. ი. ლენინი.

„რელიგია ხალხის ბანგია. რელიგია სულიერი მათრობელასმაგვარი რამაა, რომელშიც ახრჩობენ კაპიტალის მონები თავიანთ ადამიანურ სახეს, ადამიანის რამდენადმე ღირსი ცხოვრების მოთხოვნებს“.

ვ. ი. ლენინი.

„ყოველი რელიგიური იდეა, ყოველი იდეა ყოველგვარ ფუფალას შესახებ, ყოველი თუნდაც ლაქუცობა ფუფალასთან... ყველაზე საშიში სიბილწეა, ყველაზე საზიზღარი სნეულება. მილიონობით ცოდვა, სისაძაგლე, ძალადობა და ფიზიკური

სნება ვაცილებით უფრო ადვილად გამოსაცნობია ბრბოს მიერ და ამიტომ გაცილებით ნაკლებად საშიშია, ვიდრე ფუფალას დახვეწილი, სულიერი, ნაირნაირ „იდეურ“ სამოსელში გახვეული იდეა“.

ვ. ი. ლენინი.

„...როდესაც საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ უმნიშვნელო უმცირესობა სარგებლობს სიმდიდრით და ძალაუფლებით, ხოლო მასა მუდამ „გაჭირვებას“ განიცდის და „მძიმე მოვალეობას“ ასრულებს, მაშინ სავსებით ბუნებრივია ექსპლოატატორების თანაგრძნობა რელიგიისადმი, რომელიც გვასწავლის „უდრტვინველად“ გადავიტანოთ მიწიერი ჯოჯოხეთი ვითომდა ზეციური სამოთხის გულისათვის“.

ვ. ი. ლენინი.

„ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმოშობს უკეთესი საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას“.

ვ. ი. ლენინი.

„რელიგიურ ცრურწმენათა ყველაზე ღრმა წყარო არის სიღატაკე და სიბნელე; სწორედ ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ“.

ვ. ი. ლენინი.

„მთელი ჩვენი პროგრამა აგებულია მეცნიერულ და, ამასთანავე, სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ამი-

ტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურუსის ჭეშმარიტი ისტორიული და ეკონომიური ფესვების განმარტებასაც შეიცავს. ჩვენი პროპაგანდა აუცილებლად ათეიზმის პროპაგანდასაც შეიცავს“...

ვ. ი. ლენინი.

„შიშმა შექმნა ღმერთები“. შიში კაპიტალის ბრმა ძალის წინაშე, რომელიც ბრმაა იმიტომ, რომ არ შეიძლება ხალხის მასების მიერ გათვალისწინებულ იქნას, და რომელიც პროლეტარსა და წვრილ მეპატრონეს ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე ემუქრება და კიდეც არგუნებს „უეცარ“, „მოულოდნელ“, „შემთხვევითს“ გაჩანაგებას, დაღუპვას, მათხოვრად, პაუპერად, პროსტიტუტად გადაქცევას, შიმშილით სიკვდილს, აი, თანამედროვე რელიგიის ის ფესვი, რომელიც უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უნდა ჰქონდეს მხედველობაში მატერიალისტს, თუკი მას არ სურს მოსამზადებელი კლასის მატერიალისტად დარჩეს“.

ვ. ი. ლენინი.

„ყველა და ყოველ მჩაგვრელ კლასს თავისი ბატონობის დასაცავად სჭირდება ორი სოციალური ფუნქცია: ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია. ჯალათმა უნდა ჩაახშოს ჩაგრულთა პროტესტი და აღშფოთება, ხუცესმა უნდა ანუგეშოს ჩაგრულნი, დაუხატოს მათ კლასობრივი ბატონობის შენარჩუნების

დროს გაჭირვებისა და მსხვერპლის შემსუბუქების პერსპექტივები (ამის გაკეთება მეტადრე მოსახერხებელია, თუ არ კისრულობ ასეთი პერსპექტივების „განხორციელების შესაძლებლობას“) და ამით შეარიგოს ისინი ბატონობასთან. მოახდევინოს მათ რევოლუციური მოქმედება, შეარყიოს მათი რევოლუციური განწყობილება, გატეხოს მათი რევოლუციური „ამბედაობა“.

ვ. ი. ლენინი

„...მატერიალიზმი აღმოჩნდა ერთადერთი თანამიმდევარი ფილოსოფია, ერთგული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა მოძღვრებისა, მტრულად განწყობილი ცრუმორწმუნეთა მიმართ, ფარისევლობის მიმართ და ა. შ. ამიტომ დემოკრატიის მტრები მთელი ძალღონით ცდილობდნენ მატერიალიზმის „გაბათილებას“, მის გაქარწყლებას, ცილის დაწამებას და იცავდნენ სხვადასხვა ფორმის ფილოსოფიურ იდეალიზმს, რომელიც მუდამ, ასე თუ ისე, რელიგიის დაცვას და მხარის დაჭერას გამოხატავს“.

ვ. ი. ლენინი.

„ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიას. ეს მთელი მატერიალიზმისა და, მაშასადამე, მარქსიზმის ანბანია, მაგრამ მარქსიზმი ანბანზე გაჩერებული მატერიალიზმი არ არის. მარქსიზმი უფრო შორს მიდის. იგი ამბობს: უნდა ვიცოდეთ ბრძოლა რელიგიასთან, ხოლო ამისათვის საჭიროა მატერიალისტურად ავხსნათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო. რელიგიასთან ბრძოლა არ შეიძლება შევზღუდოთ აბსტრაქტულ-იდეოლოგიური ქადაგებით. არ შეიძლება ასეთი ქადაგებით განვსაზღ-

ვროთ. ეს ბრძოლა უნდა დავუკავშიროთ რელიგიის სოციალური ფესვების აღმოფხვრისაკენ მიმართული კლასობრივი მოძრაობის კონკრეტულ პრაქტიკას".

ვ. ი. ლენინი.

„...მარქსისტი უნდა იყოს მატერიალისტი, ე. ი. რელიგიის მტერი, მაგრამ მატერიალისტი დიალექტიკური, ე. ი. იგი რელიგიასთან ბრძოლის საქმეს უნდა აყენებდეს არა აბსტრაქტულად, არა განყენებული, წმინდა თეორიული, ყოველთვის ერთფეროვანი ქადაგების ნიადაგზე, არამედ კონკრეტულად, კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც ნამდვილად წარმოებს და ყველაზე მეტად და ყველაზე უკეთ ზრდის მასებს".

ვ. ი. ლენინი

„ჩვენ მოვითხოვთ რელიგია კერძო საქმედ იყოს მიჩნეული სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია რელიგია კერძო საქმედ მივიჩნიოთ ჩვენი საკუთარი პარტიის მიმართ".

ვ. ი. ლენინი

„სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს მუშათა მასების უსაზღვრო ჩაგვრასა და გაუხეშებაზე დამყარებულ საზოგადოებაში შეიძლებოდეს რელიგიურ ცრურწმენათა გაფანტვა ცარიელი ქადაგებით. ბურჟუაზიული შეზღუდულობა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ რელიგიის მიერ კაცობრიობის ჩაგვრა მხოლოდ პროდუქტი და ანარეკლია საზოგადოების შიგნით არსებული ეკონომიური ჩაგვრისა. ვერავითარი წიგნებით და ვერავითარი ქადაგებით ვერ გაანათლებთ პროლეტარიატს,

თუ იგი კაპიტალიზმის ბნელი ძალების წინააღმდეგ მისსავე საკუთარმა ბრძოლამ არ გაანათლა“.

ვ. ი. ლენინი

„სოციალისტური პროლეტარიატის პარტიის მიმართ რელიგია კერძო საქმე არ არის. ჩვენი პარტია მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის შეგნებულ, მოწინავე მებრძოლთა კავშირია. ასეთი კავშირი არ შეიძლება გულგრილად უყურებდეს და არც უნდა უყურებდეს გულგრილად შეუგნებლობას, უმეცრებას ან ბნელეთის მოციქულობას რელიგიურ რწმენათა სახით“.

ვ. ი. ლენინი

„...მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად მრავალფეროვანი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუღგეთ მათ ისევ და ისევ, რათა დავაინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვაგვარი საშუალებებით“.

ვ. ი. ლენინი

„რელიგიურ ცრურწმენებს უაღრესად ფრთხილად უნდა ვებრძოლოთ; ბევრი ვნება მოაქვთ იმათ, ვისაც ამ ბრძოლაში რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა შეაქვს. საჭიროა ვებრძოლოთ პროპაგანდის გზით, განათლების გზით. ბრძოლაში სიმწვავის შეტანით ჩვენ შეგვიძლია გავაბოროტოთ მასა; ასეთი ბრძოლა განამტკიცებს მასების დაყოფას რელიგიის პრინციპის მიხედვით, ჩვენი ძალა კი ერთიანობაა“.

ვ. ი. ლენინი

„მშრომელთა მასების სოციალური დაბეჩავება, მათი მოჩვენებითი სრული უმწეობა კაპიტალიზმის ბრმა ძალების წინაშე, კაპიტალიზმისა, რომელიც ყოველდღე და ყოველ საათს ათასჯერ უფრო მეტ საზარელ ტანჯვას, აუწერელ მხეცურ წამებას აყენებს უბრალო მუშა-ხალხს, ვიდრე ყოველგვარი არაჩვეულებრივი მოვლენები, როგორიცაა ომი, მიწისძვრა და ა. შ. — აი სად არის რელიგიის ყველაზე ღრმა თანამედროვე ფესვი“.

ვ. ი. ლენინი

„ღმერთი (ისტორიულად და ცხოვრებაში) უწინარეს ყოვლისა იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც წარმოშვა ადამიანის ჩლუნგმა დაბეჩავებამ გარეშე ბუნების მხრივაც და კლასობრივი ჩაგვრის მხრივაც, — იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც განამტკიცებენ ამ დაბეჩავებას, აძინებენ კლასობრივ ბრძოლას“.

ვ. ი. ლენინი

„ყველა თანამედროვე რელიგიასა და ეკლესიას, ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას მარქსიზმი ყოველთვის განიხილავს, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს, რომლებიც ექსპლოატაციის დაცვასა და მუშათა კლასის გაბრუებას ემსახურება“.

ვ. ი. ლენინი

„ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმოშობს უკეთესი საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას“.

ვ. ი. ლენინი

„რელიგიურ ცრურწმენებს უაღრესად ფრთხილად უნდა ვებრძოლოთ, ბევრი ვნება მოაქვთ იმათ, ვისაც ამ ბრძოლაში რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა შეაქვს“.

ვ. ი. ლენინი

„ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრულ გამოყოფას, რათა რელიგიურ ბურუსს წმინდა იდეური და მხოლოდ იდეური იარაღით, ჩვენი პრესით, ჩვენი სიტყვით ვებრძოლოთ.“

ვ. ი. ლენინი

„ყველაზე მნიშვნელოვანი — ...ეს არის შევძლოთ, დავინტერესოთ ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელი მასები შეგნებულად მიუდგნენ რელიგიის საკითხებს და შეგნებულად გააკრიტიკონ რელიგიები“.

ვ. ი. ლენინი

„ღმერთებიც იხოცებიან და სარწმუნოებაც წარმავალია: ზევსის, მუჰამედისა და ქრისტეს ნაცვლად მოვლენ სხვა ღმერთები, ვიდრე ადამიანთა მთელი მოდგმა არ გამოერკვევა, ღმერთის რწმენა არ დაიკარგება და არ დარწმუნდება, რომ სურ-

ნელთა კმევა და მსხვერპლი საჭირო არ არის“.

ჯ. ბაირონი (1788-1824).

„საღვთო წერილის არც ერთ დებულებას არა აქვს ისეთი ძალა, როგორიც აქვს ბუნების ყოველ მოვლენას“.

გ. გალილეი (1564-1642).

„...ნუ გამოვიგონებთ ღმერთს, თუ ის არ არსებობს, — სულ ერთია, ამით ის არ შეიქმნება“.

ა. გერცენი (1812-1870).

„ყველა რელიგია ზნეობას საფუძვლად უდებდა მორჩილებას, ე. ი. ნებაყოფლობით მონობას...“

ა. გერცენი.

„ეკლესიის მთელი ისტორია ცთომილებისა და ძალადობის ნარევია“.

ი. გოეთე (1749-1832).

„ვისაც ცოდნა აქვს... ის არ საჭიროებს რელიგიას“.

ი. გოეთე

„მე რომ ზეციდან ცხადლივ გამეგონა ხმა, ისიც კი ვერ დამარწმუნებდა, რომ ქალი შობს უმამაკაცოდ. რომ მიცვალებულნი მკვდრეთით აღსდგებიან“.

ი. გოეთე

„...ყოველგვარი ეკლესიის ძირითადი ამოცანა ერთი და

იგივე იყო: ჩაეგონებინათ საცოდავი ყმებისათვის, რომ მათთვის დედამიწაზე ბედნიერება არ არსებობს. რომ იგი მათთვის გამზადებულია ზეცაში, და რომ უცხო ძიასთვის კატორღული შრომა ღვთის სათნო საქმეა“.

მ. გორკი (1868-1936).

„ქრისტიანული ეკლესია ორი ათასი წლის მანძილზე იყო ის წყარო, რომელიც ამართლებდა ქალის უფლებრივ და ეკონომიურ დაბეჩავებას“.

მ. გორკი.

„მონარქია... ეყრდნობოდა საღვთო სამართალს, ის ყოველთვის მხარს უჭერდა რელიგიას, და რელიგიაც მუდამ იცავდა მონარქიას... ამქვეყნიური მეუფე გულისხმობს ზეციურს“.

ჩ. დარვინი (1809-1882).

„რელიგია... ეს ხომ მხოლოდ მთავარი ლაგამია მასებისათვის. უდიდესი საფრთხობელა გულუბრყვილოთათვის, ეს რაღაც კოლოსალური ზომის შირმებია, რომლებიც ხელს უშლიან ხალხს ნათლად ხედავდნენ, რა ხდება მიწაზე და აიძულებენ მას თვალი ზეცას მიაპყროს“.

ჩ. დარვინი.

„ყველა რელიგია მონურია, მაგრამ ქრისტიანობა ყველაზე მონურია მონურთა შორის“.

ი. დიცგენი (1828-1888).

„რელიგია გვიქადაგებს მტრის პატიებას, გვასწავლის ვდუმდეთ, როცა მეფე გვჩაგრავს, გვაწვალებს“.

ნ. დობროლიუბოვი (1836-1861).

„სიბრიყვეა ადამიანი ღმერთებს თხოვდეს იმას, რაც თვითონ შეუძლია მოიპოვოს“.

ეპიკურე (341-270 ჩვ. წელთაღრიცხვამდე)

„სოციალიზმის შემდგომი გამარჯვებისათვის ბრძოლაში დიდი ადგილი უნდა ეჭიროს ინტირელიგიურ მუშაობას. მილიონობით მშრომელის მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამოჭედვას, მსოფლმხედველობისა, რომელიც არ ურიგდება არავითარ ზებუნებრივ რწმენას, არავითარ რელიგიას“.

ე. იაროსლავსკი (1878-1943).

„რელიგია არის ობობას ქსელი, რომელიც მილიონობით მშრომელებს იხვევს, აბრუებს მათ შეგნებას, რათა იხსნას კაპიტალისტური საზოგადოება“.

ე. იაროსლავსკი.

„ტყუილად ჰგონია ბევრს, რომ ყოველივე, რასაც ვხედავთ, დასაბამიდან შექმნილია ღვთის მიერ... ასეთი მსჯელობა მეტად მავნეა მეცნიერებათა ზრდასა და მაშასადამე. დედამიწის ნატურალური ცოდნისათვის. ამ ჭკუის კოლოფებისათვის ადვილია ფილოსოფოსობა; დაიზუთხავენ სამ სიტყვას: ღმერ-

თმა ასე შექმნა და ამას აძლევენ პასუხად ყველა მიზეზის ნაცვლად“.

მ. ლომონოსოვი (1711-1765).

„ცრუმორწმუნეობა არის რწმენა, რომელიც ცოდნას არ ემყარება. მეცნიერება ებრძვის ცრუმორწმუნეობას, როგორც სინათლე წყვდიადს“.

დ. მენდელეევი (1834-1907).

„რელიგია სუსტებს სჭირდება, ძლიერებისათვის იგი სრულიად უმაქნისია.

ი. პავლოვი (1849-1936).

„მღვდელმსახურები მუდამ იყვნენ გამომგონებელნი ბორკილებისა, ხუნდებისა, რომლითაც სხვადასხვა დროს ადამიანის გონება იყო დამძიმებული... ისინი ფრთებს აკვეცდნენ მას, რათა დიდებისა და თავისუფლებისაკენ არ ეცადა გაფრენა“.

ა. რადიშჩევი (1749-1802).

„მთელი ქრისტიანობა მონობაა საერთოდ, მორჩილება თვითმკვლელობაა იმისა, რაც საუკეთესო, ყველაზე უფრო ძვირფასი და ყველაზე უფრო მაღალია ადამიანში, — ეს კასტრაციაა“.

ი. რეპინი (1844-1930).

„რელიგიური რწმენა აჩერებს ადამიანის სულის აღმაფრენას, ზღუდავს აზრის სფეროს“.

სკვორცოვ-სტეპანოვი (1870-1928).

„ფილოსოფიის მიზანია მხოლოდ ჭეშმარიტება, სარწმუნოება კი... მხოლოდ მორჩილება და ღვთისმოსაობაა“.

ბ. სპინოზა (1632-1677).

„ღვთისმოსაობისა და რელიგიის არსი უაზრო საიდუმლოებებში მდგომარეობს!“

ბ. სპინოზა.

„ღმერთს მხოლოდ ის ამართლებს, რომ იგი არ არსებობს“.

სტენდალი (1783-1842).

„სამღვდელოება შეგნებულადაც და უმთავრესად შეუგნებლადაც ცდილობს თავისი სარგებლობისათვის ხალხი ველურ ცრუმორწმუნეობაში იყოლიოს“.

ლ. ტოლსტოი (1828-1910).

„ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი ხატად და მსგავსად თვისისა“.

ლ. ფოიერბახი (1804-1872).

„რელიგია უმეცრების ქალიშვილია“.

ლ. ფოიერბახი

„რელიგია იბადება უმეცრების, გაჭირვების, ტექნიკური უმწეობის, უკულტურობის მარადიულ წყვდიადში“.

ლ. ფოიერბახი.

„რელიგიები, ქამელეონების მსგავსად, იმ ნიადაგის ფერს ღებენ, რომელზეც ცხოვრობენ“.

ა. ფრანსი (1844-1924).

„არც სინაგოგა, არც მეჩეთი, არც ეკლესია,
არ მწამს არც ერთი, მათი გმობა ჩემი წესია,
მე არც სამოთხის იმედებით ვყოფილვარ ქვეყნად,
არც ჯოჯოხეთის მოლოდინით დამიკვნესია“.
„მონობის სული იმალება კერპშიც, ქაბაშიც,
მონა-მორჩილის ენა არის ზართა რეკვაშიც,
ყველგან მონობის აღბეჭდილა შავი ბეჭედი,
სადაც ჯვარია, საყდარია, მიჰრაბ მეჩეთი“.

ო. ხაიამი (1040-1123).

„...უკლებლივ ყველა რელიგია გამსჭვალული იყო ფანატიზმით და მას ადამიანის სისხლით აოკებდნენ“.

ჰელვეციუსი (1715-1771).

„ის, რასაც ბიბლია გვიყვება ევას შექმნის შესახებ, უაზრო მონაჭორია“.

თ. ჰექსლი (1825-1895).

„კლერიკალურმა პარტიამ ანათემას გადასცა პასკალი — რელიგიის გულისათვის, მონტენი — ზნეობრიობის გულისათვის, მოლიერი — რელიგიისა და ზნეობრიობის გულისათვის“.

ვ. ჰიუგო (1802-1885).

„ღმერთები სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი წარმოსახვის

ნაყოფი, და არ არსებობს საგანი, რომ ადამიანებს ოდესმე ან ღმერთად არ მიეჩნიოთ, ან ეშმაკად“.

თ. ჰობსი (1588-1679).

„შიშს უხილავი ძალის წინაშე, რომელიც გონებას მოუგონია, ანდა სახელმწიფოს მიერ ნებადართულ გამონაგონთა საფუძველზე წარმოუსახავთ, რ ე ლ ი გ ი ა ეწოდება“.

თ. ჰობსი.

РЕЗЮМЕ

Исламская религия построена в соответствии с ее обрядами на правовых нормах, которые вытекают из корана, а коран, в свою очередь, расчитан на укрепление мусульманской исламской веры.

В современный период мусульманское духовенство старается вложить в ислам новое содержание.

Согласно кораническому учению смыслом человеческого существования является служение богу и подготовка к загробному миру. По кораническому учению — цель человека — это лучшее служение богу.

В этом труде рассмотрены следующие вопросы:

1. Возникновение религии, его влияние на сознание человека.

2. Как возник ислам?

3. Как распространился ислам в Аджарии?

4. Догмы Шариата о верующих.

5. Проповеди Шариата о соблюдении поста и запрета пищи.

6. Некоторые концепции «чистоты» и «очищения».

7. Изгнание «нечистивцев» из «святых» мест.

8. Эволюционно-модернистические воззрения служителей ислама.

9. Ислам о войне, мире, о национально-освободительном движении.

10. Ислам — самая реакционная религия.

11. Классики марксизма и выдающиеся люди о религии.

На основании изучения всех этих вопросов установлено, что на протяжении своей истории ислам был идеологией господствующих слоев и классов. В данный момент некоторые политические партии на Востоке пользуются кораническими лозунгами, выходя из социально-политических и экономических интересов. Исламские лозунги и обряды в настоящее время не в силах обеспечить социальное равенство в обществе, ликвидировать эксплуатацию и неравенство, ибо исламское учение предусматривает и оправдывает угнетение человека человеком и наемный труд. Все это служит интересам господствующего класса. Поэтому следует главное внимание обществоведам и историкам в идеологической работе уделять на воспитанию подрастающего поколения в духе правильного понимания религии вообще и ислама, в частности.

გამოყენებული ლიტერატურა

1. К. Маркс и Ф. Энгельс, соч. том. 16, 20, 26.
2. К. Маркс, Ф. Энгельс, В. И. Ленин о религии. М., 1975 г.
3. Ф. Энгельс, соч. том. 3, М., 1964 г.
4. Энгельс, соч. том. 5, М., 1970 г.
5. В. И. Ленин, полн. соб. соч. т. 12, 17, 23, 30, 31, 33, 35, 36, 38, 39, 40, 41.
6. კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, თბ., 1971.
7. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954 წელი.
8. კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, თხზ., ტ. 16.
9. კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974 წელი.
10. ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954 წელი.
11. ფრ. ენგელსი, ანტიდიურინგი, თბ., 1952 წელი.
12. ფრ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბ., 1955 წელი.
13. ფრ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1970 წელი.
14. ფრ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში, თბ., 1971 წელი.
15. ფრ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, თბ., 1955 წელი.
16. ვ. ი. ლენინი, მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი, თხზ., ტ. 15, (აქ და ქვემოთ ყველგან მე-4 გამოცემა).
17. ვ. ი. ლენინი, სოციალიზმი და რელიგია, თხზ., ტ. 10.
18. ვ. ი. ლენინი, პოლიტიკური აგიტაცია და კლასობრივი თვალსაზრისი, თხზ., ტ. 5.
19. ვ. ი. ლენინი, II ინტერნაციონალური კრახი, თხზ., ტ. 21.
20. ვ. ი. ლენინი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ., ტ. 19.
21. ვ. ი. ლენინი, რელიგიის შესახებ (კრებული), თბ., 1955 წელი.

22. ვ. ი. ლენინი, მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ, თხზ., ტ. 35.
23. ვ. ი. ლენინი, კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი, თხზ., ტ. 31.
24. ვ. ი. ლენინი, სიტყვა მუშა-ქალთა I სრულიად რუსეთის ყრილობაზე, 1918 წლის 1 9 ნოემბერს, თხზ., ტ. 28.
25. Н. Ашуров. Эволюция ислама в СССР, М., 1978 г.
26. Л. Климович. Ислам. М., 1965 г.
27. Г. Керимов. Шариат и его социальная сущность. М., 1978 г.
28. Зарубежный восток. Религиозные традиции и современность, 1983 г.
29. СССР и Арабские страны. М., 1961 г.
30. Журнал. За рубежом. 1982. № 49.
31. გაზ. „კომუნისტი", 1975 წელი, 25 ნოემბერი.
32. В. Соловьев «Магомет». Собрание сочинения, т. 6, с. п. 1886—1896.
33. «Коран Магомета». Перевод и примечания Казимирского, М., 1976 г.
34. В. Рассел. История западной философии, М., 1959 г.
35. А. Штекль. История средне-вековой философии, М., 1912 г.
36. Т. Г. Милославская. Начальный этап деятельности ассоциации «Братьев-мусульман», религии мира, ежегодник. М., 1982 г.
37. История и теория атеизма, М., 1982.
38. შ. ოქროპირიძე, რატომ კრძალავს ისლამი? ბათუმი, 1976 წელი.
39. რ. ზოსიძე, მითები და სინამდვილე, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1975 წელი, 5 იანვარი.
40. რ. ზოსიძე, მუსლიმანური მარხვა და მისი მავნეობა, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1974 წელი, 26 ოქტომბერი.
41. გ. დავითაძე, ისლამი, მისი მავნეობა, ბათუმი, 1985 წელი.
42. ხ. ახვლედიანი, ისლამის ზოგიერთი გადმონაშთი აჭარაში, ისლამი და მისი გადმონაშთები, ბათუმი, 1960 წელი.
43. მ. ვანლიში, ისლამისა და მისი ზოგიერთი გადმონაშთის შესახებ, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1960 წელი, 12 ნოემბერი.

შინაარსი

თავი პირველი

რელიგიის წარმოშობა, მისი მავნე ზეგავლენა ადამიანის შეგნებაზე 3
როგორ წარმოიშვა ისლამი 10
როგორ გავრცელდა ისლამი აჭარაში 32

თავი მეორე

შარიათის დოგმები მლოცველობის შესახებ 39
ისლამური ქადაგება მარხვასა და საკვების აკრძალვაზე 50
ზოგიერთი კონცეპცია „სიწმინდისა“ და „განწმენდის“ შესახებ“ 62
ისლამის „წმინდა“ ადგილებიდან „ურწმუნოთა“ დევნა 70

თავი მესამე

მარქსიზმის კლასიკოსები და გამოჩენილი ადამიანები შეხედულებები 75
ისლამი ომისა და მშვიდობის, ეროვნულ-განმა-თავისუფლებელი მოძრაობის შესახებ 88
ისლამი — ყველაზე რეაქციული რელიგია 110

დამატება

მარქსიზმის კლასიკოსები და გამოჩენილი ადამიანები რელიგიის შესახებ 121
რეზიუმე 143
გამოყენებული ლიტერატურა 145

ს. ბ. № 562

რედაქტორი ზ. ფირცხალაიშვილი
მხატვარი კ. რამიშვილი
მხატვ. რედაქტორი გ. გუჯაბიძე
ტექნ. რედაქტორი ნ. ჭყონია
კორექტორი ნ. ჯიჯავაძე
გამომშვები ჯ. ხოფერია

გადაეცა წარმოებას 6.4. 89, ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.7.89, ქაღალდის ზომა 70×108 1/32, № 2, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6,47, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, პირობითი საღებავგატარება 6,99, შეკვ. № 1125, ემ 01661, ტირაჟი 1.000

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", ბათუმი, გოგებაშვილის, 24

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, გორკის ქ. № 91.

Государственный Комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производсвенное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Горького, 91.